

## გოჩა კვანტალიანი

ოლეს გონიარის შემოქმედება ქართულ-უკრაინულ  
ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში

10.01.12 – თარგმანისა და ლიტერატურულ  
ურთიერთობათა თეორია და ისტორია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ოთარ ბაქანიძე

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
<b>თავი I საქართველო ოლეს გონჩარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.....</b>	<b>7</b>
1. ქართული თემა ოლეს გონჩარის მხატვრულ ნაწარმოებებსა და დღიურებში.....	7
2. ოლეს გონჩარი ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთების“ მთარგმნელი.....	36
3. ოლეს გონჩარი ქართველი მწერლების შესახებ.....	53
<b>თავი II. ოლეს გონჩარი ქართულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში.....</b>	<b>65</b>
<b>თავი III. ოლეს გონჩარის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები.....</b>	<b>78</b>
დასკვნა.....	123
ბიბლიოგრაფია.....	126

## შესავალი

ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობებს საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ლიტერატურული კონტაქტების გაღრმავება-გაფართოების თვალსაზრისით ფრიად საინტერესო პერიოდია საუკუნის 50-70-იანი წლები. იგი მრავალი ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მოვლენით აღინიშნა. ამ პერიოდში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს ქართველ და უკრაინელ შემოქმედთა კონტაქტები. ლიტერატურული ურთიერთობები ამ ორ ერს შორის არსებული ურთიერთობების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი ხდება, ჩნდება კულტურული ურთიერთობის ახალ-ახალი ფორმები, იზრდება ღონისძიებათა მასშტაბები, მდიდრდება მათი შინაარსი.

ქართული და უკრაინული ლიტერატურების ურთიერთგამდიდრების და ურთიერთშემოქმედების საქმეში დიდი როლი შეასრულა უკრაინული ლიტერატურის დეკადამ, რომელიც 1964 წელს ჩატარდა საქართველოში. ამ ლიტერატურულ მოვლენას წინ უსწრებდა „ქართველი ხალხის პოეზიის“ [98] ანთოლოგიის გამოცემა უკრაინაში. დეკადამ დიდად შეუწყო ხელი უკრაინული ლიტერატურისა და სამყაროს აღქმას ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატთა მიერ. ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე მიეწოდა ნაწარმოებები ისეთი გამოჩენილი მწერლებისა, როგორებიც იყვნენ: პავლო ტიჩინა, მიკოლა ბაჟანი, მაქსიმ რილსკი, მ. სტელმახი, ოლექსა ნოვიცკი, დმიტრო პავლიჩკო, ანდრეი მალიშკო, ვასილ კოზაჩენკო, დმიტრო კოსარიკი, ნათან რიბაკი და სხვა.

ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ამსახველ უნიკალურ და საინტერესო წყაროს წარმოადგენს კრებული „ცისარტყელას ხიდებით“, რომელიც 1968 წელს გამოიცა კიევში. მასში გაშუქებულია ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტი. ამ დროისათვის უკრაინულ ენაზე უკვე თარგმნილია ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი თხზულებები: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“,

დავით გურამიშვილის „დავითიანი“, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის პოეზია, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებები, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, კონსტანტინე გამსახურდიას რომანები. მიმდინარეობს უკრაინულ სალიტერატურო პროცესში ქართული ლიტერატურის აქტიურად ჩართვა. ქართულ და უკრაინულ კულტურათა დიალოგის ღირსეულ გაგრძელებად მივიჩნევთ 1969 წელს ჩატარებულ ქართულ ლიტერატურის დეკადას უკრაინაში, რომელიც თავისი მიზანდასაზულობით და შინაარსით უდავოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა იყო. ლიტერატურულ ურთიერთობათა ამ ფორმამ დიდად განაპირობა ქართული მწერლობის პროპაგანდა უკრაინაში და ხელი შეუწყო ქართული და უკრაინული ლიტერატურების ურთიერთგამდიდრებას.

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლა ფრიად აქტუალურია, მათი კვლევა მიმდინარეობს, როგორც ქართველ, ასევე უკრაინელ მკვლევართა მიერ.

ამ ურთიერთობათა კვლევის სფეროდან აღსანიშნავია მონოგრაფიები: ო. ბაქანიძის - „ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი“ [3], ნ. შალუტაშვილის „მეგობრობის გზებით“ [25], ალ. მუშკუდიანის „უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან“ [94], ლ. გრიციკის „ა. კრიმსკის ორიენტალისტიკა“ [90], ვ. იმედაძის „ტარას შევჩენკო და ქართული კულტურის მოღვაწეები“ [40], თ. ბუაჩიძის წიგნი „ლიტერატურული წერილები“ [10], ი. ბოგომოლოვის წიგნი „მეგობრობით შედუღებულნი“ [11], დისერტაციები: რ. ხვედელიძის საკანდიდატო დისერტაცია „რუსთაველი უკრაინულ ლიტერატურაში“ [30] და სადოქტორო დისერტაცია „მოდერნისტული ნოველა ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურაში“ [31], ნ. ფორაქიშვილის „Н. Гулак и его грузинские связи“ [52], მ. კინწურაშვილის „უკრაინის დიდი კობზარი ტარას გრიგორის ძე შევჩენკო“ [17], მ. ქართველიშვილის გამოკვლევა „ლიტერა-

ტურული პარალელები” [24], ლ. ასათიანის გამოკვლევა „ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XIX-XX სს.)” [1], რ. ჩილაჩავას ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილთა კრებული, „Сходження на Зедазені” [102], ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები – პ. კონონენკოს „Шота Руставелі та епоха Відродження” [92], გ. ნამორაძის - „პოეტის უკვდავება” [19].

XX საუკუნის 50-იან წლებიდან ქართულ-უკრაინულ სალიტერატურო პროცესების კონტექსტში განსაკუთრებით იკვეთება უკრაინელი მწერლის ოლეს გონჩარის ფიგურა, რომლის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ასპექტშიც. კუთხით უკრაინელი მწერლის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი სწორედ 50-70-იან წლებზე მოდის. ოლეს გონჩარის შემოქმედების ქართველი მკითხველისათვის უკეთ გაცნობის და პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ, სალიტერატურო კრიტიკამ.

საგანგებოდ აღსანიშნავია პროფ. ო. ბაქანიძის წიგნი „ოლეს გონჩარი” [5], ნ. ვერძაძის საკანდიდატო დისერტაცია „ქართული პოეზიის ენობრივი და სტილისტურ თავისებურებათა გადატანის საკითხი უკრაინულ ენაზე” [36] და სადოქტორო დისერტაცია „პოეტური ენა და თარგმანი” [37], ალ. მუშკუდიანის საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობების ისტორიიდან” [94], ლიტერატურული წერილები: გ. ლომიძის „ოლეს გონჩარის შემოქმედება” [46], ს. ჭილაიას „ოლეს გონჩარი” [29], ალ. ბარამიძისა და რ. ჩილაჩავას „მოგონებანი” [102].

როგორც დასახელებული წყაროები ადასტურებს ოლეს გონჩარის შემოქმედების მიმართ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ინტერესი ყოველთვის ფართო იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს თემა ოლეს გონჩარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უკრაინისტიკაში მონოგრაფიული კვლევის საგანი არ გამხდარა, მასალა კი მრავალხმრივ საინტერესო და აქტუალურია.

ტურული პარალელები” [24], ლ. ასათიანის გამოკვლევა „ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XIX-XX სს.)” [1], რ. ჩილაჩავას ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილთა კრებული, „Сходження на Зедазені” [102], ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები – პ. კონონენკოს „Шота Руставелі та епоха Відродження” [92], გ. ნამორაძის - „პოეტის უკვდავება” [19].

XX საუკუნის 50-იან წლებიდან ქართულ-უკრაინულ სალიტერატურო პროცესების კონტექსტში განსაკუთრებით იკვეთება უკრაინელი მწერლის ოლეს გონჩარის ფიგურა, რომლის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ასპექტშიც. კუთხით უკრაინელი მწერლის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი სწორედ 50-70-იან წლებზე მოდის. ოლეს გონჩარის შემოქმედების ქართველი მკითხველისათვის უკეთ გაცნობის და პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ, სალიტერატურო კრიტიკამ.

საგანგებოდ აღსანიშნავია პროფ. ო. ბაქანიძის წიგნი „ოლეს გონჩარი” [5], ნ. ვერძაძის საკანდიდატო დისერტაცია „ქართული პოეზიის ენობრივი და სტილისტურ თავისებურებათა გადატანის საკითხი უკრაინულ ენაზე” [36] და სადოქტორო დისერტაცია „პოეტური ენა და თარგმანი” [37], ალ. მუშკუდიანის საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობების ისტორიიდან” [94], ლიტერატურული წერილები: გ. ლომიძის „ოლეს გონჩარის შემოქმედება” [46], ს. ჭილაიას „ოლეს გონჩარი” [29], ალ. ბარამიძისა და რ. ჩილაჩავას „მოგონებანი” [102].

როგორც დასახელებული წყაროები ადასტურებს ოლეს გონჩარის შემოქმედების მიმართ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ინტერესი ყოველთვის ფართო იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს თემა ოლეს გონჩარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უკრაინისტიკაში მონოგრაფიული კვლევის საგანი არ გამხდარა, მასალა კი მრავალხმრივ საინტერესო და აქტუალურია.

ნაშრომში შევეცადეთ ერთი მხრივ გვეჩვენებინა როგორ აისახა საქართველო ოლეს გონჩარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და მეორე მხრივ როგორ წარმოჩნდა მისი შემოქმედება ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და თარგმანებში.

წარმოდგენილი გამოკვლევა ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ასპექტში ოლეს გონჩარის ლიტერატურული მემკვიდრეობის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს, რაც გამოიხატა მწერლის მიერ საქართველოს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების, ეპისტოლური მემკვიდრეობის, ბოლო დროს გამოქვეყნებული (2002-2003 წწ.) მწერლის დღიურების, ილიას „ყვარლის მთების“ გონჩარისეული თარგმანის დღემდე გამოუქვეყნებელი პირვანდელი ხელნაწერის, მწერლის პირად არქივში ჩვენს მიერ ნახული საქართველოს თემასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო მასალის გაანალიზებასა და ქართული სალიტერატურო საყმაროს მიერ ოლეს გონჩარის შემოქმედების აღქმის ჩვენებაში.

## თავი I. საქართველო ოლეს გონჩარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში

### 1. ქართული თემა ოლეს გონჩარის მხატვრულ ნაწარმოებებსა და დღიურებში

ოლეს გონჩარის (1918-1995) სამწერლო ბიოგრაფია 1930-იან წლებში დაიწყო. ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი - ფილოლოგი ჯერ კიდევ ომამდე ბეჭდავდა თავის პირველ მოთხრობებს ადგილობრივ ჟურნალებში. ომმა მას ხარკოვის საჯარო ბიბლიოთეკაში მესამე კურსზე მოუსწრო. ოლეს გონჩარი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, ომის სისხლიან გზებზე განვლო მან ცხოვრების სკოლა, „მწერლის საოცარმა პოეტურმა ბუნებამ, ომის შთაბეჭდილებებით დატვირთულმა სულმა იპოვა გამოსავალი: ლექსებად გადმოიღვარა და აღიბეჭდა ჯარისკაცის საველე ჩანთაში ჩადებულ დღიურში“ [5-12].

2000 წელს კიევის გამომცემლობა „ვესელკამ“, გამოაქვეყნა ოლეს გონჩარის ფრონტული პოეზიის ციკლის ის ლექსები, რომლებიც ადრეულ გამოცემებში არ იყო შესული. ეს ლექსები ნათლად გვიხატავენ ახალგაზრდა კაცის შინაგან სამყაროს, მისი სულის ლაბირინთებში ჩახედვის საშუალებას გვაძლევენ, ისევე როგორც მწერლის ფრონტული დღიურები, რომლებიც პირველად ასევე 2000 წელს გამოიცა გამომცემლობა „უკრაინსკი სვიტის“ მიერ. 1942 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში გონჩარი ამბობს:

"Остається блукати по світу,  
Лиш блукать, а нікуди не ити,  
Й молоду мою душу розбиту  
Кожен день на розп'яття нести "

(ხაზი ჩვენია - გ.კ.) [86-12].

ეს ტანჯული სული, რომელიც დღენიადაგ ჯვარს ეცმის, ჩვენი აზრით, გონჩარის მთელ ცხოვრებისა და შემოქმედების სიმბოლოდ გამოდგება.

მწერლის ცხოვრება, გარკვეულ წილად, დრამატიზმით იყო აღსავსე. ცხოვრება შემოქმედისა, რომელმაც გადაიტანა ომის კოლიზიები და კატაკლიზმები, თუნდაც ის ფაქტი, რომ ომმა ერთი დარტყმით დაანგრია ჭაბუკის სტუდენტური ოცნების კოშკები, არ შეიძლება, რომ ტრაგიკული ელფერის შემცველი არ ყოფილიყო. 1942 წელს გონჩარი ე.წ. „ხოლოდნაია გორის“ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფება ტყვედ. ტყვეობაში გატარებული ეპიზოდები მწერალმა შემდეგ თავის ეპიკურ ტილოში აღწერა, რომელსაც „ციკლონი“ დაარქვა.

პირველი ომისშემდგომი პერიოდის ნაწარმოები იყო ნოველა „მოდრი კამენი“ (ჩეხურად - ლურჯი ქვა). ეს ნოველა 1946 წელს დაიწერა. მასში აღწერილია ერთი ეპიზოდი საბჭოთა მზვერავის ცხოვრებიდან. ამ საოცრად ექსპრესიულ, ფსიქოლოგიურ ნოველაში მოთხრობილია სლოვაკი გოგონასა და საბჭოთა მზვერავის, რომელიც ავტორის პროტოტიპია, სიყვარულის ტრაგიკული ამბავი. ოსტატურად არის გადმოცემული მზვერავის შინაგანი მონოლოგი, ტერეზას ტრაგიკული სახე, ლაკონური ფრაზები უდიდეს ემოციურ მუხტს იტევს, როგორც უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე ვლოდიმირ პიანოვი აღნიშნავს, ოლეს გონჩარის გზა ლიტერატურაში არ ყოფილა ვარდებით მოფენილი, რისი ნათელი დასტურია თუნდაც ის აბსურდული ბრალდებები და უსამართლო კრიტიკა, რაც ამ ნოველამ გამოქვეყნებისთანავე გამოიწვია [99-24].

ნოველამ დაიბეჭდა თუ არა ჟურნალ „უკრაინას“ ფურცლებზე, გაზეთ „რადიანსკა უკრაინაში“ პასუხად გამოქვეყნდა კრიტიკული სტატია. გონჩარი ლამის სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს იმის გამო, რომ მისი ნოველის ლირიკული გმირი - საბჭოთა არმიის მზვერავი, უცხოელ ქალს შეიყვარებს და ამას აღწერს მწერალი საოცარი სიფაქიზითა და გრძნობით. მაშინ პოეტმა პავლო ტიჩინამ დაიცვა მწერალი და თამამად აღნიშნა ანტიპატრიოტიზმის ბრალდების აბსურდულობა ოლეს გონჩარის მიმართ, რამეთუ არ შეიძლება ანტიპატრიოტიზმი დასწამო მწერალს მხოლოდ იმის გა-

მო, რომ ნოველის პერსონაჟს, საბჭოთა ჯარისკაცს, სლოვაკი გოგონა შეაყვარა გონჩარმა.

„მოდრი კამენს“ მოჰყვა ტრილოგია „მედროშენის“ პირველი ნაწილი, რომელმაც უდავოდ მოახდინა გონჩარის გარკვეული „რეაბილიტაცია“ კრიტიკოსთა თვალში. ტრილოგიამ მას ფართო აღიარება მოუტანა არა მარტო უკრაინაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. 1946 წელს დაწყებული მუშაობა ტრილოგიაზე „მედროშენი“, („ალპები“, „ცისფერი დუნაი“, „ზლატა პრალა“) 1948 წელს დაასრულა მწერალმა. ეს იყო მხატვრული ტილო დიდი სამამულო ომის შესახებ, რომანი, რომელმაც ასახა უბრალო ადამიანების სულერი სიძლიერე.

ტრილოგია იწყება იმ დროიდან, როდესაც საბჭოთა არმიამ თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადარეკა გერმანელი ოკუპანტები და ევროპაში შეადგა ფეხი, როგორც გამათავისუფლებელმა არმიამ.

„მედროშენი“ უკრაინელი ლიტერატურის პირველი პროზაული ნაწარმოებია, რომელიც გამათავისუფლებელ ლაშქრობას მიეძღვნა ტრილოგიის ყოველი წიგნი ასახავს ომის გარკვეულ ეტაპს, ევროპაში გამათავისუფლებელი ლაშქრობის ცალკეულ პერიოდებს. ამიტომაც მასში მოვლენები შესაბამისად რუმინეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ვითარდება.

რომანის ყოველი ნაწილი იწყება ეპიგრაფებით „იგორის ლაშქრობის ამბავიდან“, რაც ტრილოგიას ისტორიულ პერსპექტივებსა და პატრიოტულ სულისკვეთებას სძენს.

კრიტიკოს მიკოლა ჟულინსკის აზრით, „მედროშენი“ არის რომანი-რეაბილიტაცია უკრაინელი ხალხისა, ნაწარმოები, რომელიც ნათლად ასახავს უკრაინელი მეომრების იმ დიდ წვლილს, რომელიც მათ ფაშიზმზე გამარჯვებაში შეიტანეს სხვა ხალხებთან ერთად. კრიტიკოსის აზრით, „მედროშენი“ სტალინის რეჟიმისადმი მიტანილი ხარკი კი არაა, არამედ ეს არის მწერლის მიერ გაღებული ხარკი იმ ადამიანთა უკვდავსაყოფად, რომლებიც იმსხვერპლა დიდმა სამამულო ომმა. „მედროშენი“ იწერებოდა სუფთა

ხელით და ავტორის დიდი სულიერი ტკივილით და დაღუპულ მეომართა მიმართ საოცარი მოწინებისა და პატივისცემის გრძნობით.

კრიტიკოსის აზრით, მხოლოდ „მედროშენის“ შემდეგ წამოვიდა უკრაინულ ლიტერატურაში ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების ნაკადი.

50-იანი წლებიდან მოყოლებული ო. გონჩარი თავის შემოქმედებაში ხშირად მიმართავს როგორც თანამედროვე, ასევე ისტორიულ თემატიკას. ნოველათა ციკლში „სამხრეთი“ (1951), მოთხრობებში „მიკიტა ბრატუსი“ (1951) და „დაე, ანათოს შუქურამ“ (1955) მწერალმა უკრაინელი ხალხის შვილების არაერთი კოლორიტული პორტრეტი დახატა, მკითხველს თვალწინ გადაუშალა ომისშემდგომი ცხოვრების რეალური სურათები გააცოცხლა.

1952 წელს ოლეს გონჩარი წერს ისტორიულ რომანს „ტავრია“. მასში ასახულია სამხრეთ უკრაინის ხალხის ცხოვრება მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამ რომანის გაგრძელებადაა ჩაფიქრებული მწერლის მორიგი ისტორიული რომანი „პერეკოპი“ (1957). ოლეს გონჩარი შესანიშნავად ფლობს მრავალპლანიანი სიუჟეტის ხელოვნებას. მან „პერეკოპში“ წარმოგვიდგინა სამოქალაქო ომის მოვლენების პანორამა სამხრეთ უკრაინაში. პანორამა იმ ისტორიული მოვლენებისა, რომლებიც პერეკოპის საყოვლეთაოდ ცნობილი შტურმით დამთავრდა. მწერალმა მხატვრულ ტილოზე შეძლო გადმოეცა სამოქალაქო ომის ეპოქის მკაცრი და ამავე დროს გმირული ატმოსფერო. იმისათვის რომ შეექმნა რეალისტური ნაწარმოები, ოლეს გონჩარმა დიდი სამუშაო ჩაატარა, არაერთი წყარო შეისწავლა, საარქივო მასალები დაამუშავა და მოგვევლინა როგორც ღრმად განსწავლული სამხედრო და პოლიტიკური ისტორიკოსი. მთელი რიგი ისტორიული მოვლენები ავტორმა უტყუარ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღადგინა და მკითხველს ნათლად დაანახვა ისტორიული სიმართლე.

რომანი „ადამიანი და იარაღი“ (1960) ასახავს დიდი სამამულო ომის დასაწყისს. შემთხვევითი არ არის, რომ ცენტრალური პერსონაჟები - ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები არიან. ავ-

ტორმა ამ რომანში რეალისტურად დახატა, თუ როგორ ყალიბდება ადამიანის სულიერი სტოიციზმი ომის პირობებში. ერთ-ერთ მთავარ გმირს ბოგდან კოლოსოვსკის სულიერი სიმტკიცის გამოვლენა მოუხდა არა მარტო ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ იმ ტოტალიტარულ რეჟიმთან მიმართებაშიც, რომელმაც 30-იან წლებში მამამისი იმსხვერპლა, დაპატიმრებული მამის აჩრდილი ყველგან თან სდევდა ბოგდანს.

ოლეს გონჩარი არ გაურბის მის მიერვე განცდილ სინამდვილეს და ომის ამსახველ პირველივე სტრიქონებში აახმიანებს ომის ტრაგიკული დაუნდობლობის მოტივს, რომანში ომის პირველი დღეების ტრაგიზმი აირეკლა შეუღალაზებლად. სიყვარული არის ერთადერთი ძალა, რაც დაუპირისპირდება ნგრევას, ომს, უბედურებას. რომანში ავტორი ახდენს სიყვარულის კონცეპტუალურ პოეტიზაციას, რაც ომის საშინელებათა კონტრასტულ სურათებში აისახება.

ო. გონჩარის „ადამიანი და იარაღი“ სიუჟეტურად რთული ნაწარმოებია. მწერლის სულს უფრო შეესატყვისება ცხოვრების დიდი პლასტების ასახვა. სიუჟეტური კვანძები მასთან მასშტაბურადაა გააზრებული.

„ადამიანისა და იარაღის“ თავისებურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს რომანი „ციკლონი“. ეს რომანი გამოირჩევა გლობალური ხასიათითა და სახე-სიმბოლოთა ასოციაციურობით. (ციკლონი, როგორც ფაშისტური შემოტევა და ციკლონი - ბუნების სტიქია - გ. კ.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1942 წელს ო. გონჩარი გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა ტყვედ. მწერლის ამ ავტობიოგრაფიულმა დეტალმა რომან „ციკლონში“ ჰპოვა თავისებური ასახვა.

რომანის ცენტრალური გმირია ბოგდან კოლოსოვსკი, რომელსაც მკითხველი იცნობს რომანიდან „ადამიანი და იარაღი“. „ციკლონში“ ბოგდანი კინორეჟისორია. ზღვის სანაპიროზეა ჩამოსული ფილმის გადასაღებად, მან და მისმა მეგობრებმა ომის დროს, ტყვეობაში საშინელი დღეები გადაიტანეს, ნაწარმოებში აღდგენილია წარსულის მძიმე სურათები. მოსაგონარი მას საკმაოდ ბევრი აქვს. ამ პერსონაჟის მოგონებებში ჩაურთავს ოლეს

გონიერი „ხოლოდნაია გორას“ მთაზე, ტყვეთა ბანაკში გატარებული არაადამიანური საშინელებებით აღსავსე რეალისტურ, ავტობიოგრაფიულ სურათებს.

სიმბოლური დატვირთვის მატარებელია რომანში კინოხელოვანთა მოქმედება, რომლებიც იღებენ ფილმს საკონცენტრაციო ბანაკის შესახებ, სადაც ომის დროს თავად იყვნენ ტყვედ და ფილმის გადაღების დროს მათ მიერ წარმოებული ბრძოლა ბუნების სტიქიასთან. რომანში არის ასეთი პასაჟი: ყოველ დილით ზღვის უკაცრიელ სანაპიროზე, სადაც ციკლონმა ყველაფერი მიანგრ-მოანგრია და ბეტონის ლოდები თავდაყირა დააყენა, დილის ნისლში გამოჩნდება, როგორც, მოჩვენება, ბიჭუნას ფიგურა, უსასრულო სივრცეს სიცოცხლე ემატება და ახალ აზრს იძენს, რომანის ერთი გმირი ბიჭუნას „ყრმა სფინქსად“ მონათლავს.

რომანი „ტრონკა“ (1963) მწერლის მორიგი შემოქმედებითი წარმატებაა. ტრონკას უკრაინელი ხალხი უწოდებს ცხვრის კისერზე შებმულ ეჟვანს. სათაურის ქვეშ წერია - რომანი ნოველებად. რომანში თორმეტი თავია, თორმეტი ნოველა. ყოველი მათგანი კომპოზიციურად დასრულებული ნაწარმოებია. ეს ნოველები მთლიანობაში ქმნიან რომანის საერთო კომპოზიციურ პანორამას. არც ერთი მათგანის ამოგდება, არც გადაადგილება არ შეიძლება, მაშინვე დაირღვევა რომანის საერთო სტრუქტურა. ისინი ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებული არიან ერთიანი შინაგანი იდეით და ქმნიან ერთ დიდ მხატვრულ ტილოს.

ასეთი ჟანრობრივი თავისებურება ახასიათებს „ტრონკას“. რომანის ნოველისტურმა ხასიომ ავტორს სასურველი ლაკონურობის საშუალება მისცა.

მოვლენები რომანში ვითარდება მეცხოველეობის მეურნეობაში, სამხრეთ უკრაინის სტეპებში. უსასრულო და მცხუნვარე სტეპი გატაცებით უყვარს ავტორს, მისთვის სტეპი რაღაც ცოცხალი რამაა, მარადიული და მრავალდღეუროვანი.

„ტრონკას“ ავტორს 1964 წელს ამ რომანისათვის ლენინური პრემია მიანიჭეს, მაგრამ 1968 წელს გამოვიდა ოლეს გონჩარის ახალი რომანი „ტაძარი“ და ამ რომანმა მწერლის ოფიციალური კეთილდღეობის კვალიც კი აღარ დატოვა: მწერალი გადასცეს ვულგარულ კრიტიკას, აღიარეს რა, რომანი „ტაძარი“ „იდეურად მავნე“ ნაწარმოებად, იგი აიკრძალა და ოცი წლით საერთოდ ამოიღეს ლიტერატურული პროცესიდან.

ჩვენი აზრით, „ტაძარი“ ოლეს გონჩარის შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს. „ტაძარმა“ კრიტიკულ ლიტერატურაში გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვია. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა კიევში 1989 წელს გამოცემული ვიტალი კოვალის წიგნი "Собор і навколо собору". ამ წიგნში თავმოყრილია, პრესაში დაბეჭდილი უამრავი კრიტიკული სტატია თუ ო. გონჩარის პირად არქივში ნაპოვნი მწერლისადმი მიწერილი წერილები, რომლებშიც გაკიცხულია შემოქმედი ამ რომანის გამო. ვიტალი კოვალი წერს: "Я не читал, но я категорически осуждаю" - еще недавно так оценивали роман Олеся Гончара "Собор" [93-2].

როგორც ვ. კოვალის წიგნიდან ჩანს, გონჩარის სახელზე რამდენიმე ანონიმური წერილიც მისულა, რომლებშიც „ტაძრის“ ავტორს ურჩევდნენ თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. ლიტერატურათმცოდნე ვ. პიანოვი მართებულად უსვამს ხაზს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ სწორედ უკრაინელი ერის ნაციონალური სულისკვეთების წინააღმდეგ იყო მიმართული მთელი ანტიგონჩარისეული კამპანია და არა კონკრეტული რომანის წინააღმდეგ. გონჩარს შემთხვევით როდი უწოდეს მაშინ „უკრაინის მთავარი ნაციონალისტი“, სწორედ მის მოსათვინიერებლად აგორდა ეს კამპანია, რომელიც შეეცადა ჩირქი მოეცხო მწერლისათვის. კრიტიკოსი მ. ნაენკო წიგნში "Спогад про красу вірності" „ტაძრის“ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას უკრაინელი ერის წინააღმდეგ გალაშქრების ტოლფასად მოიაზრებს [96-24].

რომანის მოქმედება მიმდინარეობს უკრაინაში, მუშათა ერთ-ერთ დასახლებაში - ზაჩიპლიანკაში, რომელიც მსხვილი ინდუსტრიული ცენტრის გარეუბანია.

"У жодній енциклопедії світу не знайти нам цієї Зачіплянки. А вона є, існує в реальності. Без звички навіть трохи дивно звучить: Зачіплянка. Хтось колись тут за щось зачепився. І так пішло. В давні, в дозаводські часи було, кажуть, на цьому місці велике село, що робило списи запорожцям. І коли мандрували козак на Січ, то завертали сюди щоб заpastися списками. Отоді, може, котрийсь козак і зачепився тут за якусь молодицю, поклавши початок династії" [82-5], - ასე იწყებს თავის ნაწარმოებს მწერალი და ასეთ ვრცელ განმარტებას აძლევს მუშათა ამ დასახლების უცნაურ სახელს.

რომანში კონფლიქტი წარმოიშვება და ვითარდება ერთი ძველი ტაძრის გამო.

იგი გადააკეთეს საცავად, ათეიზმის მუზეუმად, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს, რომ ხალხს ზურგი ექცია ღვთის სახლისათვის.

ტაძარი დასახლების ცენტრში დგას, იგი ყოველი მხრიდან ჩანს. ოღეს გონიერი რომანში გზის სიმბოლოს ანიჭებს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას: მან უნდა მიგვიყვანოს ტაძრამდე, რამეთუ ყველამ უნდა ვიზრუნოთ „სულის ეკოლოგიაზე“, ვესწრაფოთ სულიერ სინმინდეს, რაც ასე ესაჭიროება ადამიანს.

„ტაძრის“ თემა მარადიული თემაა. მეტად მნიშვნელოვანია მწერლის მოწოდება, გავუფრთხილდეთ სულის ტაძრებს, რომ არ გაჩნდეს ბზარები. მ. ნაენკოს აზრით, მთელი რომანი არის ძიება იმ მიზეზებისა, „რომლებიც აჩენენ ბზარებს ადამიანთა სულიერ ტაძრებში“ [96-53].

მთელი რომანი გამსჭვალულია ჰუმანიზმით, რომელიც პატრიოტულ პათოსს ორგანულად ერწყმის, ო. გონიერი ამ რომანში წარმოჩინდა, როგორც უდიდესი ჰუმანისტი მწერალი. „ტაძარი“ ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მაშინდელ უკრაინულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ ნაწარმოებმა ტოტალიტარული იდეოლოგიის პირობებში ბევრ მწერალს

აუხილა თვალი და დაანახა ის სულიერი ფასეულობები, რაზეც უნდა წერდეს ჭეშმარიტი მწერალი: "Собор О. Гончара став одним із факторів, які відкривали багатьом письменникам зашорені тоталітарною ідеологією очі на суто людські цінності життя, національно-духовні святощі", - ასეა შეფასებული ეს რომანი მე-20 საუკუნის უკრაინული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ უახლეს ორტომეულში [91-268].

რომანი „ტაძარი“ არის მწერლის გულისტკივილი, მისი ძახილი. მონო-დება გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სულებს, ვიზრუნოთ ჰარმონიისათვის ამ სამყაროში.

კრიტიკის მიუხედავად, ო. გონჩარი არ წყვეტს სამწერლო მოღვაწეობას და ახალი ნაწარმოებებით ამდიდრებს უკრაინულ ლიტერატურას. 1972 წელს მწერალი ამთავრებს მუშაობას დიდტანიან მოთხრობაზე „ბრიგანტინა“, ხოლო შემდეგ რომან „სიყვარულის სანაპიროზე“ (1976). ეს ორი ნაწარმოები შინაგანად დაკავშირებულია „ციკლონთან“ თავისი ფილოსოფიური ფიქრებით და განსჯებით ახალი თაობის ბედზე, მის მომავალზე.

„ბრიგანტინა“ მკითხველს იზიდავს არა იმდენად უჩვეულო მოვლენებითა და მოგზაურობების რომანტიკით, რამდენადაც ამაღლებული და რამაფიქრებელი კითხვებით, ამ მოთხრობის გაცნობისას მკითხველს მეხსიერებაში ამოუტივტივდება ზღვის სანაპიროზე უთენია გამოსული გამხდარი ბიჭუნა, რომლისთვისაც მწერალს „ციკლონში“ ჯერ სახელიც არ დაურქმევია, „ყრმა სფინქსს“ უწოდებენ „ბრიგანტინის“ მთავარ გმირსაც პორფირ კულბაკას. ოლეს გონჩარის შემოქმედების მკვლევართა ნაწილი (მ. ნაენკო, ო. ბაქანიძე) არ გამორიცხავს, რომ პორფირი კულბაკა „ციკლონში“ გამოყვანილი უსახელო ბიჭუნას შემოქმედებითად დასრულებული სახე იყოს. საერთო გარეგნული სხვაობის გარდა, ამ ორ ნაწარმოებს აკავშირებს ერთიანი თემა: ესაა რწმენა ადამიანებისადმი, მათი ზნეობრივი პოტენციისადმი, სულიერი სიმდიდრისა და შესაძლებლობებისადმი, ორივე ნაწარმოებში შეინიშნება ადამიანის სწრაფვა სიცოცხლისა და ცხოვრებისადმი, სილამაზისა და ჰარმონიისადმი.

„სიყვარულის სანაპირო“ ოლეს გონჩარის მორიგი რომანტიკულ-პოეტური რომანია.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ გონჩარის ამ რომანში არის ისეთი ელემენტი, რომელიც მას პოემასთან აახლოებს.

ოლეს გონჩარის რომანი „შენი განთიადი“ (1980) რომან „ტაძრის“ იდეის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს. მისი მთავარი გმირი კირილ ზაბოლოტნი, დიპლომატიური მისიით იმყოფება საზღვარგარეთ და გადაწყვეტს მოინახულოს ერთ-ერთ მუზეუმში გამოფენილი სენსაციური ტილო, რომელზედაც როგორც პრესა იუწყებოდა, გამოსახული იყო „სლავური მადონა“, ო. გონჩარს რომანში შემოაქვს გზის სიმბოლური სახე, იგი ლაიტმოტივად გასდევს ამ ნაწარმოებს. გზა მადონასაკენ თავისებურად სიმბოლურია. „მოგზაურობა მადონასაკენ“ – ასეთი სათაური ჰქონდა ჩაფიქრებული მწერალს ამ რომანისათვის, მაგრამ რედაქტორებმა აიძულეს იგი სათაური შეეცვალა და ასე გაჩნდა რომანის სათაური „შენი განთიადი“, ოლეს გონჩარი დიდი გულსტკივილით წერს ამის შესახებ: "Все клопоти з назвою. Нібито було сказано: "В нас одна дорога – до комунізму, а не до Мадонни" (ხაზი ჩვენია – გ. კ.) [89-392] მკვლევარი მ. ნაენკო პარალელს ავლებს ჩ. აითმატოვის რომან "Буранний полустанок"-სა და ო. გონჩარის რომანს შორის: "Ч. Айтматов та О. Гончар вийшли на типологічно споріднений образ - образ дороги" [96-354], კრიტიკოსის აზრით, გზის სახე - სიმბოლო ორივე მწერალთან რომანტიკული მეტაფორაა, გზის ფუნქცია ორივე ავტორთან ერთნაირია: გზა მადონასაკენ ო. გონჩართან არის გზა იდეალური სილამაზისა და ჭეშმარიტებისაკენ, ხოლო გზა მიმავალი წმინდა სასაფლაოსაკენ ჩ. აითმატოვთან, არის გზა იდეალური მორალისაკენ. ბოლოს მკვლევარი ასევე მართებულ დასკვნას იძლევა, როდესაც წერს: "Образ дороги в обох романах це, сказати б, суто технічний аргумент на користь романтичності його" [95-354]. მ. ნაენკო ხაზს უსვამს კიდევ ერთ მსგავსებას, ამ რომანთა მთავარი პერსონაჟები ვერ აღწევენ საბოლოოდ დასახულ მიზანს და ამ მხრივ ფინალი ორივე რომანში არის დრამატული: „შენი განთიადის“ გმირებმა

ვერ ნახეს მადონა მუზეუმში, იგი მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა: ვი-  
ლაც მანიაკს დაესერა იგი დანით, ხოლო ჩ. აითმატოვის რომანის გმირებმა  
ვერ შეძლეს მიცვალებულის დაკრძალვა წმინდა სასაფლაოზე. ორივე მწე-  
რალი აფრთხილებს კაცობრიობას არ გადადგას წინდაუხედავი ნაბიჯები.

ოლეს გონჩარის რომანი „შენი განთიადი“ თანამდეროვე უკრაინული  
ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. 1982 წელს რომანმა სახელმ-  
წიფო პრემია დაიმსახურა.

კრიტიკოსი ანატოლი პოგრიბნი წერს, რომ ოლეს გონჩარის ოფიცია-  
ლური პრემიები, ორდენები, ცენტრალური კომიტეტის წევრობა და სხვ.  
მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ იცოდნენ რა მწერლის ტალანტისა და  
სიტყვის ძალა, ტოტალიტარიზმის იდეოლოგიები ცდილობდნენ მის გადაბი-  
რებას, მოშინაურებას, როდესაც ეს არ გამოსდიოდათ, პარტიული-სახელმ-  
წიფო მანქანა თავს ესხმოდა მწერალს და მზად იყო ანათემისთვის გადაეცა  
ხელოვანი. ოლეს გონჩარი დიდად აფასებდა ოლექსანდრ დოვჟენკოს, ფარ-  
თო საზოგადოებისათვის მხოლოდ დღეს გახდა ცნობილი მწერლის 1963  
წელს დაწერილი ნოველა „ორნი ლამეში“ („Двое вночи“), რომლის დაბეჭდ-  
ვაც 1995 წელსლა მოხერხდა. მასში ოლეს გონჩარი სტალინისა და დოვჟენ-  
კოს დრამატულ შეხვედრას აღწერს, ნოველის სიუჟეტი ასეთი გახლავთ:  
მძინარე ქალაქის უკაცრიელ ქუჩაში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ორი  
ფეხით მოსიარულეს ხმა არღვევს, მოშორებით კი რალაც ლანდები გაიელ-  
ვებენ ხოლმე პერიოდულად და ისევ უჩინარდებიან. ეს გახლდათ დაცვა,  
რომელსაც ამ ორის გასეირნების დროს მთელი რაიონის კონტროლი ევა-  
ლება. ასე მიაბიჯებენ ორნი, საუბარში გართული სტალინი და დოვჟენკო.  
მათ დიალოგში ოლეს გონჩარი ამხილებს სტალინის საშინელ რეჟიმს. მწე-  
რალი ორიგინალურად იყენებს დიალოგის ფორმას, ორთა გამოკვეთილ დი-  
ალოგში მთელი ეპოქა იშლება მკითხველის წინაშე. ნოველას ლეიტმოტი-  
ვად გასდევს ხელოვანისა და ხელოვნების უკვდავების იდეა, როგორც არ  
უნდა იყოს ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში, მისი სახელი მაინც  
მარადიულობაში გადავა ადრე თუ გვიან. ~~თითქმის~~ მთელი თავისი მხატვრუ-

ლი ნიჭი ერთბაშად მიეძალაო, განსაკუთრებით ძლიერია მწერალი ნოველის ფინალურ სტალინის დოვჟენკოსთან გამომშვიდობების სცენაში, როდესაც ოლეს გონჩარი შენიშნავს, რომ ისიც კი ვისი ძალაუფლებაც უსაზღვროა, რაღაც წამით ხელოვანის წინაშე მდგომი უმწეო მთხოვნელის როლში მოგვევლინება, და თითქოს ხელოვანისაგან დახმარებასა და თანაგრძნობას მოელის, მფარველს ეძებს მასში მარადისობის წინაშე.

გონჩარის ამ ნოველას დიდი ხნით არიდებდნენ ხალხის თვალს.

კრიტიკოსი ვ. პიანოვი მართებულად შენიშნავს, რომ ეპოქამ თავისი დალი დაასვა XX საუკუნის მწერლობას და იგი ოფიციალური იდეოლოგიის წნეხის ქვეშ მოაქცია, მაგრამ ტოტალიტარულმა რეჟიმმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ვერ შესძლო ჩაეკლა ეროვნული სულისკვეთება ბევრ მწერალში, რის მაგალითადაც გამოდგება, თუნდაც, ოლეს გონჩარის ცხოვრება და შემოქმედება. იცვლებოდა ფრონტები და მტრები, მათთვის ო. გონჩარი რჩებოდა სამიზნედ, მაგრამ ის არ ნებდებოდა. ფაშისტებმა ჭრილობები და რაინის მეტალის ნამსხვრევები უსახსოვრეს მწერალს, ტოტალიტარიზმის იდეოლოგები შეეცადნენ ჩირქი მოეცხოთ გონჩარის სახელისათვის, მაგრამ სულიერად ვერ გასტეხეს მწერალი [99-220].

დიდი და მრავალფეროვანი ტილოების, ნოველების და მოთხრობების გარდა, ოლეს გონჩარი ავტორია ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა, რომლებშიც იგი აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს მწერლობის დანიშნულებაზე. რომანტიკული პათოსით გაჯერებული ოლეს გონჩარის პუბლიცისტიკა ეძღვნება ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც (ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა, ენისა და სხვა ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა დაცვა, ომისა და მშვიდობის საკითხები, და სხვ.). მწერლის შეხედულებები აისახა შემდეგ წიგნებში „ჩვენს მწერლობაზე“ (1972), „მათზე, ვინც ძვირფასია“ (1978), „მწერლის ფიქრები“ (1980), „რით ვცხოვრობთ“ (1991) და სხვ.

ოლეს გონჩარის შემოქმედება მხოლოდ უკრაინული თემატიკით არ არის შემოფარგლული. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს საქართველოს თემასაც.

ფრიად საინტერესოა ოლეს გონჩარის 2002-2003 წწ. კიევში გამოცემული დღიურების პირველი და მეორე ტომი, რომლებიც 1943-1983 წლების ჩანაწერებს მოიცავს, მათში საქართველოს შესახებაც გვხვდება მსჯელობები.

მწერლის დღიურები მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ავტორის შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩახედვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

ოლეს გონჩარი პირველად 1951 წლის ივლისში ჩამოვიდა საქართველოში (კურორტ საირმეში დასასვენებლად). პირველმა კონტაქტმა ქართულ სამყაროსთან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკრაინელი მწერლის შემოქმედებაში. საირმემ ოლეს გონჩარის რომანტიკულ სულს ახალი ჰორიზონტები გაუხსნა შემოქმედებითი ზეალსვლისათვის. ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ სწორედ 1950-იანი წლებიდან გამოჩნდა უკრაინელი მწერლის შემოქმედებაში საქართველოს თემა, სწორედ მისი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში გახდა ორგანული ქართული თემა ოლეს გონჩარისათვის. მწერალი მოიხიბლა საირმის ბუნებით. ამას მოწმობს დღიურების პირველი ტომის ლიტერატურული ჩანაწერები. საირმე მწერლის პოეტური შთაგონების წყაროდ იქცა და იქაური შთაბეჭდილებებით შთაგონებული სულის ემანაცია გახლავთ უშუალოდ ამის შემდეგ შექმნილი ნაწარმოებების ზოგიერთი კონკრეტული დეტალი.

1953 წელს ოლეს გონჩარმა დაწერა მოთხრობა, „გზა ღრუბლებს მიღმა“ («Дорога за хмарами»), რომელიც მთლიანად საირმეს თემას მიუძღვნა მწერალმა. ეს მოთხრობა იმავე წელს დაიბეჭდა და მან მნიშვნელოვანი აღიარება მოუტანა უკრაინელ მწერალს.

ოლეს გონჩარის დღიურებმა შემოგვინახა ახალი უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის პოეტ პავლო ტიჩინას ოლეს გონჩართან საუბრისას გამოთქმული შეფასება ამ მოთხრობისა:

«П. Г. Тичина про «Дорогу за хмари» сказав учора: - Чиста як сльоза. Після Коцюбинського такого не було» [88-155] ».

საოცრად ზუსტი შეფასება მოუძებნა პავლო ტიჩინამ ამ მართლაც ცრემლივით ანკარა ნაწარმოებს. ძალზე მრავლისმეტყველია პ. ტიჩინას ნათქვამი, რომ კოციაუბინსკის შემდეგ უკრაინულ ლიტერატურაში ასეთი რამ არ შექმნილაო.

მოთხრობა „გზა ღრუბლებს მიღმას“ განიხილავს ლიტერატურათმცოდნე ოლექსეი კუნძირი ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიათა კრებულში „სიტყვა და მხატვრული სახე“ [41]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ თავად ფაბულაშია განსახიროებული პოეზიის ჭეშმარიტი მშვენიერება. ნაწარმოებში იმდენად სჭარბობს პოეზია, რომ კრიტიკოსის აზრით, შესაძლებელია მოთხრობა თავდაპირველად პოემად ჰქონდა ჩაფიქრებული მწერალს:

„Возможно, писатель задумал вещь в другом плане – как пронизанную солнцем поэму, и он имел на это право художника, поэма получилась в самом деле почти великолепной“ [41-299-300].

მოთხრობა „გზა ღრუბლებს მიღმა“ პეიზაჟის ექსპოზიციით იწყება: მთებში, ბურუსით მოცულ ტყეთა და კლდეთა სამფლობელოში ხეებით დაბურულ ადგილას ძლივს მოჩანს მეტყევის პატარა ქოხი. ქოხიდან ბილიკი მოემართება ქვემოთ მოჩუხჩუხე ნაკადულისაკენ. ყოველ დილით ათი წლის ფეხშიშველა, შავგვრემანი გოგონა ჩაირბენს ხოლმე კოკით ხელში ბილიკს. ეს ნათელაა მეტყევის გოგონა. ასე იწყებს თხრობას ავტორი და გვაცნობს მოთხრობის ნორჩ პერსონაჟს. საოცარი ოსტატობით აპროვნებს ბუნებას ო. გონჩარი. ნაკადული უღიმის გოგონას და ჩუხჩუხით ეგებება მას. ნათელა ოცნებობს, რომ მამამ წაიყვანოს იგი მაღლა, უღელტეხილს ზემოთ და იხილოს ის ადგილი, სადაც ღრუბლებს ქარები ებრძვიან, მამაც პირდება, რომ გაკაფავს ბილიკს და უსათუოდ წაიყვანს გოგონას. ქოხის ირგვლივ

გზა არსაით გადის, არის მხოლოდ ბილიკი, რომელიც ხეობაში ეშვება, სადაც ცხოვრობენ ბიძია ლევანი და დეიდა ეთერი. სკოლაში სწავლის დროს ნათელა ბიძია ლევანთან რჩება ხეობაში და მხოლოდ არდადეგების დროს ამოდის მამასთან. ერთხელ გეოლოგები ამოსულიყვნენ ნაკადულთან. ოლეს გონჩარი წერს: „Юна лісничиха з радістю водила її від джерела до джерела, гостинно показуючи їй своє гірське хазяйство; сподобалось геологам О лєнячє джерело” [68-59]. მათ ირმის წყაროდან აიღეს ბოთლით სინჯი და წავიდნენ.

ერთ დღით ნათელა გააღვიძა საოცარმა გრუხუნმა, თურმე გზა გაჰყავდათ და შემდეგ ყოველ ახალ აფეთქების ხმას ნათელა სიხარულით ხვდებოდა; მალე მშენებლებმა გზა მეტყევის ქოხამდე ამოიყვანეს, პატარა ნათელა მათ გვერდიდან არ სცილდებოდა, ერთმა ინჟინერმა სთხოვა გოგონას ეამბნა, თუ როგორ აღმოაჩინა ირმის წყარო. აქ ოლეს გონჩარი საირმეს წყაროს აღმოჩენის ლამაზ ლეგენდას ურთავს მოთხრობაში. ნათელა უამბობს მშენებლებს, როგორ წააწყდა ერთხელ ამ წყაროსთან ირემს, ირემი არ დაფრთხა, ეტყობოდა, რომ ან დაჭრილი ან ავად იყო, წყაროდან სვამდა წყალს, შემდეგაც ხშირად ჩამოდიოდა მთებიდან თავის წყაროსთან და სვამდა და სვამდა წყალს. „Я догадалась, що то він лікує себе тією водою, бо іншої не п'є, а все одну” [68-59], - დასძინა გოგონამ. აღწერილ პასაჟში საყოველთაოდ გავრცელებული ლეგენდა, რომ საირმე ირმებზე მონადირეების მიერ იქნა აღმოჩენილი მოთხრობაში ოლეს გონჩარის მიერ სახეცვლილია. მოთხრობის მიხედვით, მშენებლები დაჰპირდნენ ნათელას, რომ მის მიერ აღმოჩენილი წყაროს ადგილას სანატორიუმს ააგებდნენ და აქ ყველა შეძლებდა მკურნალობას. მალე მშენებლებმა გზის გაყვანა უღელტეხილის გადაღმაც განაგრძეს და მათ არ დაივიწყეს პატარა მეგობარი – მეტყევის გოგონა: ყოველ დღით, როდესაც ნათელა პირს იბანდა ნაკადულში, დინებას მოჰქონდა მისთვის სადღაც ღრუბლების მიღმიდან საოცრად ლამაზი ალპური ყვავილებისაგან და ბალახებისაგან დანწული გვირგვინები, ასე უძღვნიდნენ მშენებლები სალამს თავიანთ პატარა მეგობარს მაღალი მთების

მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალებიდან. ამ ნაწარმოებში არაფერია ზედმეტი ან ხელოვნური, მოთხრობის პეიზაჟურ პასაჟებს დიდი ოსტატის ხელწერა ატყვია. მწერალი ყოველთვის დიდი გრძნობით ხატავს ბუნების სურათებს. კერძოდ, ოლეს გონჩარის თხზულებებში ხშირად გვხვდება მთვარის სიმბოლიკა. მწერლის დღიურებში გვხვდება საირმეში დაწერილი ერთი მხრივ დამახასიათებელი ადგილი:

**„Ніколи не бачив такого великого і ясного місяця, як у горах після дощу. Викотився з-за верховини і повис над деревами, аж очі сліпнуть”** [88-143].

საირმეში სავსე, დიდი და კაშკაშა მთვარის ხილვით მიღებულ შთაბეჭდილებას, როგორც მწერალს მანამდე არ ენახა, ხორცი შეესხა მოთხრობაში „გზა ღრუბლებს მიღმა”.

**„- Місяць який тут, у горах, чистий... Звідси ясно бачиш, що місяць це – куля, - мертва планета і ніби зовсім до нього недалеко...”** [88-196].

მწერლის კიდევ ერთ მხატვრულ ტილოზე ჰპოვა ამ დეტალმა ასახვა. 1970 წელს დაწერილ რომან „ციკლონში” ქართველი მეთაურის დაღუპვის აღწერისას მწერალმა კიდევ ერთელ გაიხსენა საირმეში 1951 წელს ნახული მთვარიანი ღამის დაუვინყარი სურათი და ოსტატურად გამოიყენა ამ რომანში:

**„У дорозі їм місяць зійшов. Багряний, несамовито великий, викотивсь, прозирав крізь вали лісосмуги”** [77-194] (ხაზი ყველგან ჩვენია – გ. კ.).

ოლეს გონჩარის კალამს ეკუთვნის კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელიც მწერლის საირმეში ყოფნას უკავშირდება. „ლილიასა და ვალიაზე” – ასე ეწოდება პოეტურ ნოველას, რომელსაც მწერლის ცხოვრების რეალური ეპიზოდი უდევს საფუძვლად: საირმეში ყოფნისას გონჩარმა მიიღო დეპეშა მეუღლისაგან, რომელშიც იგი ატყობინებდა, რომ მათი გოგონა მოინამლა და სასწრაფოდ ჩამოდიო.

მწერალი სასწრაფოდ დაბრუნდა კიევში, გოგონა საბედნიეროდ გადარჩა სიკვდილს (ეს ამბავი გვიამბო მწერლის მეუღლემ ქალბატონმა ვალენტინა გონჩარმა, - გ. კ) ეს ავტობიოგრაფიული ეპიზოდი დასდებია საფუძვლად ამ ნაწარმოებს. ნოველა მწერლის დღიურების I ტომშია დაბეჭდილი.

1954 წლის ჩანაწერებში უკვე ვხვდებით ნაწყვეტს ნოველისა, რომელსაც თავდაპირველად სათაურად „საირმე“ ჰქონია: „Мати геолог одержала звістку про хворобу маленької дочки. Спішить додому. А дочка в лікарні...” [88-172] ნოველის მთავარი გმირი ქალი უნდა ყოფილიყო მწერლის პირველადი ჩანაფიქრით, მოგვიანებით ოლეს გონჩარი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას. მწერლით პირად არქივში ჩვენს მიერ მოძიებული ამ ნოველის ავტოგრაფი 1957 წლით არის დათარიღებული, იგი მცირეოდენი ცვლილებებით დაიბეჭდა დღიურების I ტომში.

მძაფრად იგრძნობა ამ ნოველაში ავტორის სულიერი განცდები, ტელეგრაფულ სტილში ჩატეული მთრთოლვარე, ანთებული, აგზნებული სტრიქონები. გონჩარის სტილი ამ ნოველაში პოეტურ პროზას ენათესავება, პოეზიისა და პროზის შერწყმით შექმნილა ეს ნოველა. მასში ოლეს გონჩარის თხრობის თავისებური მანერით მიიღწევა პოეტური ეფექტები, პროზაული სტრიქონი სალექსო სტრიქონთანაა მიახლოებული. გეოლოგი იღებს ტელეგრამას, რომ შვილი უკვდება და კოლეგები დაეხმარებიან მთებიდან სასწრაფოდ გამგზავრებაში გოგონას გადასარჩენად. მას ილიას „ყვარლის მთების პირველი სტრიქონი: „Гори Кварелі, я вас покидаю...” აეკვიატა თავში: «Вбився в голову рядок I криком кричить в душі» [88-228], - წერს ავტორი.

პერსერვერაციად ქცეული ეს სტრიქონი, როგორც რეფრენი ისე გასდევს ნაწარმოებს და ექსპრესიულობას სძენს მას, ლირიკული მღელვარებით ავსებს ნოველას. დანჯღრეული სატვირთო მანქანა, შემდეგ სადგური, სადგურის მკაცრ უფროსს უყვება თავის გასაჭირს, ისიც გაგებით მოეკიდება მის გასაჭირს და სავსე ვაგონში ორივე ხელით შესტენის, რომ არ და-

ავიანდეს, უძილოა და მძიმე ღამე მატარებელში, თვალწინ უდგას ბავშვის სახე, აგონდება როგორ შეისვამდა ხოლმე მხარზე და დაჰყავდა. მოლარე, რომელიც მეორე მატარებელში გადასაჯდომ ბილეთებს ჰყიდის, ეუბნება რომ ბილეთები აღარ არის, მაგრამ შეხედავს რა მის მწუხარე სახეს, თითქოს რაღაც გადაედოო მისგან, ეხმარება და უბილეთოდ უშვებენ ვაგონში. ღამით მატარებლის ვაგონ-რესტორანში ვიღაც სრულიად უცხო სუყვება საკუთარი მწუხარების შესახებ. „კვდება ადამიანი!“ გაჰყვირის მთელი ხმით რესტორანში მეზობელ მაგიდასთან მჯდომი ჯარისკაცები გვერდით მოუსხდებიან, ანუგეშებენ... ქალაქში ჩასული სახლს მიაშურებს მაგრამ, არავინ ხვდება შინ, ეს კარგად ენიშნება ესე იგი ცოცხალია, ფიქრობს იგი. საავადმყოფოში ექიმი ქალი ეგებება თეთრ ხალათში, სახეზე ღიმილი აჩნია და ამ ღიმილისათვის იგი მთელი სიცოცხლე მადლიერი იქნება ამ ქალის... და ერთბაშად ახსენდება ყველა, ვინც ამ გაჭირვების დროს ასე დაეხმარა: ყვარლის მთები, გეოლოგები, სადგურის უფროსი, მოლარე, ჯარისკაცები...

აღბათ ყოველივე ამან გადაარჩინა გოგონა.

და მას ანუხებს ახლა თუ როგორ უყურადღებო იყო აქამდე სხვისი უბედურების მიმართ და ახლა პირადი უბედურების გამო გაშიშვლებული ნერვებით ყველაფერს სხვა თვალთ უყურებს.

ასეთია ამ ნოველის სიუჟეტი, რომელიც ბევრისმთქმელი ლაკონურობითა და მწერლის სულიერ განცდათა სიმძაფრით გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა ოლეს გონჩარის მხატვრული სტილის თავისებურება – სიტყვის უკიდურესი მომჭირნეობა. ნოველა „ლილიასა და ვალიაზე“ ამისი მკაფიო ილუსტრაციაა, რომელშიც ცოტა სიტყვით ბევრის თქმის უნარი ზენიტშია აყვანილი.

ნოველის ჟანრმა ოლეს გონჩარი 1946 წლიდან გაიტაცა. ამ წელს დაწერა მან მაღალმხატვრული ნოველა „მოდრი კამენი“. ჩვენს მიერ განხილული ნოველა კიდევ ერთხელ ადასტურებს უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე ლუდმილა დემიანივსკას აზრს, იგი ოლეს გონჩარს თანამედროვეობის

ერთ-ერთ უნიჭიერეს ნოველისტად მიიჩნევს: „Олесь Гончар – один з найталановитіших новелістів сучасності” [101-25], - წერს კრიტიკოსი.

შეიძლება ითქვას, რომ საირმეში ნახულმა და განცდილმა ბუნების სურათებმა წარუშლელი კვალი დატოვა მწერლის ცნობიერებაში და შთააგონა ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოები შეექმნა, როგორცაა „გზა ღრუბლებს მიღმა” და სხვა ნაწარმოებებსა თუ ლიტერატურულ ჩანაწერებშიც გამომკრთალა ამა თუ იმ დოზით საქართველოს ბუნებით მიღებული შთაბეჭდილებანი და არაერთხელ შეუძენიათ მათ სიმბოლური ჟღერადობა.

ქართული კულტურის მიმართ ინტერესი მრავალგან გამოსჭვივის ოლეს გონჩარის დღიურებში. კერძოდ, ქართული კულტურის ისეთი ისტორიული კერების მიმართ, როგორცაა გელათის აკადემია, ვარძიის სამონასტრო ანსამბლი, ზედაზნის მონასტერი. მწერლის დღიურებში გვხვდება ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრებზე საინტერესო ლიტერატურული ჩანაწერები. აშკარად იგრძნობა, რომ ოლეს გონჩარი საქართველოს ისტორიასაც იცნობდა. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მწერალზე გელათის ტაძრის მოზაიკას, რომელიც, მისი აზრით, ტოლას არ უდებს კონსტანტინოპოლისა და კიევი-სოფიის ტაძართა მოზაიკებს. აქვე ოლეს გონჩარი იხსენიებს საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს – დავით აღმაშენებელს, ვისი თაოსნობითაც ააგეს გელათის მონასტერი. ქართული კულტურის სავანეს უწოდებს ოლეს გონჩარი გელათის აკადემიას, საგანგებოდ ახსენებს მწერალი გელათის მოზაიკის ფრაგმენტს – ღვთისმშობელს: „Мозаїка Гелатська XII ст. В одному ряду серед мозаїк Константинопольських і Софійських – Київських.

Давид – будівничий, який об'єднав Грузію і збудував Гелаті, тут і похований.

Тут була і Академія, хранилище культури: зберігались рукописи і ікона Богоматері” [88-342].

შვეულ კლდეში გამოკვეთილი ვარძიის სამონასტრო ანსამბლით აღტაცებას ვერ ფარავს მწერალი:

„Вирубанє в скелях. Фрески в печерному монастирі. Все це вражає”, - წერს ოლეს გონჩარი [88-398].

ვარძიის სამონასტრო ანსამბლს იგი ბუნების გრანდიოზულ ამფითეატრს უწოდებს. იქვე მწერალი წერს: „Грузія в танцах, що нагадують красу античності, виявляє вогонь своїх почуттів” [88-398]. ქართული ცეკვები მწერალს ანტიკურ მშვენიერებას აგონებს, სიტყვა „ანტიკური” აქ შემთხვევით არ უნდა იყოს ნახმარი, ეს ჩანაწერი 1966 წლით არის დათარიღებული, ხოლო მოგვიანებით 1972 წლის ჩანაწერებში ვხვდებით ოლეს გონჩარის ფრიად მნიშვნელოვან ფრაზას: „Грузини, як ніхто, доносять до нас дух античності” [89-127].

ზედაზნის მთის ტყეებით შემოსილმა დამრეცმა კალთებმა და ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლმა – ზედაზნის მონასტერმა ოლეს გონჩარს ათქმევინა, რომ ზედაზენი ბუნების ისეთი მეფური ტახტია, რომლის ბადალი პლანეტაზე ბევრი არ არის:

„Зедазені – престолі природи. Один, мабуть, з небагатьох на планеті. Видно звідси пів – Грузії. Долина Кури, Арагви. Далі знов гори. На одній з висот – Джаварі” [88-398].

ასე ხატოვნად შეამკო ქართული კულტურის კერები ოლეს გონჩარმა თავის დღიურებში.

მეტად საინტერესო დაკვირვება აქვს ოლეს გონჩარს ქართული ხალხურ სიმღერაზე, უკრაინელი მწერლის ეს დაკვირვება ახლოს დგას ილია ჭავჭავაძის ცნობილ წერილში გამოთქმულ მოსაზრებასთან ქართულ სიმღერაზე, სახელდობრ ილია წერს:

„... სიმღერა გულის – თქმააა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულის-თქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. ... ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველობა” [28-126].

ქართული სიმღერის ეს ფენომენალური ნიუანსი კარგად შეუნიშნავს ოლეს გონჩარს, რომელსაც 1951 წელს საირმეში ქართული სიმღერის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებანი 30 წლის შემდეგაც არ გახუნებია, რისი დასტურიცაა 1981 წლის ჩანაწერი. მწერალი წერს, რომ სწორედ ქართული სიმღერის მოსმენამ შეაგრძნობინა მას საქართველო. ამ ქართულ სიმღერაში იგრძნობოდა რაღაც ძველი, ანტიკური, რაღაც უსაზღვროდ ღრმა, მწერლის თქმით, მას სიცოცხლეში არ დაავიწყდება ის ქართული სიმღერა, რომელმაც მას ასე აუფორიაქა სული:

„...Колись у горах в Саїрме співали мені вночі грузинські друзі – я вперше тоді так близько Грузію почув і досі пригадую, як тоді це мене потрясло. Якою враз великою стала Грузія! Бо в чоловічих задумливих тих голосах співі щось давнє, античне, щось незмірно глибоке.

О, та свята ніч в горах Саїрме! Ніколи не забути той спів, що душу перевернув...” [89-448]. ქართული კულტურის გაცნობამ მისცა საბაბი მწერალს ასეთი ღრმა შეფასება მიეცა ქართველი ერისათვის: „Мы видим в Грузии, в ее созданиях, на что способен народ, и какие же это жалкие пигмеи, которые могут смотреть на это всысока, не понимать тонкости народного художественного вкуса, великолепия образов, созданных и в фресках, и в зодчестве, и в песне, и, конечно, в литературе!” [88-342].

ოლეს გონჩარის დღიურებში პერიოდულად გაიელვებს რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის სახელები.

მთანმინდაზე სეირნობისას ნიკოლოზ ბარათაშვილის ხატება თან სდევდა ოლეს გონჩარს, მწერალი დღიურებში წერს, რომ მთანმინდიდან იხილა საქართველოს მშვენიერი ცა და ღრუბლებში მიმალული მთვარე, სწორედ ის მთვარე, რომელსაც ხედავდა ბარათაშვილი: „Бачив небо, чудовое небо Грузії і місяць кризь хмари, місяць, що його бачів і Бараташвілі” [89-33].

აქედან სრულიად ნათელია, რომ ოლეს გონჩარი იცნობდა ნ. ბარათაშვილის „შემოღამებას მთანმინდაზედ“, ამ ლექსის სტრიქონში: „მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბნედილი...“ [23-256]. მოხსენიებულ მთვარეს უნდა გულისხმობდეს უკრაინელი მწერალი თავის ჩანაწერში.

მთანმინდის პანთეონის ხილვით კიდევ ერთხელ განიმსჭვალა ოლეს გონჩარი საოცარი მოწინებითა და მოკრძალებით იქ დაკრძალულ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. ქართველ მწერალთა საოცარ პატივისცემაზეც მეტყველებს ოლეს გონჩარის 1983 წლის ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ საჭიროა უკრაინელებსაც ჰქონდეთ თავისი უკრაინული მთანმინდა, როგორც ეს ქართველებს აქვთო:

„У нас повинна б бути своя, українська, Мтацмінда, як у Грузинів. Пантеон. Кожен народ має свій пантеон, і ми для поховання найвизначніших діячів культури могли б відвести одну з Київських гір над Дніпром“ [89-570].

მწერლის დღიურები დასტურია იმისა, რომ ქართულ შთაბეჭდილებებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს შთაბეჭდილებანი შემოქმედებითად გამოუყენებია ოლეს გონჩარს თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

ჩვენს მიერ განხილული მოთხრობის „გზა ღრუბლებს მიღმა“, ნოველისა და ოლეს გონჩარის დღიურების გარდა, ქართულმა თემამ ჰპოვა თავისებური ასახვა მწერლის მიერ 1970 წელს შექმნილ დიდ მხატვრულ ტილოზე, რომელსაც ავტორმა „ციკლონი“ უწოდა.

რომანის გმირები, რომლებმაც არცთუ დიდი ხნის წინ საკუთარ თავზე გამოსცადეს ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებანი, ფილმს იღებენ ყოველივე ამის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმბოლური დატვირთვის მატარებელია რომანში კინოხელოვანთა მოქმედება: ისინი იღებენ ფილმს საკონცენტრაციო ბანაკის შესახებ, სადაც ომის დროს თავად იყვნენ ტყვედ და ფილმის გადაღების დროს მათ უხდებათ ბრძოლა ბუნების სტიქიასთან. რომანში სტიქიური მოვლენა ციკლონი შედარებულია ფაშიზმის მძვინვარებასთან,

ესეც სტიქიურ უბედურებად არის გააზრებული. მწერალი გვიხატავს ტყვეთა ბანაკში გატარებული არაადამიანური საშინელებებით აღსავსე რეალისტურ სურათებს, მის მიერ ნახულსა და განცდილს.

რომანის ცენტრალური გმირია კინორეჟისორი ბოგდან კოლოსოვსკი, მან და მისმა მეგობრებმა ომის დროს ტყვეობაში საშინელი დღეები გადაიტანეს, მოსაგონარი მათ საკმაოდ ბევრ აქვთ.

„...Холодна Гора вже має свою чорну славу, тут один з найбільших концтаборів України” [77-2], წერს რომანის დასაწყისში ოლეს გონჩარი და ასე გვიხატავს იგი ქალაქის თავზე მთას, რომელსაც „ხოლოდნაია გორა”, ეწოდება, მთაზე ციხეა, სადაც ტყვეობაში იმყოფება კოლოსოვსკი. ეპითეტი „ხოლოდნაია” და მწერლის მიერ ნათქვამი, რომ ამ მთას უკვე შეუძენია ავბედითი სახელი უკვე წინასწარ ამზადებს მკითხველს იმ საშინელებათა აღსაქმელად, რაც ტყვეთა ბანაკში ხდება.

მწერალი ტყვეთა მძიმე მდგომარეობას დოკუმენტური სიზუსტით აღწერს: ბანაკიდან ისინი დაჰყავდათ სხვადასხვა მძიმე სამუშაოთა შესასრულებლად, სიარულის დროს მათ ქვებზე დასერილ-დახეთქილი შიშველი ფეხებიდან სისხლი სდით, გაჩერება არ შეუძლიათ უმწეო, უფლებააყრილ ტყვეებს ავტომატმომარჯვებული მცველები მისდევენ უკან. შიმშილისაგან არაქათგამოცლილნი მუშაობენ და მეშახტეებივით გამურულები ბრუნდებიან ბანაკში, სადაც „ბალანდა” ელოდებათ. ეს შეჭამანდი განსაკუთრებული გერმანული „სანელებლებით” იხარშება: მარილის მაგივრად შიგ აყროლბულ, დამძალებულ ყველს ყრიან და თეთრი მატლები ტივტივებენ.

ავტორს ნაწარმოებში კიდევ რამდენიმე მთავარი ფიგურა ჰყავს გამოყვანილი – ესენია ჯარისკაცი ივან რეშეტნიაკი და ქართველი მეთაური დავითი, რომელიც რეშეტნიაკმა შამილად მონათლა და ყოველთვის ასე მიმართავს მას. მკაფიოდ, ექსპრესიულადაა გამოხატული დავითი, ქართველი გმირი რომანის მთელი რიგი პასაჟების აქტიური პერსონაჟია. იგი საქართველოს მშვენიერი კუთხის – იმერეთის შვილია, ომმა მოსწყვიტა იგი სამ-

შობლოს, დატყვევებული შუალამისას ბანაკში ტყვეთა ახალ ჯგუფთან ერთად მიიყვანეს.

აი, როგორ ხატავს მწერალი ამაყი და გაბედული ქართველის პორტრეტს:

„Молодой командир-кавказець, смаглий, чорнобривий, з кров'ю запеченою на щоці. Розгонисте ступав він попереду, випростаний, з сміливим, аж ніби веселим лицем... Такий був своєю безстрашною усмішкою, що навіть німці незвичний цей командир серед загальної пониклості, такий був незрозумілий ошелешено разступалися, коли він проходив від воріт у натовпі, устіхався вільною усмішкою” [77-12].

ოლეს გონჩარი დეტალების ხატვის ოსტატია: ხშირად თითქოსდა ნიშან-თვისების წარმოჩენით ხსნის მოქმედი გმირის ხასიათს. დავითის ხასიათს მწერალი შემდეგი დეტალით წარმოაჩენს:

„З другого боку якось аж злісно-городовито крокує з люлькою в зубах Давид-кавказець, що його Решетняк уперто іменує Шамілем. Люлька порожня, давно в ній не було тютюну, але вона міцно стирчить, стиснута в зубах, мовби промовляючи: „Ми ще живі. Ми не зломлені. Ми зробили все, що могли” [77-7].

(ხაზი ყველგან ჩვენია – გ. კ.) დავითი სულ კბილებში ჩიბუხგაჩრილი დააბიჯებს, თუმცა იგი დიდი ხანია თუთუნით აღარ დაუტენია, მაგრამ მაინც მაგრად ჩაუჭერია კბილები, პირიდან არ იცილებს მას. აქ მწერალი პერსონაჟის ხასიათის სიმტკიცისა და გაუტეხელობის კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად იყენებს ამ დეტალს, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის პერსონაჟის შინაგან ბუნებას.

კოლოსოვსკი, რეჟეტნიკი და დავითი უმეგობრდებიან ერთმანეთს. ეს სამნი სულ ერთად არიან, იზიარებენ ერთმანეთის გაჭირვებას, ერთმანეთს მხარში უდგანან. თუმცა დავითი ტყვეობაში გახდა, მხრებში მოიხარა, მაგრამ სულიერად არ გატყდა, მაშინაც კი, როდესაც „ბალანდის” რიგში იდგა

ხოლმე, თვალის ერთი შევლებითაც იფიქრებდა კაცი, მისთვის მონობა უცხო რამ იყო:

„Навіть коли Шаміль стоїть у черзі до чана за баландою, то й тоді, глянувши на нього збоку, мимоволі, подумаєш: „Ні, ще людина, яка ніколи не знала рабства” [77-17], - წერს ავტორი.

ტყვეები სოფლად დაჰყავთ სამუშაოდ. კოლოსოვსკი, რეშეტნიაკი და დავითი განიზრახავენ, რომ როგორმე კონტაქტი დაამყარონ ადგილობრივ პარტიზანულ რაზმებთან.

სოფელში მუშაობის დროს დავითს ეცნობა უკრაინელი ქალიშვილი პრისია პირველად ქალიშვილი გამოელაპარაკება დავითს და მათ ერთმანეთი უყვარდებათ. ქალის ლამაზი ღიმილით მოხიბლულ ვაჟკაცს თავადაც ღიმილგადაჩვეულს ღიმილით ებადრება სახე. ქალ-ვაჟის ხანმოკლე დიალოგს პრისიას შინაგანი მხატვრულად შთამბეჭდავი მონოლოგი მოსდევს, რომელიც დავითისადმია მიმართული:

„... Які там гори у вас і які дерева? Словами якими тебе голубила мама малим, в які забавки забавлявся? І що ти зазнав коли був у боях? Чи сумує хто там за тобою? Мабуть, вважають, збезнадієні, що тебе вже нема, а ти ось тут, на галерах, і, мабуть, день-денно чогось таки ждеш, на щось сподіваєшся, бо звідки ж оця твердість у погляді, оце орлине, що є у тобі...

Не такою, видно, ти уявляв собі Україну, думав, що дівчата тут у вінках, на вулиці гопаки під гармошку, а тут неволя все затопила, безправство панує більце, ніж за кріпаччини... Самі будні тепер у нас, ні музики, ні пісень, і лише горя буруниаж по обрії...” [77-65].

საყურადღებოა პრისიასა და დავითის დიალოგი, რომელშიც საქართველო ასეა წარმოდგენილი:

„- ... А в Грузії білять хати?

- Грузин виноградом повиває оселю... Які там зараз грона поналивались... Мигдаль під вікном...

- Дивним, мабуть, усе вам здається в наших краях?

- Дивно спершу було, це правда І простори степів тополиних і люди, і мова, якої далеко не все розумів..." [77-65].

პრისია ბანაკამდე აცილებს დავითს. ქალთან განშორების შემდეგ დავითი გვიანობამდე ზის ბანაკის ეზოში, სიყვარულის გრძნობით გაბრუებულს წამით ავინწყდება ტყვეობა, გაჰყურებს ცას და ოცნებას ეძლევა. პერსონაჟის ლირიკულ განცდათა კიდევ უფრო გასაძლიერებლად მწერალს შემოაქვს ასეთი მხატვრული პასაჟი: ახსენდება მზით გაცისკროვნებული მშობლიური მთიანი იმერეთი...

ახლა, ალბათ, მამამისი თავს დასტრიალებს მაჭრით სავსე ქვევრებს. საქართველოს აჩრდილი მუდამ თან სდევს დავითს:

„Згадує Імеретію свою сонячну у вежах гір і отой крутосхил, де батько, мабуть, зараз в кутку подвір'я закопує глеки-амфори з молодим виноградним вином..." [77-67].

ეს გახსენება წამიერად ავინწყებს გმირს ომს, სისხლს, დაღუპულ მეგობრებს და ყველა იმ საშინელებას, რაც ომმა დაატეხა თავს ბედნიერების სანეტარო წუთები, ერთხანს სულიერ სიმშვიდეს ჰგვრის.

მწერალი აქ წამიერად განმუხტავს სიტუაციის ტრაგიზმს.

ოლეს გონიერი ისე შთამბეჭდავად წარმოაჩენს ამ ეპიზოდში საქართველოს ხატებას, რომ ეს სურათი მკითხველს სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში.

დავითი, რეჟეტნიაკი და კოლოსოვსკი რაც შეუძლიათ იბრძვიან ფაშისტების წინააღმდეგ. პრისიას მეშვეობით ისინი უკავშირდებიან სახალხო გამანადგურებლების ჯგუფს, მაგრამ მოულოდნელად პრისიას ეშელონით აგზავნიან გერმანიაში, ქალ-ვაჟი დაშორებას ძლიერ განიცდის. პრისიას რაინდულ ციხე-კოშკში მცხოვრებ გერმანელთა ოჯახში გაანაწილებენ მოსამსახურედ. სახლის პატრონი გერმანელი ქალი მას მუდამ ახსენებს: ღმერთს უნდა უმადლოდე, რომ ბუხენვალდში, ან რომელიმე ქარხანაში კი არ მოხვდი, არამედ ჩვენნაირ წესიერ ოჯახშიო. საოცარ ცინიზმსა და დამცირებას იტანს პრისია გერმანელებისაგან, მაგრამ ერთი იმედი აცოცხლებს, რომ

კვლავ იხილოს თავისი ერთადერთი რჩეული შორეული იმერეთის მთები-დან, სხვა არავინ ენატრება, დავითის სახე ყოველთვის თვალწინ უდგას ქალს:

„Нікого й бачити не хотіла зараз біля себе, крім одного – крім смаглого лицаря-красеня з далеких імеретинських гір” [77-128], - წერს ოლეს გონჩარი. პრისიასთან ერთად გერმანელთა ამ ოჯახში კიდევ ერთი უკრაინელი გოგონა – მარუსია ჰყავთ მოსამსახურედ. ისინი დროს იშოვიან თუ არა ერთმანეთთან საუბარში აყოლებენ გულს. ერთხელაც, როცა სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ ასადულებლად შემდგარი რძე გადმოუვათ. ამას შეესწრება გერმანელი დიასახლისი და მარუსიას სახეში შეასხამს მდულარე რძეს. სახედამდულრული ქალიშვილი მხედველობას სამუდამოდ კარგავს. დიასახლისი კი ეუბნება, შეგიძლია ახლა შინ დაბრუნდე, შენს უკრაინაშიო.

არაერთხელ წარმოიდგენს პრისია თავის თავს ამ ქალიშვილის ადგილზე, „ლამეჩამდგარი თვალებით”, სახედამწვარს. ყველაფერს აიტანს, ოღონდ დაბრუნდეს უკრაინაში, მაგრამ არა ვერ შეძლებს დავითს ასეთი დაენახოს, მის წინაშე იგი მხოლოდ მთელი თავისი სიმშვენიერით უნდა წარსდგნენ, რათა კიდევ ერთხელ მოისმინოს ვაჟის მგზნებარე სიტყვები:

„Ти красива, красива... Шені чіріме!” [77-129]. პრისიას თვალწინ უდგას ტყვეთა ბანაკი, სადაც ახლა მისი საოცნებო დავითი იმყოფება, ბანაკი, სადაც შიმშილთან ერთად უამრავი საშინელი სენი მძვინვარებს, ერთხელ პრისია თავის გერმანელ მეპატრონეებს, რომლებსაც აუარებელი ძროხები ჰყავთ, რძეს მოპარავს და ნაცნობ პოლონელებს ატანს ბანაკში, მაგრამ ვიღაც დააბეზღებს მას სახლიდან აძევებენ და ტყვეთა ბანაკში გზავნიან. ამ მომენტიდან წყვეტს ავტორი თხრობას პრისიაზე, მკითხველისათვის უცნობი რჩება პერსონაჟის ბედი, რომ არა მწერლის ერთი რემარკა: დავითს ანუ შამილს, როგორც მას რეჟეტნიაკი უწოდებს, ღრმად სწამს, რომ პრისია დაბრუნდება გადასახლებიდან და ისინი ერთად იქნებიან, ტყვია ვერ მომკლავს, სანამ პრისია იქნება ცოცხალიო, ღრმად სწამს დავითს. ეტყობა იმ ღამეს პრისიას გულმა შეწყვიტაო ფეთქვა, - შენიშნავს ავტორი, როდესაც

დავითის დაღუპვის ამბის თხრობას იწყებს, - იმ საღამოს, როდესაც შამილი რკინიგზაზე მივიდა დავალების შესასრულებლად, იარაღით დატვირთულ ეშელონს უნდა ჩაევლო აღმოსავლეთისაკენ და მას უნდა დასხმოდნენ თავს, მაგრამ შუალამისას მოულოდნელად საპატრულო დრეზინა გამოჩნდა. ატყდა სროლა და შამილი სასიკვდილოდ დაიჭრა. მას სისხლი სდიოდა, ბინტი იყო საჭირო, მისმა მეგობარმა ბოგდანმა პერანგი გაიხადა და სახვევებად დახია ჭრილობების შესახვევად, მაგრამ მალე სახვევი აღარ გახდა საჭირო. უკანასკნელი სიტყვები ქართულად თქვა დავითმა. ალბათ თავისი-ანებს ემშვიდობებოდა, - წერს ოლეს გონჩარი.

დაღუპული დავითის ხასიათის აღწერისას მწერალი შესანიშნავ ეპითეტებს აგნებს და მკითხველის წინაშე ნათლად წარმოსდგება მისი გმირის ინდივიდუალობა:

„Згасло життя. Таке буйне, гаряче було і згасло”... [77-190].

ჩაქრა ბობოქარი სიცოცხლე, მარადიულ ძილს მიეცა დავითი მაღალმხატვრულია შემდეგი პასაჟი: მეგობრის დაღუპვით დამწუხრებული ბოგდანი ცხენზე ამხედრებული ბრუნდება და გვერდით დავითის ცხენი მისდევს მხედრის გარეშე, საოცარი ობლობის განცდა ეუფლება ბოგდანს, როდესაც შამილის ცხენის უმხედრო უნაგირს შეავლებს თვალს.

ლამის პეიზაჟიც და ცაზე დაკიდებული სავსე, კაშკაშა მთვარეც ვერ ანელებს იმ დამთრგუნველ რეალობას, რაც რომანში დავითის დაღუპვის გამო იგრძნობა. მთვარის ხილვაზე ბოგდანი ძალაუნებურად გაიფიქრებს ალბათ სადღაც იმერეთის თავზეც ამოდისო და შეავლებს რა თვალს შამილის ცხენს, კაეშანი შემოაწვება გულზე: „У дорозі ім місяць зійшов. Багрянний, несамовито великий, викотивсь, прозирав крізь вали лісосмугий. Десь над Імеретією сходить, - подумалось Богданові, і він із сумом глянув на Шамілевого коня, що тряс порожнім сідлом поруч” [77-194].

მაშასადამე, ბუნება ამ ეპიზოდში, მიუხედავად მისი პოზიტიური იერსახისა, დრამატულ სიტუაციას სიმწვავეს უნარჩუნებს მთვარიან პეიზაჟს ამ მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს ავტორი.

როგორც რომანის ანალიზმა გვიჩვენა, ოლეს გონჩარს თხზულებაში შემოჰყავს რა დავითის სახით უცხოეროვნული პერსონაჟი, აღწერს რა უცხოეროვნული ყოფის ელემენტებს, უკრაინელი მწერალი ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდება და ფაქიზად ძერწავს უცხოეროვნულ გმირს – დავითს, რომელიც რომანში ქართული თემის შემომტანი პერსონაჟია და ავტორი ცდილობს ის თავისი ხალხის საუკეთესო ნიშან-თვისებების მაგარებლად წარმოაჩინოს.

## 2. ოლეს გონჩარი ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთების“ მთარგმნელი

ოლეს გონჩარი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ქართული პოეზიისა და განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ, რასაც უკრაინელი მწერლის მიერ ილიას „ყვარლის მთების“ თარგმნაც ადასტურებს. საქართველოსთან, ქართულ პოეზიასთან სულიერი სიახლოვე და სიყვარული კიდევ უფრო ნათლად გამოჟღავნდა მის თარგმანში. ეს თარგმანი დღესდღეობით ილიას ამ ლექსის ერთადერთი და უალტერნატივო უკრაინული თარგმანია, რომლის მეშვეობითაც უკრაინელი მკითხველი გაეცნო დიდ ილიას უკვდავ „ყვარლის მთებს“ 1987 წელს კიევის გამომცემლობა „დნიპრომ“ გამოსცა ილიას „რჩეული თხზულებები“ უკრაინულ ენაზე. ამ სექლტანიან წიგნში შევიდა უკრაინულ ენაზე თარგმნილი ილიას ლექსები, პოემები, მოთხრობები, სტატიები. წიგნის წინასიტყვაობაში, უკრაინელი მთარგმნელის ო. სინიჩენკოს ილიას პიროვნების შეფასებისას მოჰყავს ოლეს გონჩარის სიტყვები: „*Перегорнемо і ми сторінки життя і творчості великого письменника і громадянина, якого О. Гончар назвав могутнім світочем Грузії*” [103-5].

ამ წიგნის შემდგენელია პროფ. ალექსანდრე მუშკუდიანი. ეს კრებული ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილ გამოცემას წარმოადგენს უკრაინულ ენაზე. იგი იხსნება ილიას „ყვარლის მთების“ გონჩარისეული თარგმანით.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ უკრაინელმა მწერალმა სწორედ ილიას ამ საოცარი პატრიოტული პათოსით დამუხტულ ლექსზე შეაჩერა ყურადღება და მისი თარგმნა გადაწყვიტა.

ამაზე მეტყველებს მწერლის პირად არქივში ჩვენს მიერ ნახული ერთი ნოველა („*Про Лілю, про Валю*”), რომელიც 2002 წელს გამოცემულ გონჩარის დღიურების I ტომში უკვე შევიდა [88-228-229]. ამ ნოველაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ყვარლის მთების“ პირველი სტრიქონი: „*Гори Кварелі, я*

ვас покидаю...” როგორც რეფრენი ისე გასდევს ნაწარმოებს, პერსევერაციად არის ქცეული და ექსპრესიულობას სძენს მას.

ეს ნაწარმოები 1957 წელს შექმნა მწერალმა, ოლეს გონჩარს ამ დროისათვის ჯერ არ ჰქონდა თარგმნილი ილიას „ყვარლის მთებს”, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, იცნობდა ამ ლექსის რუსულ თარგმანს ან პნკარედულ თარგმანს, რადგან ჯერ კიდევ 1957 წელს დაწერილ ნოველაში ჩაურთო სტრიქონი ილიას ლექსიდან.

მწერლის პირად არქივში ჩვენს მიერ ნახული იქნა გონჩარის თარგმანის ავტოგრაფი, დათარიღებული 1960 წლის 2 ივნისით, მაგრამ თარგმანი დაიბეჭდა 1961 წელს. ამ წელს გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველი კლასიკოსების უბადლო მთარგმნელის მიკოლა ბაჟანის რედაქტორობით დაიწყო „ქართველი ხალხის პოეზიის” [98] ანთოლოგიის გამოცემა ორ ტომად.

თარგმანი პირველად დაიბეჭდა „ქართველი ხალხის პოეზიის” I ტომში [98-396-397], შემდეგ კი 1962 წლის 27 ივნისის გაზეთ „ლიტერატურნა უკრაინაში” [70]. ვფიქრობთ, რომ „ყვარლის მთების” პნკარედული თარგმანი, რომელიც ხელთ ჰქონდა მთარგმნელს, გიორგი ნამორაძეს უნდა ეკუთვნოდეს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა, გონჩარს ჰქონდა მიმონწერა გიორგი ნამორაძესთან, უკრაინაში მოღვაწე ქართველ მთარგმნელთან. ოლეს გონჩარის პირად არქივში ინახება გ. ნამორაძის გონჩარისადმი მიწერილი წერილის ავტოგრაფი, რომელშიც ატყობინებს ოლეს გონჩარს, რომ მიიღო მისი წიგნი (წერილში არ არის მითითებული კონკრეტულად გონჩარის რომელ ნაწარმოებზეა საუბარი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, საუბარია რომან „ტრონკაზე”, რომელსაც 1964 წელს ლენინური პრემია მიენიჭა – გ. კ.) და პირდება მწერალს რომ ყველაფერს იღონებს, რათა ქართველი მკითხველი გაეცნოს ამ წიგნს. „Великі спасибі. Одержав книгу і Вашого листа. Постораюсь все зробити як треба. Бажаю здоровія і усього найкращого на світі. Ваш Георгій Наморадзе 26 / V. 64 p.”. წერილი დათარიღებულია 1964 წლის 26 მაისით, ხოლო 1964 წლის

25 სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ უკვე იბეჭდება გიორგი ნამორაძის მიერ უკრაინულიდან თარგმნილი ერთი თავი რომანიდან „ტრონკა“. წერილის ავტოგრაფიდან ირკვევა, რომ ოლეს გონჩარსა და გ. ნამორაძეს ჰქონიათ მიმოწერა და ერთმანეთს ლიტერატურულ საქმიანობაში ეხმარებოდნენ. ეს ავტოგრაფი გონჩარის პირად არქივში ინახება.

ოლეს გონჩარის პირად არქივში ჩვენს მიერ ნახული „ყვარლის მთების“ თარგმანის ავტოგრაფი დათარიღებულია 1960 წლის 2 ივნისით. ამ დროისათვის უკვე არსებობდა რუსი პოეტისა და მთარგმნელის ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ შესრულებული ილიას ლექსის თარგმანი, რომელსაც 1960 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემულ ილიას „თხზულებათა“ 1 ტომში შევიდა [59-15-16]. პწკარედის გარდა თარგმნისას ოლეს გონჩარს ერთ-ერთ დამხმარე წყაროდ სწორედ ეს რუსული თარგმანი უნდა გამოეყენებინა.

დაბეჭდილი ვარიანტი განსხვავდება ავტოგრაფისაგან, მწერალს გარკვეული ცვლილებები შეუტანია თავის თარგმანში. შემდგომ გამოცემებში (1961, 1962, 1987) კი მწერალს ტექსტი უცვლელად დაუტოვებია. ოლეს გონჩარის თარგმანს ქართველი მკვლევარი ნური ვერძაძე ეხება 1973 წელს დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში „ქართული პოეზიის ენობრივ და სტილისტურ თავისებურებათა გადატანის საკითხი უკრაინულ ენაზე“ და, ასევე, 1995 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციაში „პოეტური ენა და თარგმანი“, მაგრამ ამ ნაშრომებში ოლეს გონჩარის თარგმანი არ იყო მეცნიერის საგანგებო კვლევის საგანი, მათში მხოლოდ ზოგადად არის 1962 წელს დაბეჭდილი თარგმანი განხილული და მოცემულია სწორი დასკვნები, მაგრამ მკვლევარი ეყრდნობა მხოლოდ 1961 წლის ვარიანტს, რადგან არ ჰქონდა ხელთ ოლეს გონჩარის თარგმანის ავტოგრაფი. ჩვენ ვისახავთ მიზნად დეტალურად გავაანალიზოთ ო. გონჩარის თარგმანი და შევუდაროთ ერთმანეთს ხელნაწერი და 1961 წელს დაბეჭდილი ვარიანტი.

როგორც ცნობილია, თარგმანზე მსჯელობისას ყველაზე ხელსაყრელ მასალას ერთი დედნის რამდენიმე თარგმანი იძლევა. ასეთ შემთხვევაში უფრო იოლია ობიექტური დასკვნის გამოტანა, რა შეიძლებოდა თარგმანში

ზუსტად გადმოცემულიყო და რა არა, ასევე სხვადასხვა თარგმანის შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტის ფარგლები და შესაბამისად, მიახლოებით მაინც მოვნიშნოთ პოეტური თავისუფლების საზღვრებიც.

ამ მიზნით განვიხილოთ „ყვარლის მთების“ გონჩარისეული თარგმანი და ნ. ზაბოლოცკის მიერ შესრულებული ის რუსული თარგმანი, რომელსაც იცნობდა თარგმნის მომენტში ო. გონჩარი და, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა დამხმარე წყაროდაც იყენებდა.

თარგმნა, და განსაკუთრებით ლირიკის თარგმნა, დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. ლირიკის ავტორის ყველა ქმნილება მისი ავტოპორტრეტია, მისი ბიოგრაფიის ნაწილი, ამიტომ მთარგმნელს მოეთხოვება, კარგად შეისწავლოს ეს პორტრეტი და არ დაამახინჯოს იგი. „ყვარლის მთები“ ილიას პოეზიაში მხატვრულობით გამორჩეული ლექსია. ილიას ძალუძს სათქმელის მაღალ ემოციურად გამოხატვა. „მწერლის სული შეესისხლხორცა მის წინ განფენილ რეალობას – ყვარლის მთებს, მის შემოგარენს, დრო-სივრცეს, ზოგადად მის ირგვლივ დამკვიდრებულ სიცოცხლეს“, - აღვნიშნავს ლიტერატურათმცოდნე თ. კიკაჩიშვილი [16-13].

პოეტის ლექსი იწყება ყვარლის მთებისადმი მიმართვით:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,  
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავინყებასა;  
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,  
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“ [28-35]

„ყვარლის მთებს“ თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონებითაა დაწერილი და რითმა პარალელურია.

რუსი მთარგმნელი ამ სტროფს ასე თარგმნის:

„Горы Кварели! Вдали от родного селенья  
Может ли сердце о Вас вспоминать без волненья?  
Где бы я ни был, со мною вы, горы, повсюду, -  
Сын ваш мятежный, ужели я вас позабуду?“ [60-15-16].

ოლეს გონჩართან ეს ადგილი ასე ჟღერს:

I ვარიანტი 1960 წლის ავტოგრაფიდან:

„Горы Кварелі! Надовго я вас покидаю.

**В а с я у с е р д ц і н е с т и м у** далеко від отчого краю.

В мандрах моїх нерозлучно із серцем усюди

Образ ваш вічний мене супроводити буде”.

ო. გონჩარს 1960 წლის ავტოგრაფში საკუთარი ხელით ჩაუსწორებია პირველი სტროფის მეორე სტრიქონი და დაბეჭდილ თარგმანში სწორედ ამ შესწორებული სახით გვხვდება ეს სტროფი. ჩვენს მიერ მოყვანილი პირველი ვარიანტი მხოლოდ ავტოგრაფმა შემოგვინახა.

II ვარიანტი 1961 წელს დაბეჭდილი:

„Горы Кварелі! Надовго я вас покидаю.

**Б у д ь т е ж з і м н о ю** далеко від рідного краю

Ви нерозлучно, як серце, зі мною усюди,

Образ ваш в мандрах мене супроводити буде” [98-396].

(რადგან 1961 წელს დაბეჭდილი თარგმანი უცვლელად დაიბეჭდა 1962 წელსაც და ასევე უცვლელად შევიდა 1987 წელს გამოცემულ წიგნში ჩვენ ავტოგრაფს ვუდარებთ მხოლოდ 1961 წლის თარგმანს – გ. კ.).

ნ. ზაბოლოცკისთან პოეტის მიმართვა ყვარლის მთებისადმი რიტორიკული კითხვის ინტონაციას შეიცავს, რაც დედანში არ არის. ეს მთარგმნელს რითმისთვის დასჭირდა, რამაც აზრობრივი სიზუსტე შეინირა. თარგმანში სტრიქონები ანალოგიურად თოთხმეტმარცვლიანია და რითმა პარალელური. ოლეს გონჩარის თარგმანშიც შენარჩუნებულია დედნის თოთხმეტმარცვლიანი სტრიქონები და პარალელური რითმა, ორივე მთარგმნელთან მეტრი დედნის ანალოგიურია, მაგრამ უკრაინელი მწერალი უფრო მეტად ახერხებს დედანთან მიახლოებას მოყვანილ სტროფში. ასევე მიგვაჩინია, რომ ნ. ზაბოლოცკის მიერ თარგმანის პირველ სტრიქონში ნახმარი სიტყვა „селенье” ასუსტებს იმ პათეტიკურ ტონს, რაც აუცილებლად სჭირდება ამ ლექსს და უფრო ლოკალური მნიშვნელობის სიტყვად მოიაზრება,

ვიდრე ო. გონჩარის მიერ მოძებნილი შესატყვისი „отчий край” ან „рідний край”.

პოეტური ხილვებით შეპყრობილი შემოქმედი აღელვებული მიმართავს მშობლიურ სანახებს:

„მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს  
და შევნატროდი ყმანვილურად თქვენს ზემო მხარეს;  
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,  
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,  
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული,  
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული...” [28-35].

თითოეული ტაეპიდან სისადავის ამაღლებულობა გამოკრითის.

დედნის ამ ნაწილში, როგორც ვხედავთ, სუფევს მკაცრი ჰარმონია, ახ-  
ლა ვნახოთ თარგმანებში როგორ არის რეპროდუცირებული დედნის გან-  
წყობა.

ნ. ზაბოლოცკისთან:

„Полный восторга, взырая на ваше величье,  
Дивные тайны стремился душою постичь я, -  
Тайны вершин, пропадающих в дымке туманов,  
Где раздается ликующий гул ураганов.  
Где, задыхаясь, летит караван журавлиный.  
Еле равнаясь с далекою вашей вершиной!” [60-396].

ოლეს გონჩართან ეს სურათი ასეა თარგმნილი:

„В час, коли в небо, на ваши звабливі верхів' я  
В захваті рвався, душею спрагливо летів я!  
Там, де не сміють літати і хмари похмурі  
Де, лиш гогочуть свавільні розхристані бурі  
Де, ледве мріючи в небі, ключі журавлині  
Линуть у далеч, пославши привіт верховині” [98-396].

ეს ადგილი ავტოგრაფსა და დაბეჭდილ ვარიანტში ანალოგიურია, ამიტომ მოგვყავს აქ მხოლოდ 1961 წელს დაბეჭდილი ვარიანტი. ორივე მთარგმნელი თავისებურად გადმოგვცემს ილიას მიერ დახატულ ბუნების სურათს, რომელიც დედანში თითქოს ერთადერთი შეუცვლელი ფონია ადამიანური მისწრაფებებისა და მიზნების გამოსახატავად. ილია, ხატავს რა მშობლიურ პეიზაჟს მასში აქსოვს ღრმა მხატვრულ იდეას – ადამიანსა და მის გარემომცველ სინამდვილეს შორის შინაგანი კავშირისას, მათ შორის არსობრივი ურთიერთდამოკიდებულებისას. რუსი მთარგმნელი ცდილობს გადმოგვცეს ის მკაცრი ჰარმონია, რაც ორიგინალშია, ცდილობს აღადგინოს დედნის განწყობილება, მაგრამ ამ ამოცანას შეეწირა აზრობრივი სიზუსტე ლექსში, გაჩნდა არარსებული დეტალი, რომელმაც, ასე ვთქვათ, შემავსებელი როლი ითამაშა. მთარგმნელს შემოაქვს ასეთი პასაჟი: თითქოს პოეტი ესწრაფვის ჩასწვდეს მწვერვალთა საიდუმლოებებს: „Тайны вершин, пропадающих в дымке туманов”, რუსი მთარგმნელის მიერ დამატებული „в дымке туманов” ამ ფრაზაში მთლიანად პოეტურად არ ჯდება და საერთოდ, ეს ფრაზა უზუსტობას შეიცავს, ილიასთან აქცენტირებულია, რომ პოეტი თრთოლვით ჭვრეტს მშობლიური მთების სიმაღლეს შენატრის და შეჰხარის მათ, მთარგმნელის მიერ კი ეს ადგილი ინტერპრეტირებულია, ისე როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ.

დედანში ნახმარი ხატოვანი გამოთქმა „წეროთა ქარავანი” რუს მთარგმნელს უცვლელად გადააქვს „караван журавлиный.” ილიასთან წეროთა ქარავანი „ცას დაღუპულია”. „დაღუპული” ტექსტში გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა-მეტაფორაა, რომელიც ილიამ „დაკარგულის” მნიშვნელობით იხმარა. როგორც აღვნიშნეთ, ორიგინალში აღწერილი ბუნების სურათში სუფევს მკაცრი ჰარმონია და იდილია, რუსულ თარგმანში გარკვეულ უზუსტობად შეიძლება ჩაითვალოს მთარგმნელის მიერ დამატებული „Где, задыхаясь, летит”... საუბარია წეროთა ქარავანზე, რომელიც თარგმანის მიხედვით სუნთქვაშეკრული უნდა მიფრინავდეს, რასაც დისონანსი შემოაქვს თარგმანში. უკრაინულ თარგმანში დედნის თითქმის ყველა

სტილური ნიუანსი შენარჩუნებულია, მეტად, ვიდრე რუსულ თარგმანში, ოლეს გონჩარი მარჯვედ ახერხებს ისეთივე ინტონაციითა და განცდით გადმოსცეს ბუნების სურათი, როგორც ეს ილიას აქვს ჩაფიქრებული. თარგმანშიც დომინირებს ამაღლებული განწყობა, რუსი მთარგმნელისაგან განსხვავებით ოლეს გონჩარი „წეროთა ქარავანს“ უკრაინულ ხატოვან ეკვივალენტს: „ключі журавлині“ უძებნის, რაც კარგი შესატყვისია და კარგად ჯდება ლექსის რიტმიკაში, ორიგინალის მხატვრულობაც შენარჩუნებულია და თან უკრაინელი მკითხველისათვისც უფრო გასაგები და მისაღებია, მაგრამ უკრაინელი მთარგმნელი გარკვეულ თავისუფლებას მაინც იჩენს დედნის მიმართ და ყოველთვის დედნის ერთგული ვერ რჩება: წეროები რომ სალამს უგზავნიან მწვერვალებს და ისე განაგრძობენ ფრენას – ეს პოეტური პასაჟი ო. გონჩარს ეკუთვნის და არა ილია ჭავჭავაძეს.

ილიას „ყვარლის მთების“ შემდეგ მონაკვეთში შედარება ჰიპერბოლის ნიშნებს ატარებს, რაც ექსპრესიულობას მატებს ამ ადგილს:

„როცა ჰლმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,  
ვით ას მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი, -  
ვითა ფოთოლი, ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,  
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რალაცას, ნაცნობს, მშობლიურს“ [28-35].

ასი მრისხანე ლომის საშიშ ხმას მიმსგავსებულმა მძვინვარე ქარების ღმუილმა, რომ ფოთოლივით ააცახცახოს ყურის მიმგდები, დასაშვებია, მაგრამ თითქოს შეუსაბამოა ის, რაც შიშით გათრთოლებს, იმავ დროს „რალაც ნაცნობს, მშობლიურს“ შეგაგრძნობინებდეს. თ. კიკაჩიშვილი „ყვარლის მთების“ ამ მონაკვეთის განხილვისას შეუსაბამობას ასე ხსნის: „მოვლენა თითქოს პარადოქსულია, მაგრამ, როგორც ჩანს, ყრმის შინაგანი მოთხოვნილება მძაფრისა და ენერგიულის შესისხლხორციებაა, აქტიურის გათავისებაა, რის შედეგადაც, ცხადია, შესაძლებელი ხდება ძრწოლით დათრგუნვა და ერთი შეხედვით შეუსაბამოში – ლოგიკურის შემჩნევა“ [... 89].

ახლა ვნახოთ როგორ აქვთ სათანადო ადგილი თარგმნილი.

ნ. ზაბოლოცკი:

„В час, когда ветры, нарушив ночное молчанье,  
Львиное в пропасти вдруг исторгали рычанье.  
О, как дрожал я! Но, внемля раскатам обвала,  
Звуки родные душа моя в них узнавала” [60-396].

ოლეს გონჩარი, 1961 წლის ვარიანტი:

„Глупої ночі, коли в межигір' ях від люті  
Лев' ячим ревом ревли вітрюгани розкуті,  
О, як тремтиів я! Та навіть у ревищі тому  
Рідне було щось, привітне хлоп' яті малому” [98-397].

„ყვარლის მთების” ამ მონაკვეთში ილია ორ სტრიქონს ვით და ვითა კავშირებით იწყებს, ორჯერ მიყოლებით კავშირის ხმარება შემთხვევითი არ არის, ისინი ერთად იმ მიზნით დაჯგუფდნენ, რათა შედარების თავისებური მიკროსისტემა წარმოექმნათ. ვით და ვითა კავშირთა გამეორება, რაც დედანს კიდევ უფრო ემოციურსა და გამომსახველს ხდის, მთარგმნელებმა ვერ მოახერხეს მათი გადატანა თარგმანებში. დედანში ქართა ღმუილი ილიასთან შედარებულია ასი მრისხანე ლომის საშიშ ხმასთან, მთარგმნელებმა ეს შედარება ეპითეტების გარეშე გადაიტანეს, „მრისხანე ლომი” და „დაჭრილი ლომი” ე. წ. შაბლონური ეპითეტებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დედანში მათ ექსპრესიულ-ემოციური ფუნქცია აკისრია და ამ ეპითეტების მეშვეობით შედარება აზრობრივად დამუხტული და ემოციურად ეფექტურია, ხოლო მეორე შედარება მთარგმნელებმა საერთოდ არ გადაიტანეს თარგმანებში „ვითა ფოთოლი, ისე ვთრთოდი” რუსულ თარგმანში გადავიდა „О, как дрожал я”, უკრაინულში ანალოგიურად „О, як тремтиів я”, ეს მსგავსება ოლეს გონჩართან შეიძლება რუსული თარგმანის გავლენით იყოს გამოწვეული. ვითა კავშირით წარმოდგენილი შედარება ორივე თარგმანში დაიკარგა, რამაც დაარღვია ორიგინალის ტექსტში არსებული შედარებათა თავისებური მიკროსისტემა და თარგმანებს შეუმცირა ექსპრესიული ეფექტი.

ჩვენს მიერ აქ მოყვანილ „ყვარლის მთების“ ამ სტროფის რუსულ თარგმანში კარგად უახლოვდება დედანს ბოლო სტრიქონი. ხოლო ამ სტროფის პირველ სტრიქონში ნ. ზაბოლოცკი თავისუფლებას იჩენს და შემოაქვს არარსებული დეტალი „ლამის სიჩუმის“ სახით, რომელსაც ქარი არღვევდა. დედანში „ლამე“ საერთოდ არ გვხვდება და ეს სტრიქონი დედანს შორდება. ხოლო უკრაინულ თარგმანში ამ სტროფის პირველი სტრიქონი გავრცობილია, რომ ხევში ღმუოდნენ სასტიკნი ქარნი, ოლეს გონჩარის თარგმანში კი სასტიკნი ქარნი ღმუოდნენ ლამით და თანაც მთარგმნელს შემოაქვს ლამის ეპითეტი „глупої ночі“, ეს კარგი ხატოვანი გამოთქმაა, რომელშიც ეპითეტი „глупої“, „темний“-ის სინონიმია, და „ბნელს“ ნიშნავს. ეს ჩამატება ოლეს გონჩარის პოეტური თავისუფლების შედეგია და ლამაზად არის ნათქვამი, მაგრამ დედანს შორდება.

ოლეს გონჩარის თარგმანის 1960 წლის ავტოგრაფში ეს სტრიქონი სხვაგვარად უღერს:

„В північ глибоку, коли в межигір' ях від люті

Лев' ячим ревом ревли витрюгани розкуті“...

„В північ глибоку“ „შუალამეს“ ნიშნავს, მაგრამ სტრიქონი აქაც გავრცობილია და სახეცვლილი, თუმცა პოეტურად ორივე ვარიანტი მშვენიერია.

ახლა ვნახოთ შემდეგი სტროფი:

„თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმონონება,

ან მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება

თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,

გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქ ა რ თ ვ ლ ა დ გაზრდილი“

[28-36].

ნ. ზაბოლოცკი:

„Детскому сердцу довольство собой незнакомо,

Ныне же, горы , я горд, что воспитан я дома .

Ныне горжусь я что, сын этой дыкой природы,

Вырос я в бурях и рано узнал про невзгоды” [60-396].

ახლა ვნახოთ ეს ადგილი ოლეს გონჩარის თარგმანში, რადგან დაბეჭდილი ვარიანტი ავტოგრაფს მისდევს, მოგვყავს მხოლოდ ერთი ვარიანტი თარგმანისა:

„Серце дитяче тоді ще гордиться не вміло, -

Зараз же вами воно потішається сміло.

Ви, мої гори, моя **м а т е р и н с ь к а** **к о л и с к а** ,

грім мій гримить тут, моя блисковиця тут блиска” [98-397].

(ხაზი ყველგან ჩვენია – გ. კ)

დედაში ხაზგასმულია, რომ ილია „ქართველად გაზრდილია”, ეს გამოთქმა გამორჩეულ ემოციურ იერს აძლევს ლექსს და მნიშვნელოვანი პასაჟია, რუსულ თარგმანში აზრობრივი სიზუსტე დარღვეულია და მთარგმნელის ინტერპრეტაცია ამ პასაჟს უფრო ნეიტრალურს და უემოციოს ხდის. ოლეს გონჩარის მიერ ნახმარი უკრაინული ხატოვანი ნათქვამი „материнська колиска”, რაც სიტყვა-სიტყვით „დედისეულ აკვანს” ნიშნავს ექსპრესიულ ეფექტს ნამდვილად ქმნის და კარგი შესატყვისია დედაში ნათქვამი გამოთქმისა, დედნის განწყობა მშობლიურ ენაზე კარგად აღადგინა აქ ოლეს გონჩარმა.

ილიას ძლიერ უჭირს მის სულთან შესისხლხორციებულ ყვარლის მთებთან განშორება:

„მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,

და რას მომთხოვდა უარსესსა დასასჯელადა?!

ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცხენის ჩემთან მაშორებს,

ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მაოგნებს...

აგერ თქვენც ჰქრებით თანდათანა... თქვენსა მწვერვალსა,

ძლივს ვარჩევ... წუთიც!/: მხოლოდლა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა” [28-36].

როგორც ვხედავთ, აქ ინტონაცია სევდის შემცველია, ყვარლის მთებისადმი ამ მიმართვაში ნათლად მოჩანს პოეტის ეგზალტირებული სულიერი მდგომარეობა.

ახლა გავეცნოთ თარგმანებს, ვიდრე შევაფასებდეთ მათ:

ნ. ზაბოლოცკი:

„Судьбы грядущего требуют нашей разлуки, -  
 Можно ли требовать более тягосной муки!  
 Конь мой торопится, стонет душа от печали,  
 С каждым вы шагом уходите в синие дали...  
 Вот вы исчезли... И только вершины седые  
 Еле видны... И расстался я с вами впервые...” [60-396]

ოლეს გონჩარი, 1960 წლის ავტოგრაფი:

„Доля майбутнього кличе і вже я в дорозі,  
 Цю відвернути розлуку ніхто не в спромозі.  
 Кінь мій незрадний все далі від вас, усе далі  
 В серце карбую вас, гори, як знаки на сталі.  
 Ось ви зникаєте, ледве помітні для ока...  
 Там, де були ви, блакить розлилася глибока...”.

1961 წელს დაბეჭდილი ვარიანტი:

„Доля моя вимагає із вами розлуки,  
 Кинути вас, - о, немає лютішої муки!  
 Кінь мій несе мене далі від вас, усе далі  
 Я покидаю вас, мов сирота, у печалі.  
 Ось ви зникаєте, ледве помітні для ока...  
 Там, де були ви, блакить розлилася глибока...” [98-397].

რუსულ თარგმანში შენარჩუნებულია დედნისეული რიტმი და ინტონაცია, მაგრამ ამის მისაღწევად მთარგმნელს შემოაქვს ისეთი დეტალები, რაც ორიგინალში არ გვხვდება, „ჭალარა მწვერვალები” დედანში არ არის, ეს ეპითეტი მთარგმნელს ეკუთვნის, ილიასთან არ არის კონკრეტიზებული ის, რომ იგი პირველად შორდება მშობლიურ სანახებს, ნ. ზაბოლოცკისთან

კი მეტი კონკრეტიზაცია აღინიშნება და ჩნდება ზედმეტი პასაჟი: „... И расстался я с вами впервые...”.

ოლეს გონჩარის თარგმანის 1960 წლის ავტოგრაფში, ჩვენი აზრით, კარგად არის მოძებნილი დედნის განწყობილების შესაფერისი რიტმი და ინტონაცია, თუმცა ეს მთარგმნელიც პოეტურ თავისუფლებას ავლენს და დედნის სიზუსტეს მთლიანად არ იცავს: „уже я в дороге” – ეს გავრცობილი ფრაზა, რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს „მე უკვე გზაში ვარ” მთარგმნელმა შემოიტანა ტექსტში, ასევე ოლეს გონჩარს შემოაქვს თარგმანში ცხენის ეპითეტი „незрადный”, რაც „ერთგულს”, „უღალატოს” ნიშნავს, დედნის აზრსაც და ემოციურ მხარესაც თავისუფლად ატევს მთარგმნელი მშვენიერ პოეტურ მიგნებაში: „ В сердце карбую вас, гори, як знаки на сталі”, რაც ნიშნავს „გულში აღბეჭდავთ, მთებო, როგორც ფოლადზე ამოტვიფრულ ნიშნებს”, როგორც კავშირიანი ეს ოსტატური შედარება, უკრაინელ მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის პოეტის ეგზალტირებულ, სულიერ მდგომარეობაზე. უკრაინული გამოთქმა „як знаки на сталі” ამ თარგმანში უნიკალური, განუმეორებელი სამკაულია, რაც მთარგმნელის დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს და მიგვაჩნია, რომ ამ გამონათქვამის შემოტანა თარგმანში გამართლებულია, რამეთუ თარგმანის ენისათვის არ არის უცხო და ხელოვნური და თან, როგორც აღვნიშნეთ, დედნის განწყობილებას კარგად შეესატყვისება. რუს მთარგმნელისგან განსხვავებით ოლეს გონჩართან არ ხდება ბოლო სტრიქონის ნ. ზაბოლოცკისეული კონკრეტიზაცია, რითაც ოლეს გონჩარის მიერ თარგმნილი ეს სტრიქონი დედანს უფრო უახლოვდება. სამწუხაროა, რომ ზემოხსენებული პოეტური პასაჟები მხოლოდ ავტოგრაფმა შემოგვინახა და 1961 წელს გამოქვეყნებულ ვარიანტში ისინი დაკარგულია. ოლეს გონჩარის თარგმანის გამოქვეყნებული ვარიანტის ზემოთმოყვანილ მონაკვეთში უფრო დედნის ერთგულების პრინციპი იკვეთება, ამ თარგმანში მაქსიმალურადაა დაცული აზრობრივი სიზუსტე, შენარჩუნებულია დედნისეული რიტმი და ინტონაცია, მაგრამ ავტოგრაფის მშვენიერი პოეტურობა ნაწილობრივ დაკარგულია: ცხენს ეპი-

თეტი აღარ აქვს და ისევ ჩვენს მიერ განხილული მხატვრულობით გამორჩეული სტრიქონი სახეცვლილია შემდეგნაირად: „покидаю вас, мов сирота, у печалі”. ის, რომ ყოველი წუთი განშორებისა ილიას „აობლებს” ანუ ეულს, უთვისტომოს ხდის, არ გადავიდა რუსულ თარგმანში, არც ოლეს გონჩარის ავტოგრაფშია დაფიქსირებული, ხოლო უკრაინული თარგმანის 1961 წლის ვარიანტში კი აღდგენილია ეს სიტყვა „сирота”-ს სახით და სიზუსტე დედანთან დაცულია, ზედმინევნით ზუსტადაა აქ გადმოცემული ლექსის შინაარსობრივი მხარე.

„მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...  
უცხოეთიდამ კვლავ მოგანვდენტ ჩემს გულს და თვალსა;  
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი ს უ ლ ი ,  
და დამინყებსა სიყვარულით ფეთქასა გული” [28-36].

ნ. ზაბოლოცკი:

„О, так прощайте же, дивные горы Кварели!  
**С е р д ц е** мое, любившее вас с колыбели,  
Вечной любовью к великой отчизне пылая,  
Вам улыбнется, рыдая, из дальнего края!” [60-396].

ოლეს გონჩარი, 1960 წლის ავტოგრაფი:

„О, так прощайте же, ви, гори Кварелі чудові,  
З краю далекого поглядом, повним любові,  
Син ваш долине сюди, до гірської оселі,  
Й ніжно **д у ш а** усхмітнеться вам, гори Кварелі” [98-397].

1961 წლის ვარიანტი:

„Плачу, бо мушу вас, гори кохані, покинуть, -  
Серцем до вас з чужини буду рватись і линуть.  
Син ваш вернеться, сюди, до гірської оселі,  
Й ніжно **д у ш а** усхмітнеться вам, гори Кварелі”.

(ხაზი ყველგან ჩვენია - გ. კ.)

პოეტის დაპირებაში მშობლიური მწვერვალებისადმი, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი პასაჟია:

„კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული“ დახვეწილი გამოხატულებაა იმ შინაგანი მოთხოვნებისა, რომლითაც შეპყრობილია პიროვნება.

გაპიროვნებით სულის ღვწის წვდომაა გამოკვეთილი და ამით შეიძლება კარგად შეფასდეს ადამიანის სანუკარი მიზნებისა და მისწრაფებების ხასიათი. ილიას გაპიროვნება განსაკუთრებით ხატოვანია. ნ. ზაბოლოცკის თარგმანში ეს სტილისტური ხერხი სახეცვლილია. მთარგმნელმა „ლიმლის“ ფუნქცია „გულს“ დააკისრა, რითაც დაიკარგა ილიასეული ტროპის აღნიშნული სახე.

რუსულ თარგმანში უადგილოდ ჟღერს გამონათქვამი „великая отчизна“, რაც დედანში არ გვხვდება. ოლეს გონჩარის 1960 წლის ავტოგრაფის შესაბამისი ადგილის პირველი სტრიქონი აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ნ. ზაბოლოცკისეულ რუსულ თარგმანს, ამ სტრიქონში აშკარად ჩანს რუსული თარგმანის გამოყენების კვალი, მაგრამ 1961 წლის ვარიანტში ოლეს გონჩარი ამ სტრიქონს ცვლის, რის შედეგადაც მის თარგმანში ქრება რუსული თარგმანის გამოყენების კვალი. ოლეს გონჩარის მიერ თარგმნილი ეს სტროფი ზედმიწევნით ახლოა დედანთან, მასში შენარჩუნებულია ილიას გაპიროვნება, რომლითაც სულის ღვწის წვდომაა გამოკვეთილი და ეს მნიშვნელოვანი პასაჟი უკრაინულ თარგმანში შენარჩუნებულია, რაც დაიკარგა ნ. ზაბოლოცკისეულ რუსულ თარგმანში. ლექსის განწყობილების უფრო მძაფრად გამოსახატავად ოლეს გონჩარის თარგმანის მიხედვით პოეტის დაპირებაში მშობლიური მწვერვალებისადმი აქცენტირებულია, რომ პოეტი აუცილებლად დაუბრუნდება მშობლიურ სანახებს, რაც გამართლებულად მიგვაჩნია. „Син ваш вернется сюди, до гірської оселі“, - ამ სტრიქონში დედნისა და თარგმანის ზუსტ შესაბამისობაზე მიუთითებს თარგმანში ოლეს გონჩარის მიერ მოძებნილი შესიტყვება „гірська оселя“, რაც „მთის სავანეს, სამყოფელს“ ნიშნავს, უფრო უახლოვდება დედანს და

უფრო კარგი პოეტური მიგნებაა, ვიდრე ნ. ზაბოლოცკის მიერ რუსულ თარგმანში შემოტანილი გამოთქმა „великая отчизна“.

განხილული მასალის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. ილიას ლექსმა მთარგმნელების ხელში სხვადასხვანაირი ცვლილებები განიცადა, ნ. ზაბოლოცკიც და ო. გონჩარიც პოეტურ თავისუფლებას ავლენენ და დედანს მეტ-ნაკლებად შორდებიან. ორივე ინდივიდუალური სტილის მქონე მთარგმნელია და განხილულ თარგმანებში მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს პოეტური ენის შემოქმედებითად ფლობის უნარი.

2. როგორც ჩანს, ოლეს გონჩარი თარგმნისას პნკარედით სარგებლობდა, თუმცა ორიგინალის აზრის დეკოდირების ფაზაში დამხმარე წყაროდ, ჩვენი აზრით, აქ განხილული ნ. ზაბოლოცკისეული რუსული თარგმანი უნდა გამოეყენებინა. ოლეს გონჩარის თარგმანში რამდენგანმე გაიელვებს ნ. ზაბოლოცკისეული რუსული თარგმანის მკრთალი კვალი, მაგრამ ამას არსებითი გავლენა არ მოუხდენია უკრაინულ თარგმანზე, როგორც აღვნიშნეთ იგი მხოლოდ დამხმარე წყაროს ფუნქციას ასრულებდა.

3. ოლეს გონჩარის თარგმანის დაბეჭდილი ვარიანტისა და გამოუქვეყნებელი პირვანდელი ავტოგრაფის ვარიანტის შედარებამ გვიჩვენა, რომ უკრაინელი მწერლისათვის თარგმანი შემოქმედების ფორმაა და სათარგმნი ტექსტი მეცნიერული ნაკითხვისა და ანალიზის ობიექტი, რის გამოც ოლეს გონჩარი ილიას „ყვარლის მთების“ მისეული თარგმანის გამოქვეყნებას არ ჩქარობდა, ვიდრე ტექსტს მისთვის მისაღებ კონდიციამდე არ მიიყვანდა.

4. ოლეს გონჩარი თარგმანში ყოველთვის ითვალისწინებს ადრესატს, მის მიერ თარგმანში შეტანილი უკრაინული ხატოვანი გამონათქვამები („ключі журавлині“, „материнська колиска“, „як знаки на сталі“ და სხვ.) ბუნებრივია უკრაინელი მკითხველისთვის ანუ თარგმანის მიმღები კულტურისათვის, ამითაა განპირობებული ოლეს გონჩარის მიერ თარგმანში განხორციელებული ტრანსფორმაციები ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე.

5. ოლეს გონჩარის მიერ შესრულებულ უკრაინულ თარგმანში უკეთაა მოძებნილი დედნის განწყობილების შესაფერი რიტმი და ინტონაცია და აზრობრივი სიზუსტეც უფრო მეტადაა დაცული, ვიდრე ნ. ზაბოლოცკისეულ რუსულ თარგმანში.

განხილული მასალა გვაძლევს საფუძველს დავეთანხმოთ მკვლევარ ნური ვერძაძეს იმაში, რომ „ოლეს გონჩარის თარგმანი ტოლს არ უდებს ორიგინალს“ [37-16]

როგორც ცნობილია, ყოველი ნაწარმოების თარგმნა მისი მოქმედების არეალის გაფართოებას ნიშნავს. იგი სხვა ერისა და კულტურის წიაღში ინყებს ფუნქციონირებას. ქართული კულტურის, ილიას მადლიანი სიტყვის უკრაინულ არენაზე გატანის საქმეში, როგორც ვნახეთ, ოლეს გონჩარმაც შეიტანა თავისი ნვლილი და მისეულმა თარგმანმა კიდევ ერთხელ აგრძნობინა უკრაინელ მკითხველს ილია ჭავჭავაძის სიდიადე.

### 3. ოლეს გონჩარი ქართველი მწერლების შესახებ

ოლეს გონჩარი ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში და საჯარო გამოსვლებში არაერთხელ შეხებია საქართველოსა და ქართველ მწერლებს და არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოუთქვამს. მის კალამს ეკუთვნის ღრმა ერუდიციითა და შთაგონებით დაწერილი წერილები ქართულ ლიტერატურასა და საერთოდ ქართულ კულტურაზე.

სავსებით კანონზომიერია, რომ დიდი უკრაინელი მწერლის განსაკუთრებული ყურადღება ილია ჭავჭავაძემ მიიპყრო.

„საქართველოს მძლეთამძლე შუქურა“ ასე დაარქვა მწერალმა თავის წერილს, რომელიც 1962 წლის 25 ნოემბრის „პრავდა უკრაინაში“ დაიბეჭდა რუსულ ენაზე და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 125 წლისთავს მიეძღვნა. სტატიის სათაურშივე მოცემულია ოლეს გონჩარის დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი.

წერილის დასაწისში ოლეს გონჩარი ლაპარაკობს ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობაზე არა მხოლოდ ქართველი ხალხისათვის, არამედ სხვა ხალხებისათვისაც. ამ დროისათვის ოლეს გონჩარს უკვე ჰქონდა თარგმნილი ჩვენს მიერ ზემოთგანხილული ლექსი „ყვარლის მთებს“ უკრაინელი შემოქმედის ინტერესი დიდი ქართველი მოაზროვნისადმი ამით არ ამონურულა. ამას ნათლად ადასტურებს მწერლის გამოსვლები და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ილია ჭავჭავაძის შესახებ. „მძლეთამძლე შუქურაში“ მწერალი ახდენს მცირეოდენ ექსკურსს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა ისტორიაში, იხსენებს დავით გურამიშვილს, რომელიც ქართულ მიწაზე დაიბადა და მეორე სამშობლო უკრაინაში ჰპოვა.

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს კავკასიელთა თავისუფლებისმოყვარეობას, სწორედ თავისუფლებისათვის მეზობელ კავკასიელ ხალხებს უცხადებს სოლიდარობას მსოფლიო პოეზიის შედეგ პოემა „კავკასში“. ტარას შევჩენკო, როდესაც ქმნის უკვდავი, მარად ცოცხალი პრომეთეოსის სახეს. და ჩვენ, უკრაინელებს ეს გვეამაყებაო, - წერს ოლეს გონჩარი.

ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის გზაზე მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევს მწერალი ა. წერეთლისა და ტ. შევჩენკოს შეხვედრას პეტერბურგში.

უკრაინელი მწერალი იხსენებს ილიას პოეზიის მთარგმნელს პავლო გრაბოვსკის, რომელიც გადსახლებაში ყოფნის დროს ღამეებს ათენებდა, ილიას მგზნებარე ლექსების უკრაინულ ენაზე თარგმნიდა.

„Разве не символично, что в том самом Волюйске Павло Грабовский ночами, под завывание северных буранов переводил на украинский язык пламенные стихи Ильи Чавчавадзе“ [69-3], - წერს ოლეს გონჩარი.

ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების საილუსტრაციოდ გამოდგება ამ სტატიის ბოლოს უკრაინელი მწერლის თამამი განცხადება:

„Для нас, писателей, Илья Чавчавадзе является примером того, как нужно служить своему народу, служить ему при жизни, служить и после смерти. Великий патриот Грузии, он в своем пламенном сердце сумел сочетать любовь к родному народу с любовью к другим народам. И в этом он для нас тоже являет достойный пример“ [69-3].

ასე მაღალ შეფასებას აძლევს ოლეს გონჩარი დიდი ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ილია ჭავჭავაძე მისთვის, როგორც მწერლისათვის მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ერს.

ოლეს გონჩარის პირად არქივში ინახება მწერლის სიტყვის ავტოგრაფი, იგი არ არის დათარიღებული და არც დაბეჭდილი. მაგრამ ვფიქრობთ, ოლეს გონჩარის ეს ავტოგრაფი ილიას დაბადებიდან 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე გამოსვლის ფრაგმენტი უნდა იყოს, 1962 წლის ოქტომბერში რომ გაიმართა საქართველოში. ამ გამოსვლის ორი ავტოგრაფი ინახება მწერლის არქივში ერთი შავი, სამუშაო ვარიანტი რუსულ ენაზე და მეორე გადათეთრებული ავტოგრაფი. სამუშაო ვარიანტს ასეთი სახე აქვს: „Поздравляю грузинских друзей, читателей светлым праздником с юбилеем

Ильи Чавчавадзе. Автор бессмертных произведений славный сын Грузии он дорог и нам украинцам.

Чавчавадзе современен как всегда будет современна правда и мудрость народа”, - წერს ავტორი და ხელს აწერს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამ ავტოგრაფის ყოველი სიტყვა ძვირფასია, საოცარი სიყვარულით გამთბარ ამ სიტყვებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ოლეს გონჩარის მწერლური პოზიცია, რომ მისთვის ილია ჭავჭავაძე ისეთივე ძვირფასია, როგორც ქართველებისათვის. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავტოგრაფის გადათეთრებული ვარიანტი ოდნავ გავრცობილია მწერლის მიერ:

„Автор бессмертных произведений, славный сын Грузии **великий гуманист** И. Чавчавадзе дорог и нам украинцам” (ხაზი ჩვენია – გ. კ.), - წერს მწერალი. თავად უნაპირო ჰუმანიზმის მქონე მწერალ ოლეს გონჩარს შემთხვევით არ ჩაუმატებია ავტოგრაფში ადგილი, სადაც იგი ილია ჭავჭავაძეს უდიდეს ჰუმანისტს უწოდებს. ამ დასკვნის საბაზი მას ილიას შემოქმედების საფუძვლიანმა გაცნობამ მისცა.

ოლეს გონჩარის ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სტატია დაედო საფუძვლად წერილს „ჩვენი ილია ჭავჭავაძე”, რომელიც კიევში 1968 წელს გამოცემულ ქართულ-უკრაინულ კულტურულ ურთიერთობათა ამსახველ კრებულში „ცისარტყელას ხიდებით” დაიბეჭდა [74-186-187]. მასში მწერალი ამახვილებს ყურადღებას ილია ჭავჭავაძის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე და დიდებით მოსავს ქართველ კლასიკოსს.

აქაც კვლავ თვალშისაცემად გამოვლინდა ოლეს გონჩარის დიდი პატივისცემა და სიყვარული ქართველი ერის საამაყო შვილის მიმართ.

1964 წლის ოქტომბერში საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადა გაიმართა, დეკადაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ მწერალთა ჯგუფს უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ოლეს გონჩარი ხელმძღვანელობდა. დეკადის ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ერის კულტურისათვის. ეს დეკადა ოლეს გონჩარისათვის გახლდათ ქართულ მწერლობასთან და საერთოდ საქართველოსთან შემოქმედებითი

კონტაქტების განმტკიცების საუკეთესო საშუალება. ამ მოვლენამ საერთოდ გავლენა იქონია ორი ხალხის 60-70-იანი წლების ლიტერატურულ პროცესზე.

1964 წლის 2 ოქტომბრის „ლიტერატურა უკრაინას“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა წერილი - „მოგესალმებით ამაყო არწივთა მხარე“, ამ თბილ წერილში ოლეს გონჩარი არაერთი ლამაზი ეპითეტით ამკობს საქართველოსა და ქართველ ერს, აქ ეპითეტების სიჭარბე გარეგნული ეფექტის მოსახდენად კი არ სჭირდება მწერალს, არამედ ყოველივე ეს საქართველოში მისი ყოფნის დროს მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებების გამოძახილია და ყოველი ეპითეტი მწერლის გულის სიღრმიდანაა ამოხეთქილი. საქართველოს არწივთა მხარეს უწოდებს ოლეს გონჩარი. „Ідемо в Грузію. До гір Прометеевих, до мужнього прекрасного народу“, - ასე იწყებს წერილს ოლეს გონჩარი, იგი საგანგებოდ გახაზავს საქართველოსა და უკრაინის ისტორიულ წარსულს, ამ ორი ერის მსგავს ისტორიულ ხვედრს და გამოთქვამს იმედს, რომ დეკადა კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს ჩაწერს ორი მოძმე ერის მეგობრობის მატრიანეში.

დეკადასთან დაკავშირებით საქართველოს გამომცემლობის მიერ უკრაინელი მწერლების თხზულებები გამოიცა ქართულ ენაზე. ქართველ მკითხველს მიეწოდა უკრაინული მხატვრული სიტყვის ოსტატების 18 წიგნი, რჩეული პოეზიისა და პროზის მთელი ბიბლიოთეკა, მათ შორის ოლეს გონჩარის მოთხრობების კრებული „მზესუმზირა“, (თარგმნა მარიამ გორგაძემ), მიეწოდა ერთი თავი რომანიდან „ტრონკა“, რომელიც თარგმნა გიორგი ნამორაძემ და 1964 წლის 25 სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა.

ქართველ მწერლებსა და საერთოდ მთელი ქართველი ხალხისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით გამსჭვალულია ოლეს გონჩარის წერილი „მოგესალმები საქართველოვ“, რომელშიც დეკადის დროს საქართველოში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებზეა ლაპარაკი, ლაკონურად არის გადმოცემული მწერლის თვალთ დანახული საქართველოში ჩა-

ტარებული უკრაინული ლიტერატურის დეკადის შედეგები. ეს წერილი ოთხგზის დაიბეჭდა უკრაინაში: სათაურით „მეგობრობის შარაგზებით“ გამოქვეყნდა 1964 წლის 20 ოქტომბრის „ლიტერატურა უკრაინაში“ და 1968 წელს გამოცემულ ქართულ-უკრაინულ კულტურულ ურთიერთობისადმი მიძღვნილ კრებულში „ცისარტყელას ხიდებით“. ოლეს გონჩარის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიათა ორ კრებულში - „ჩვენს მწერლობაზე“ (1972) და „მწერლის ფიქრები“ (1980), წერილი დაიბეჭდა სათაურით „მოგესალმები საქართველოვ“.

ოლეს გონჩარი წერილს იწყებს საქართველოში 1931 წელს ჩატარებულ უკრაინის კულტურის დეკადის გახსენებით. ავტორი შენიშნავს, რომ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო პირველად შეხვდა XX საუკუნეში უკრაინული კულტურის მოღვაწეთა დიდ ჯგუფს, რომელშიც იყვნენ გამოჩენილი მწერლები და თეატრისა და კინოს მოღვაწეები: ლეს კურბასი თეატრ „ბერეზილთან“ ერთად, მიკოლა კულიში, ივან მიკიტენკო, მიკოლა ბაჟანი და სხვანი. ეს იყო გრანდიოზული შეხვედრა ორი კულტურისა.

ლიტერატურული დეკადა ქართულ მიწაზე ორი კულტურის დიალოგის საშუალება იყო. ოლეს გონჩარის აზრით, უკრაინული ლიტერატურის დეკადა მხოლოდ მწერალთა ცხოვრებაში კი არ გახლდათ მნიშვნელოვანი მოვლენა, არამედ დეკადამ გადალახა ლიტერატურის არეალი, აამოძრავა მთელი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება და ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის დღესასწაულად იქცა. მწერალი იხსენებს დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას, ქართულ-უკრაინული მეგობრობის სიმბოლოდ ქცეულ სურამსა და მირგოროდს:

„Як не згадати, зрештою, про те, що, так само як для Давида Гурамішвілі Україна стала другою батьківщиною, так і для нашої багатостраждальної Лесі Грузія була тією останньою гаванню, де улюблена дочка України знайшла затишок і склала свої могутні крила Хвалюючими символами нашої дружби

стали Сурамі і Миргород-поетична столиця Гурамішвілі, звідки летіли до Грузії його безсмертні пісні” [76-196-197], - წერს ოლეს გონჩარი.

საქართველოში ყოფნამ, ქართველ ხალხთან შეხვედრამ მწერალი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ქვეყანაზე არ არსებობენ პატარა ხალხები, მცირე ერები. მწერლის აზრით, ქართველი ხალხი არ არის პატარა ერი, რადგან არ შეიძლება პატარა იყოს ხალხი, თუ ის დიადია თავისი სულით.

„... Чесний, добрий, відкритий душею, вірний у дружбі, а саме таким постає для нас народ Грузії” [76-198]. აღნიშნავს მწერალი. კონკრეტულ ეპიტეტთა მთელი წყებით ოლეს გონჩარი ასე გამოკვეთს ქართველი ხალხის თვისებებს. სწორედ ასეთად დარჩა ქართველი ერი მწერლის მეხსიერებაში.

მწერლის თქმით, საქართველოში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში ყველგან თან სდევდა მას ქართველი ხალხის გენია, ქვაში გამოკვეთილს თუ მინანქრის ფაქიზ შედევრებში ჩაქსოვილს, ან ხალხურ ცეკვათა პლასტიკაში – ყველაფერში ხედავდა იგი ამ გენიას.

თავად ჭეშმარიტად პატრიოტ მწერალს წერილში მხედველობიდან არ გამორჩენია ერთი გარემოება: ყველგან, სადაც კი ვიყავით, იქნებოდა ეს დედაქალაქის ინტელიგენტთა წრე, თუ შორეული რაიონის მშრომელები, ჩვენ გვხიბლავდა ამ ხალხის ღრმა პატრიოტული გრძნობა, ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე, ეროვნული სიამაყე.

ოლეს გონჩარი არ ფარავს თავის აღფრთოვანებას ქართველების ასეთი მაღალი ეროვნული თვითშეგნების გამო და გაბედულად ლაპარაკობს ამაზე. ყოველივე ამან ათქმევინა მას, რომ ქართველებისაგან შეიძლება ისწავლო, როგორ უნდა სცემდე პატივს შენს კულტურას და როგორ უნდა გიყვარდეს მშობლიური ენა: „Можна тільки повчитися в цього народу як треба шанувати свою культуру, як любити рідну мову, як оберігати художні скраби минулого...” [76-199].

წერილის ბოლოს ოლეს გონჩარი ასკვნის, რომ დეკადამ ორივე ქვეყნის მწერლობაზე დადებითი ზეგავლენა იქონია. ოლეს გონჩარის არქივში ინახება საქართველოში უკრაინული დეკადის დროს მწერლის ერთ-ერთი გა-

მოსვლის ავტოგრაფი, რომელშიც იგი ოქროს სანმისისათვის საქართველოში მოსული არგონავტების შესახებ შექმნილ მითს ახსენებს. ოლეს გონჩარი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია თუ რა რაოდენობის სიმდიდრე და ოქრო წაიღეს მათ საქართველოდან, მაგრამ მთავარი საუნჯის – ხალხის სულის განძარცვა ვერავინ შესძლო, ჩვენ კი ამ დალოცვილ ქართულ მიწაზე ვიპოვეთ მეგობრობის ეს ოქროს სანმისიო, - დასძენს მწერალი. აი ეს ავტოგრაფი:

„В далеку давнину заморські гості приїжджали в Грузію за золотим руном. Не знаю скільки пощастило їм вивезти багатства і золота із цього чудесного краю. Але головний скарб-душу народну – ніхто не зміг вивезти звідси. Ми знайшли тут, на благословенній грузинській землі, золоте рно дружби”.

1966 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის 800 წლისთავი, ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით უკრაინის მწერალთა დელეგაცია ეწვია საქართველოს ოლეს გონჩარის ხელმძღვანელობით.

უკრაინელი მწერლის დამოკიდებულება რუსთაველის მიმართ ჯერ კიდევ წერილში „მეგობრობის შარაგზებით“ გამოვლინდა, როდესაც ოლეს გონჩარი საუბრობს შოთა რუსთაველის პოემის მიკოლა ბაჟანისეულ თარგმანზე და უკვდავ პოემას „მსოფლიო პოეზიის მარგალიტს“ უწოდებს, იმდენად გატაცებული იყო ამ უკვდავი ქმნილებით, რომ მის დღიურებში რუსთაველის მრავალი აფორიზმია გაბნეული, რომლებსაც დიდი რუდუნებით იწერდა მწერალი.

რუსთაველის 800 წლისთავთან დაკავშირებით 1966 წლის 27 სექტემბრის გაზეთი „ლიტერატურნა უკრაინა“ ბეჭდავს ოლეს გონჩარის წერილს „მზიური გენიოსი“.

წერილის დასაწყისშივე ოლეს გონჩარი შენიშნავს, თუ რაოდენ ამაღლებული სული და თავისუფალი გონება უნდა ჰქონოდა დიდ პოეტს, რომ სისხლიან განხეთქილებათა მტრობისა და შუღლის მკაცრ ეპოქაში დაესახა მიზნად ემღერა მეგობრობისა და სიყვარულის ნათელი გრძნობისათვის.

ასეთად წარსდგება ჩვენს წინაშე უკვდავი ქართული პოემის ავტორიო, - წერს ოლეს გონჩარი.

მისი აზრით, დრომ ვერაფერი ავნო პოემას, რომელიც სიბრძნის უშრეტი წყაროა, ხოლო რუსთაველი უდიდესი პოეტი-ჰუმანისტი. ოლეს გონჩარი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სულით გაუტეხელ, ემოციურად მდიდარ, რაინდული სულისკვეთების ხალხს შეიძლებოდა ეშვა შოთა რუსთაველი, რომელიც ისეთი მსოფლიო გიგანტების გვერდით დგას, როგორც არიან დანტე, პუშკინი, შევჩენკო, მიცკევიჩი. ოლეს გონჩარის თქმით, პირველად დავით გურამიშვილმა გააცნო რუსთაველი უკრაინას, სამშობლოს მონყვეტილ პოეტს თავის ფიქრებში არაერთგზის მიუმართავს დიდი წინამორბედისათვის, რომელმაც შორეული მზის ქვეშ დარგო ქართული პოეზიის მძლავრი ხეო, - შენიშნავს უკრაინელი მწერალი.

ასეთ ხატოვან გამოთქმებს ხმარობს ოლეს გონჩარი რუსთაველზე საუბრისას.

წერილში იგი იხსენებს მიკოლა გულაკსა და ოლექსანდრ ნავროცკის, რომლებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გადასახლებაში ყოფნის დროს დაინტერესდნენ რუსთაველის პოემით, დაიწყეს ქართული ენის სწავლა, სწორედ მაშინ, ოლეს გონჩარის თქმით, ოლექსანდრ ნავროცკიმ სცადა უკრაინულ ენაზე ეთარგმნა პოემა, იმდენად აღტაცებული იყო იგი რუსთაველის ამ ქმნილებით, სამწუხაროდ, მან ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე. მაგრამ სრული და სრულფასოვანი თარგმანი მხოლოდ ჩვენს საუკუნეში მოხერხდაო, მიკოლა ბაჟანის მიერ შესანიშნავ თარგმანს უკრაინული კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს ავტორი.

წერილის ბოლოს ოლეს გონჩარი კიდევ ერთხელ გახაზავს შოთა რუსთაველის პოეზიის მასშტაბურობას და წერს: „... Поява поета такого масштабу, як Шота Руставелі, не була випадковістю, він був сином свого віку в його творчому подвигіві виявила себе найдавніша грузинська культура” [73-3]. ოლეს გონჩარი ასკვნის, რომ უძველესი ქართული კულტურა იყო ის სულიერი კლიმატი, რომელზედაც გაიფურჩქნა რუსთაველის მზიური გენია.

ასევე რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობაზე მიუთითებს ოლეს გონჩარი ერთ-ერთ წერილში წიგნიდან „ჩვენს მწერლობაზე“ „Як можна вважати себе культурною людиною, нічого не знаючи про життя цілої нації, навіть не підозрюючи, що були на світі Рудакі, Шевченко, Руставелі...“ [76-125], - წერს მწერალი.

როგორც ვხედავთ, ოლეს გონჩარმა თავის წერილებში საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინა რუსთაველის შესახებ და უმაღლესი შეფასება მისცა მის შემოქმედებას.

ოლეს გონჩარისათვის არც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია დარჩენილა შეუმჩნეველი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალი თავის დღიურებშიც ახსენებს ქართველ პოეტს, მეტად მნიშვნელოვანია ოლეს გონჩარის 1967 წელს დაწერილი წერილი „მიჰქრის მერანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას რომ მიუძღვნა. ეს წერილი დაიბეჭდა მის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიათა კრებულში „მწერლის ფიქრები“ და საფუძვლად უდევს ოლეს გონჩარის გამოსვლა თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1968 წლის სექტემბერში. წერილის შესავალში ოლეს გონჩარი კიდევ ერთხელ იხსენებს საქართველოში რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეებს, რომლის მონაწილე თავად გახლდათ, ჭეშმარიტად დაუვინყარი დღეების მოწმედ თვლის თავს მწერალი, იგი აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურის საგანძურში რუსთაველსა და დავით გურამიშვილის გვერდით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ნიკოლოზ ბარათაშვილმაც. ქართული ლირიკული პოეზიის მშვენიება „მერანით“ შემთხვევით არ დაუსათაურებია თავისი წერილი ოლეს გონჩარს. მწერლის ღრმა რწმენით, ვერაფერი შეაჩერებს ბარათაშვილის შმაგი და ამაყი მერანის პოეტურ ქროლვა-ჭენებას, დრო ვერ დაბინდავს მის პოეზიას: „Ні, не тьмяніє з часом його яскраве слово, не зупиняється у своєму поетичному леті його буйногровий гордий Мерані...“ [78-200], - წერს ო. გონჩარი. მისი აზრით, მარადიულია მერანის ქროლვა და მარადიულია ბარათაშვილის უკვდავი სიტყვა, რომელიც ცხოველმყოფელად იჭრება

ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. ავტორი წერილში უკრაინაში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პოპულარობაზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოიცა ქართველი პოეტის პოეზია უკრაინულ ენაზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივან კულიკის მიერ თარგმნილი.

მწერალი ხსნის, თუ რატომაა ბარათაშვილი ასე გასაგები და ახლობელი უკრაინელებისათვის: „Безмежною щирістю, душевною чистотою, людським благородством, полум'ям патріотичного почуття-ось чим передовсім близькі нам творіння грузинського поета” [78-200].

ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა შორის, რითაც ოლეს გონჩარის თქმით, უკრაინელი მკითხველისთვისაც მისაღები და ახლობელია ქართველი მგოსანი, მწერალი პატრიოტულ გრძნობასაც ასახელებს, რაც უკრაინელი ხალხისათვის ყოველთვის წინა პლანზე იდგა, წერილში ნათქვამია, რომ პოეტი მის მიერ შექმნილ რომანტიკულ სახეებში უხსნის მკითხველს სულის უღრმეს საიდუმლოებებს, შინაგან განცდათა უფაქიზეს სამყაროს.

ოლეს გონჩარი წერილის ბოლოს კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ბარათაშვილის მხატვრული შედეგები ჭეშმარიტად ძვირფასია არა მხოლოდ ქართველი ერისათვის, არამედ უკრაინელი ხალხისთვისაც.

ოლეს გონჩარის ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ დაწერილი წერილების გარდა თავის გამოსვლებში, საზეიმო თუ სხვა ვითარების გამო წარმოთქმულ სიტყვებში იხსენებს სხვა ქართველ მწერლებსაც დღიურებსა და ზეპირ გამოსვლებში ნახსენები ჰყავს. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე და სხვები.

კიევში გამართულ ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე გამოსვლისას ოლეს გონჩარი გულწრფელად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე აღნიშნავს, რომ ხელოვანი უკრაინელი პოეტი ქალისათვის სტუმართმოყვარე საქართველო მეორე მშობლიურ კერად იქცაო. ეს გამოსვლა დაედო საფუძვლად წერილს „ჩვენი ლესია”, რომელიც

ოლეს გონჩარის კრებულში „ჩვენს მწერლობაზე“ დაიბეჭდა, სადაც ავტორი წერს:

„Де б не була Леся: в болгарії, Єгипті, під небом Італії чи в привітній Грузії, що стала для неї другою думівкою, з яких би часів не зачернувала теми, сюжети, мотиви своїх творів, усе в них кожним порухом душі, кожним виблиском думки пов'язувалося з Україною” [76-75].

1969 წლის მაისში უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადა გამართა, უკრაინას ქართველ მწერალთა დელეგაცია ეწვია საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უთვალსაჩინოესი დიდოსტატები: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ირაკლი აბაშიძე, ხუტა ბერულავა გრიგოლ აბაშიძე, მარიკა ბარათაშვილი, ბესო ჟღენტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მარგიანი, ფრიდონ ხალვაში, გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი. ქართველ მწერლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს უკრაინელმა კოლეგებმა. საზეიმო სხდომის გახსნის პატივი ოლეს გონჩარს ხვდა წილად. 1969 წლის 13 მაისის „ლიტერატურა უკრაინას“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა მისი წერილი „დაე აყვავდეს თქვენთვის ჩვენი ნაბლები!”

სიტყვის შესავალში ოლეს გონჩარმა საქართველოს სილამაზისა და პოეზიის მხარე უწოდა, ქართველ ერს უმდიდრესი და უძველესი კულტურის ერი. მიესალმა ქართველ მწერლებს და აღნიშნა, რომ ქართული კულტურის დეკადა უკრაინაში იმ ორი კულტურის დიალოგის გაგრძელება იყო, რაც 1964 წელს დაიწყო, როდესაც უკრაინელი მწერლები სტუმრობდნენ საქართველოს, ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის კიდევ ერთი ფურცელია, მეგობრობისა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს, შენიშნავს ოლეს გონჩარი და ამბობს, რომ საკმარისია დავასახელოთ შევჩენკოსა და წერეთლის სახელები, ანდა სიმბოლოდ ქცეული ქალაქები მირგოროდი და სურამი, რომ ჩვენს წინაშე წარმოჩნდეს საუკუნეებს შერწყმული ჩვენი მე-

გობრობაო. ოლეს გონჩარი დეკადურ გამოცემათა შორის საგანგებოდ მოიხსენიებს კრებულს „ცისარტყელას ხიდებით“, რომელსაც იგი ქართველებისა და უკრაინელების მეგობრობის მათიანეს უწოდებს, ოლეს გონჩარმა აუწყა ქართულ დელეგაციას, რომ სწორედ დეკადის დღეებში დაგეგმილია მირგოროდში საქართველოს მრავალტანჯული მგოსნის დავით გურამიშვილის მუზეუმის და ძეგლის გახსნაო.

დასასრულ ოლეს გონჩარმა ქართველ მწერლებს, უსურვა, რომ უკრაინაში მიღებული შთაბეჭდილებანი მათთვის შემოქმედებითი შთაგონების წყარო გამხდარიყო.

ოლეს გონჩარის მიერ საქართველოსა და ქართულ მწერლობაზე დაწერილი თუ წარმოდგენილი ყოველი სიტყვა არის დიდი ხნის ნაფიქრალის, ნააზრევის გაზიარება უკრაინის ფართო საზოგადოებრიობისათვის, მას არაერთი მოსაზრება ეკუთვნის ჩვენს ქვეყანაზე და მის კულტურაზე.

როგორც დავინახეთ, ქართულ თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოლეს გონჩარის პუბლიცისტიკაშიც, უკრაინელი მწერალი ჩვენს წინაშე აქაც წარმოსდგება, როგორც ქართული კულტურის დიდი ქომაგი და უანგარო პროპაგანდისტი.

## თავი II. ოლეს გონჩარი ქართულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში

ოლეს გონჩარის შემოქმედებამ იმთავითვე მიიქცია ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება. ქართველი მწერლები, კრიტიკოსები და მთარგმნელები ოლეს გონჩარის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ წერილებსა და მოგონებებში, მიმართვებსა თუ ცალკეულ გამონათქვამებში.

ოლეს გონჩარის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოდან სისტემატურად მიმართავდნენ უკრაინელ მწერალს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ამა თუ იმ ლიტერატურულ ღონისძიებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრაინული ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით გამომცემლობა „ნაკადულმა“ დაბეჭდა ოლეს გონჩარის მოთხრობების წიგნი „მზესუმზირა“, წიგნის დასტამბვის პროცესში გამომცემლობის რედაქტორი პოეტი ხუტა ბერულავა უგზავნის წერილს ოლეს გონჩარს, რომელშიც შემდეგია ნათქვამი:

„Издательство „Накадули“ готовит к печати книгу Ваших рассказов на грузинском языке под названием „Горы поют“. В сборник вошли рассказы: „Горы поют“, „Модры камень“, „Жаворонок“, „Подсолнухи“, „Усман и Марта“, „В летнюю ночь“ и „Маша с Верховины“. წერილი დათარიღებული 1964 წლის 30 მარტით. როგორც შინაარსიდან ირკვევა თავდაპირველად აპირებდნენ კრებულისათვის ეწოდებინათ ოლეს გონჩარის მოთხრობის „მთები მღერიან“ სათაური, მაგრამ ავტორის სურვილის გათვალისწინებით საბოლოოდ ამ კრებულს „მზესუმზირა“ უწოდეს. მოგვიანებით (იმავე წლის 26 აპრილს) მთარგმნელი მარიამ გორგაძე წერს ოლეს გონჩარს:

„Я давно уже получила ваше письмо и книги. Русская книга еще нужна редактору, через 2-3 недели я ее Вам пришлю. Издательство предложило мне перевести еще рассказ „Светлана“. Его читал директор Хута Берулава, но не помнит где. Александр Терентьевич, будьте добры, сообщите, где он был

напечатан. Я постараюсь перевести ее, пока книгу кончат набирать”. მოთხრობა, რომელზედაც საუბარია წერილში კრებულში არ შესულა. გულთბილი მეგობრული გრძნობებითაა გამსჭვალული პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის უკრაინელი კოლეგისადმი მიწერილი ყოველი სიტყვა.

1964 წლის ოქტომბერში საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის დროს სტუმრებს ვერ მოუსწრიათ ხევსურეთის ნახვა, ამის გამო ირაკლი აბაშიძეს მწერლისათვის უჩუქებია ქართველი მხატვრის რობერტ სტურუას ფერწერული ტილო „ხევსურეთი“, სურათი, რომელსაც ირაკლი აბაშიძის შემდეგი წარწერა ამშვენებს: „Дорогой Олесь, Вам еще один уголок Грузии, которого мы не успели показать Вам Хевсуретия”, დღესაც ინახება მწერლის სამუშაო კაბინეტში აგარაკ კონჩა-ოზერნაზე ქართველი პოეტი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა ოლეს გონჩარის მიმართ, ამას მონუმობს უკრაინელი მწერლის არქივში თავმოყრილი არაერთი მისალოცი მიმართვა და ადრესი. აი ერთ-ერთი: „Дорогой, любимый Олесь! Обнимаю Вас крепко по – братский целую, будь счастлив, великих успехов желаю Вам, всегда Ваш – Ираклий Абашидзе”.

საქართველოს მწერალთა კავშირი ყოველთვის მხურვალედ მიმართავდა ოლეს გონჩარს და საქართველოს ერთგულ მეგობარს ეპატიუებოდა ქართველი მწერლების მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. მწერლის არქივში ინახება საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მის სახელზე გაგზავნილი არაერთი მოსაწვევი ბარათი. აღსანიშნავია საქართველოს მწერალთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარის გიორგი ციციშვილის წერილი. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ოლეს გონჩარს იწვევს პოეტ იოსებ ნონეშვილის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ეს წერილი 1988 წლით თარიღდება. სწორედ ამ წელს ოლეს გონჩარს შეუსრულდა 70 წელი. ეს ფაქტი არ გამორჩენიათ მხედველობიდან ქართველ მწერლებს, წერილში გ. ციციშვილი უკრაინელ მწერალს ამცნობს საქართველოს მწერალთა კავშირის გადანყვეტილებას, იოსებ ნონეშვილისადმი მიძღვნილ ღონისძიება-

თა შემდეგ, თბილისში მოუწყონ ოლეს გონჩარს საიუბილეო საღამო, რომელიც უკრაინელი მწერლის შემოქმედებას მიეძღვნება, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ჩვენში მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი საიუბილეო საღამოთი არ შემოფარგლულან. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო-კოლეგიის გადანყვეტილებით გამოიცა ოლეს გონჩარის ხუთი მოთხრობა (უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა). წიგნის წინასიტყვაობაში ჯაბა ასათიანი წერს:

„დაბადების 70 წელი შეუსრულდა ოლეს გონჩარს, უკრაინის გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ერთგულ მეგობარს.

უკრაინული ლიტერატურა წარმოუდგენელია მისი რომანების, მოთხრობების, პუბლიცისტური წერილების გარეშე, საერთოდ, ოლეს გონჩარის პიროვნების გარეშე, რადგან მწერალს არასოდეს დავიწყებია, რომ მისი ბედი განუყოფელია ერის ბედისაგან, - აღნიშნავს ჯაბა ასათიანი ოლეს გონჩარის პიროვნების ამ ზუსტ და გადაუჭარბებელ შეფასებაში და განაგრძობს, - ოლეს გონჩარის ნაწარმოებები გვხიბლავს ადამიანისადმი ზღვარდაუდებელი სიყვარულით, პოეტურად ამაღლებული გმირებით, რომლებიც ოცნებობენ მშვიდობაზე, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ჰარმონიაზე” [2-5].

ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულება უკრაინელი მწერლისადმი. ოლეს გონჩარის არაერთ საიუბილეო თარიღს ერთ-ერთი პირველი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოხმაურებია.

მწერლის 50 წლისთავზე გაგზავნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადრესში ნათქვამია:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლობა მოგესალმებიან თქვენ – უკრაინის გამოჩენილ შვილს – თქვენ სახელოვან 50 წლისთავზე.

ქართველი საზოგადოება დიდად აფასებს მრავალსაუკუნოვან უკრაინულ მწერლობას, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი თქვენ ბრძანდებით.

თქვენი რომანები: „მედროშენი“, „ტავრია“, „პერეკოპი“, „ადამიანი და იარაღი“, „ტრონკა“, „ტაძარი“, თქვენი მოთხრობები და ნოველები მკითხველი საზოგადოების სულიერ საგანძურში შევიდა.

ჩვენი ახალგაზრდობა გატაცებით სწავლობს უკრაინულ ენასა და ლიტერატურას, ჩვენს უნივერსიტეტში იკითხება უკრაინული ლიტერატურის კურსი, სადაც თქვენს შემოქმედებას საგანგებო ადგილი უკავია. ქართველი სტუდენტები უკრაინულ ენას ეუფლებიან იმ მიწა-წყალზე, სადაც თქვენი მუზა იშვა და მშობლიურ ენაზე გადმოაქვთ თქვენი მოთხრობები თუ ნოველები”.

ოლეს გონჩარის 60 წლისთავთან დაკავშირებით 1978 წლის მარტში ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის თბილისის უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ოლეს გონჩარი დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის საპატიო მედლით. არც დღევანდელ დღეს ღალატობს უნივერსიტეტი ამ კეთილ ტრადიციას: 1998 წლის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის, საზოგადოება „საქართველო-უკრაინის“ და საქართველოში უკრაინის საელჩოს მიერ მოეწყო უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ოლეს გონჩარის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელიც თავად უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა გახსნა.

სხდომაზე აკადემიკოს როინ მეტრეველის შესავალი სიტყვის შემდეგ საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს უნივერსიტეტისა და საელჩოს წარმომადგენლებმა. მათ შორის აღსანიშნავია პროფესორ ო. ბაქანიძის მოხსე-

ნება „ოლეს გონჩარის ცხოვრების გზა“, საელჩოს წარმომადგენლის, პროფესორ იური ჩუგაენკოს „მოქალაქეობრიობა, როგორც წამყვანი მოტივი ოლეს გონჩარის შემოქმედებისა“ უნივერსიტეტის დოცენტ რევაზ ხვედელიძის მოხსენება „ოლეს გონჩარის შემოქმედებითი სტილის ზოგი თავისებურება“.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრას (გამგე, პროფესორი ო. ბაქანიძე) დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ოლეს გონჩარის შემოქმედების პოპულარიზაციაში. კათედრაზე შესრულებულა სტუდენტების არაერთი საკურსო და სადიპლომო შრომა, რომელიც ოლეს გონჩარის შემოქმედების ცალკეულ საკითხებს მიეძღვნა.

კათედრაზე სხვა დისციპლინებს შორის იკითხება „აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურა“, ამ დისციპლინის სალექციო კურსში, რომლის მიზანია სტუდენტებს გააცნოს არა მარტო სხვა ხალხების ლიტერატურა, არამედ ამ ხალხთა ლიტერატურის კავშირ-კონტაქტები ქართულ მწერლობასთან, საგანგებო ადგილი უკავია უკრაინულ ლიტერატურას და ოლეს გონჩარის შემოქმედებას. კათედრის პროფესორ-მასწავლებლები ო. ბაქანიძე, რ. ხვედელიძე, კ. კვაჭანტირაძე თავიანთ სალექციო კურსში სათანადო ადგილს უთმობენ ოლეს გონჩარის შემოქმედების განხილვას. აღსანიშნავია, სულ ახლახანს უნივერსიტეტის გამომცემლების მიერ დაბეჭდილი პროფესორ ო. ბაქანიძის „უკრაინული ლიტერატურის“ III ტომი, რომელშიც XX საუკუნის უკრაინული ლიტერატურის კორიფეების – პ. ტიჩინას, მ. რილსკისა, მ. ბაჟანის და ო. კორნიიჩუკის, ო. გონჩარის ცხოვრებასა და შემოქმედებას განიხილავს მკვლევარი.

კათედრის დოცენტი უკრაინისტი რ. ხვედელიძე არა მარტო სალექციო კურსში აცნობს ქართველ სტუდენტებს ოლეს გონჩარის შემოქმედებას, არამედ მის მიერ უკრაინულიდან თარგმნილმა ოლეს გონჩარის ერთ-ერთმა მაღალმხატვრულმა ნოველამ „ბედნიერების წამი“, რომელიც 1970 წელს

ალმანახ „ცისარტყელაში“ გამოქვეყნდა, კიდევ ერთხელ აზიარა ქართველი მკითხველი დიდი უკრაინელი მწერლის სიტყვის ძალას.

ასეთი წვლილი შეიტანა და შეაქვს ამ კათედრას ქართული ლიტერატურის დიდი მეგობრის ოლეს გონჩარის შემოქმედების პროპაგანდის საქმეში.

უკრაინელი მწერლის სახელი გვხვდება რაულ ჩილაჩავას ლიტერატურულ-კრიტიკული ჩანახატებსა და ალექსანდრე ბარამიძის მოგონებებში.

რაულ ჩილაჩავა უკრაინელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მიკოლა ბაჟანის მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებით მისი რედაქტორობით გამოსულ უკრაინულ ენაზე თარგმნილ „ქართველი ხალხის პოეზიის“ ანთოლოგიის ორტომეულზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ მასშტაბის გამოცემის ორგანიზებისათვის ბაჟანმა მოახდინა მობილიზაცია უკრაინული ლიტერატურის საუკეთესო ძალებისაო და უკრაინელ მთარგმნელებს შორის ოლეს გონჩარსაც მოიხსენიებს:

„ასეთი მასშტაბური გამოცემის განსახორციელებლად მ. ბაჟანმა უკრაინული ლიტერატურის საუკეთესო ძალების მობილიზაცია მოახდინა: მთარგმნელებს შორის ვხედავთ პ. ტიჩინას, მ. რილსკის, ვ. სოსიურას, ა. მალიშკოს, ო. გონჩარს“ [102-127], - წერს ავტორი.

ფრიად საინტერესოა ალ. ბარამიძის წერილი „უკრაინაში გურამიშვილის ნაკვალევზე“ ამ წერილში ალ. ბარამიძე უკრაინაში მოგზაურობის ბევრ საინტერესო დეტალს იგონებს. იგი რამდენჯერმე ეწვია უკრაინას გურამიშვილის ნაკვალევზე. 1969 წლის მაისში უკრაინაში გამართულ ქართული ლიტერატურის დღეებში მონაწილეობდა. სწორედ მაშინ შეხვდა ო. გონჩარს, რომელმაც ქართველ მეცნიერზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. წერილში იგი რამდენგანმე მოიხსენიებს ოლეს გონჩარს: „დელეგაციის ზოგიერთი წევრი სალამოს თავისთან მიგვიწვია მიკოლა ბაჟანმა, - იგონებს ალ. ბარამიძე და განაგრძობს, - ბაჟანთან დაგვხვდნენ უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ოლეს გონჩარი და სხვანი“ [9-70].

შემდეგ ალ. ბარამიძე იგონებს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას – გურამიშვილის მეორე ძეგლისა და მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნას მირგოროდში, რაც სწორედ ქართულ ლიტერატურის დეკადის დროს მოხდა. ალ. ბარამიძე როდესაც მოგვითხრობს გურამიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს უკრაინის მწერლათა კავშირის თავკაცის ოლეს გონჩარის გამოსვლას.

მწერლის პირად არქივში ინახება გურამიშვილის სახლ-მუზეუმის მაშინდელი დირექტორის ოლეს გონჩარის მეგობრის, პოეტ ოლეს იურენკოს წერილი, რომელშიც იგი მირგოროდიდან ატყობინებს მწერალს, რომ მისი გამოსვლის ჩანაწერი აქვს და აუცილებლად შეიტანს წიგნში, მუზეუმი რომ ამზადებს გამოსაცემად. „Твій виступ у нас на мітингу під час свята дружби також готую до книги. А він у мене записаний на плівку – слово в слово”, წერს ოლეს იურენკო. წერილიდან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქ საუბარია ალექსანდრე ბარამიძის მიერ ნახსენებ გურამიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნისას ოლეს გონჩარის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე. შეიძლება ვივარაუდოთ რაოდენ საინტერესო სიტყვა წარმოუთქვამს ოლეს გონჩარს, ალბათ სწორედ ამიტომაც დაიმკვიდრა მან ადგილი ქართველი მეცნიერის მოგონებებში.

ოლეს გონჩარის შემოქმედებას უაღრესად საინტერესო წერილი მიუძღვნა სერგი ჭილაიამ, რომელიც დაიბეჭდა 1964 წლის 2 ოქტომბრის „ლიტერატარულ საქართველოში“ დეკადის დღეებში სათაურით „ოლეს გონჩარი“.

„უკრაინელი და ქართველი ხალხების ისტორიული გზა ისე წარიმართა, რომ ამ ორ ერს საერთო ბედი აღმოაჩნდა და ამ საერთო ისტორიულმა ბედმა ისინი ერთმანეთთან განუყოფლად დააკავშირა. ეს კავშირი დავით გურამიშვილმა და ლესია უკრაინკამ, ტარას შევჩენკომ და აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და მიხაილო კოციბიუნსკიმ გააღრმავეს და განამტკიცეს“, [29-2] ასე იწყებს წერილს ლიტერატურათმცოდნე სერგი ჭილაია.

კრიტიკოსის აზრით, ოლეს გონჩარი ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატია არა მარტო უკრაინის ლიტერატურაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მისი სახელი დიდი ხანია საქართველოშიც ცნობილია. ამ საკმაოდ დიდი მოცულობის წერილში ვრცლად არის განხილული ოლეს გონჩარის და მხატვრული ტილო „მედროშენი“. სერგი ჭილაია მართებულად შენიშნავს, რომ რომანში ყოველივე გაცოცხლებულია დიდის უშუალობით და რომანტიკით, განცდილი და დანახულია საბრძოლო ოპერაციების მონაწილე მეომარი მწერლის თვალთ. კრიტიკოსი წერს: „უპირველესი ღირსება ამ რომანისა უნდა ვეძიოთ სწორედ ამ დიდ უშუალობაში, რადგან აქ ყოველ დეტალში, ყოველ ეპიზოდში იგრძნობა დიდი უშუალობა და საგნის ცოდნა“ [29-2].

ს. ჭილაია წერს, რომ რომანში ეპიგრაფებად ჩართული სიტყვები „იგორის ლაშქრობის ამბავიდან“, გამოყენებული აქვს საინტერესოდ და ნიჭიერად. ასევე კრიტიკოსი ხაზს უსვამს იმას, რომ რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს ამაღლებული რომანტიკული სტილი.

„ოლეს გონჩარი“, – აღნიშნავს კრიტიკოსი, – უაღრესად საინტერესო მწერალია. იგი არ არის თემატიკურად შეზღუდული მხატვარი. მას ანუხებს ზოგადი, საკაცობრიო პრობლემები და ეს თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს შუქზე აქვს გამოხატული და გადაწყვეტილი. გონჩარი დიდი მხატვრული ტილოების ავტორია. მისი სამწერლო სტიქია რომანის ფორმაში გამოვლინდა მთელი ძალით, მაგრამ, ვინც მის შემოქმედებას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, რომ მას ასევე ემარჯვება მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებების წერა“ [29-2].

შემდეგ სერგი ჭილაია საუბრობს ოლეს გონჩარზე, როგორც ნოველისტზე და მართებულად შენიშნავს, რომ მისი ნოველები და მოთხრობები გამოირჩევა დიდი მხატვრული სისხარტით, ლაკონურობით და რაც მთავარია, გვიზიდავს და ერთბაშად გვიპყრობს ამ ნოველების მოულოდნელი ფინალი. ამის საილუსტრაციოდ, კრიტიკოსის აზრით, გამოდგება ნოველა „გაზაფხულის ერთი ღამე“.

სტატიის დასასრულს კრიტიკოსი ოლეს გონჩარის მხატვრულ ოსტატობას მაღალ შეფასებას აძლევს. „ო. გონჩარი, - წერს ს. ჭილაია, - ხასიათების ხატვის გასაოცარი ოსტატია, მის მხატვრულ სახეებს დიდი სიმართლე, სულიერი მომხიბვლელიობა გააჩნია. მწერლის წერის მანერას თავიდან ბოლომდე გასდევს პოეტური რომანტიზმი, რაც ერთგვარ აწეულ სტილს, დიდ ლირიკულ სიტბოს აძლევს.

გონჩარი ნამდვილი რომანისტია, დიდი ვნებებისა და სოციალური ცხოვრების გამოხატვის ნიჭით დაჯილდოებული ოსტატი. იგი ყურადღებას იქცევს ფსიქოლოგიური დეტალების შერჩევის სიზუსტით. დეტალების სიზუსტე და ფსიქოლოგიური სიმართლე მარტო ადამიანების დახასიათებაში როდი იჩენს თავს, არამედ სიტუაციებისა და მდგომარეობის გამოხატვაშიც” [29-2].

1978 წელს, ოლეს გონჩარის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მწერლის შემოქმედებაზე საინტერესო წერილი გამოაქვეყნა გ. ლომიძემ სათაურით „ოლეს გონჩარის შემოქმედება“, მკვლევარი მკითხველს აცნობს გონჩარის ცხოვრება-მოღვაწეობას ზოგადად. მწერლის ბიოგრაფიის გადმოცემის შემდეგ ჩერდება მისი შემოქმედების დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ ოლეს გონჩარის მხატვრული პროდუქციის ზრდასთან დაკავშირებით, მწერალი ერთგვარად კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა და მის შემოქმედებაზე უამრავი წიგნი, სტატია თუ გამოკვლევა დაიწერა.

სერგი ჭილაიას მსგავსად გიორგი ლომიძეც ყურადღებას ამახვილებს სტატიაში ოლეს გონჩარის რომანტიკულ სტილზე, ავტორი ო. გონჩარის რომანტიზმს სიტყვის რომანტიკული ხელოვნების სრულიად ახალ ტიპს უწოდებს.

„Романтизм О. гончара вырастает из реальной почвы, соединяя в себе устремленность ввысь с умением трезвого, всестороннего, глубокого анализа сложнейших явлений действительности. Его романтизм, можно сказать без преувлечений, новый тип романтического искусства слова, открывающий нечто

неожиданное, привлекательное, перспективное”, - წერს გიორგი ლომიძე [46-5].

ეს წერილი საგანგებო ყურადღების ღირსია იმითაც, რომ ავტორი საუბრობს მასში გონჩარზე არა მარტო როგორც რომანისტზე, არამედ გიორგი ლომიძე კრიტიკაში ერთ-ერთ ნაკლებად გაშუქებულ თემას წამოსწევს წინა პლანზე, მას აინტერესებს ო. გონჩარი როგორც პუბლიცისტი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ უკრაინელი მწერლის პუბლიცისტური წერილები ლესია უკრაინკაზე, ოლექსანდრ დოვჟენკოზე დაწერილია მასალის ღრმა ცოდნით.

წერილის დასასრულს ავტორი კიდევ ერთხელ გახაზავს უკრაინელი შემოქმედის ნიჭის მრავალფეროვნებას და ხედვის მასშტაბურობას.

საქართველოში უკრაინისტიკის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. ოთარ ბაქანიძემ. უკრაინული ლიტერატურის მკვლევარის კალამს ეკუთვნის მრავალი უაღრესად საინტერესო და უმნიშვნელოვანესი ნაშრომი უკრაინისტიკაში.

1988 წელს გამოიცა მისი მონოგრაფია „ოლეს გონჩარი“. დღესდღეობით ქართველი მკვლევრის ეს წიგნი გახლავთ საქართველოში გამოცემული ერთადერთი მონოგრაფია უკრაინელი მწერლის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ. მასში ავტორი ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით განიხილავს ოლეს გონჩარის უმნიშვნელოვანეს თხზულებებს. წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. მწერლის შემოქმედების განხილვას მკვლევარი ტრილოგია „მედროშენით“ იწყებს, მკვლევარი მართებულად შენიშნავს, რომ: „ტრილოგიაში „მედროშენი“ პირველად გამოიკვეთა ოლეს გონჩარის როგორც მხატვრის მანერა, მხატვრული ხელწერის თავისებურება. ესაა მისი რომანტიკული „ამაღლებულობა“, „მაღალი“ რომანტიკული სიტვა, გმირის ლირიკული განწყობის არეკვლა ემოციურ სტილზე აგებულ ფრაზაში“ [5-31]. ო. ბაქანიძე ხაზს უსვამს ო. გონჩარის პროზის ლირიკულ ბუნებას და ამ მონოგრაფიაში მწერლის პროზის განხილვისას, ხმარობს გამოთქმას „ლირიკული პროზა“, მონოგრაფიაში მკვლევარი მწერლის თხზულებების თე-

მატიკის თავისებურებათა და სტილის მკითხველისათვის გაცნობისას, აღნიშნავს რომ ო. გონჩარის, როგორც ხელოვანის სტილში ორგანულადაა შერწყმული ლირიზმი და რომანტიკულობა. წიგნში ავტორი ოლეს გონჩარის შემოქმედების მხატვრულ თავისებურებებსაც იკვლევს და საინტერესო მოსაზრებებს სთავაზობს მკითხველს.

ო. ბაქანიძის აზრით: „ოლეს გონჩარი დიდ ყურადღებას უთმობს პეიზაჟს. პეიზაჟი მის მხატვრულ ტილოზე ყოველთვის გამოირჩევა როგორც ოსტატის ხელით შესრულებული. ამასთანავე მწერალი პეიზაჟს იდეურ – ფსიქოლოგიური ქვეტექსტის ფუნქციასაც ასრულებინებს” [5-34].

საგანგებო ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ მონოგრაფიაში განიხილავს რა ოლეს გონჩარის შემოქმედების მწვერვალს – რომან „ტაძარს“, რომელიც ოცი წლით ამოიღეს ლიტერატურული პროცესიდან, ოთარ ბაქანიძე წერს: „რომან „ტაძარს“ ჯერ კიდევ კარგად არც შეშრობოდა საღებავი, ჯერ კიდევ უდიოდა სტამბის სუნი, როდესაც ეს დიდებული მხატვრული ტილო ხალხის თვალს მოარიდეს, ფარდა ჩამოაფარეს.

მაგრამ ნათქვამია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო და აკი არ დაკარგა კიდევ. გავიდა ხანი და ამ ქმნილებაში ანთებულმა ნაპერწკალმა, მისმა სითბომ და სინთლემ მაინც მოაღწია ხალხამდე. ორი ათეული წლის შემდეგ იგი კვლავ მოგვევლინა.

მეორედ იშვა, მეორედ დაიბადა, მეორედ მიწვდა ხალხის ფართო მასებს, გონებადაბნელებულთა და შურით დაბრმავლებულთა მიერ მიმალული ქმნილება” [5-83-84].

ჩვენი დისერტაციის პირველ თავში შევხებით ამ რომანს და გავაშუქეთ თუ როგორ არის შეფასებული თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში „ტაძარი“. დღეს დაგმობილია მთელი ის ანტიგონჩარისეული კამპანია და უსამართლო კრიტიკა, რაც ამ რომანის დაბეჭდვას მოჰყვა. ოთარ ბაქანიძის მონოგრაფიაში ასე მკაცრად და გაბედულად იქნა შეფასებული ამ რომანის აკრძალვის მცდელობა, რასაც ადგილი ჰქონდა ტოტალიტარული იდეოლოგიის პირობებში.

საუბრობს რა ოლეს გონჩარის პოეტურ ხელოვნებაზე, ქართველი მკვლევარი აღნიშნავს: „ოლეს გონჩარი ადამიანის სულის პოეტია, სიკეთის, სინათლის, სიყვარულის, სილამაზის მომღერალია. მისი პოეტური ხედვა ცხოვრებაში ეძებს ნათელსა და კეთილს, ლამაზსა და ადამიანურს და მას ასახავს და ამ პროცესში ბუნება, სამყარო მისი დამხმარე ძალაა, ობიექტია. მწერალთან ბუნება დეკორაციის როლს როდი ასრულებს, იგი ხშირად მოქმედი გმირის ფუნქციითაა დატვირთული. ხშირად იგი უფრო უკეთ და მკვეთრად წარმოაჩენს გმირის ხასიათსა თუ მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ვიდრე ავტორისეული განსჯები” [5-175].

მონოგრაფიის დასასრულს ავტორი მოკლედ ჩამოთვლის ოლეს გონჩარის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც უკვე ქართულად ითარგმნა.

ქართველი მკვლევარი მხოლოდ მონოგრაფიით არ შემოფარგლულა. ოლეს გონჩარის უკვდავ რომან „ტაძარზე“ ოთარ ბაქანიძემ საინტერესო რეცენზია დაბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ სათაურით „რომანის მეორედ დაბადება“. ეს რეცენზია ოლეს გონჩარის დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან და რომან „ტაძრის“ „მეორედ დაბადებასთან“ დაკავშირებით დაინერა. ავტორი დასაწყისში აღნიშნავს, რომ ეს წიგნი ოლეს გონჩარმა მას 1968 წელს აჩუქა, შემდეგ კი ორი ათეული წლით აკრძალეს რომანი. რეცენზიაშიც დაგმობილია რომანის აკრძალვის ფაქტი, ისევე როგორც მონოგრაფიაში.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ აკრძალეს რა რომანი „ტაძარი“, „რა არ მოიგონეს ავად განწყობილებმა ამ ნაბიჯის გასამართლებლად“ [4-3]. რეცენზიაში ხაზგასმულია, რომ რომანი „ტაძარი“ XX საუკუნის უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელვოანესი ნაწარმოებია, რომელსაც მარადიული სიცოცხლე უწერია.

1988 წლის 8 ივნისის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ ნია აბესაძის წერილი, რომელიც ოლეს გონჩარის შემოქმედების შესახებ გამოცემულ მონოგრაფიას ეხება.

ავტორს წერილის ეპიგრაფად მოჰყავს ოლეს გონჩარის სიტყვები ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის შესახებ:

„Наша дружба выдержала века, и много солнечных веков еще ждет нас впереди” [33-2].

წერილის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს პროფ. ო. ბაქანიძის მონოგრაფიას, აღნიშნავს ამ წიგნის დიდ მნიშვნელობას საქართველოში ოლეს გონჩარის შემოქმედების შესწავლა-გაშუქების საქმეში.

ქართულ სალიტერატურო სამყაროში ოლეს გონჩარის სახელი მტკიცედ დამკვიდრდა როგორც მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ოსტატისა.

უკრაინელი მწერლის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე დაიწერა არა მარტო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ითარგმნა მისი ნაწარმოებები, არამედ შეიქმნა საგანგებო მონოგრაფია და გამოიცა ოლეს გონჩარის ნაწარმოებების თარგმანების კრებულები.

### თავი III. ოლეს გონჩარის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები

თარგმანის ფენომენი კარგა ხანია იზიდავს ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა და ეთნოგრაფთა ყურადღებას. თარგმანის თეორიას ერთნი ლინგვისტიკის ქვედარგად მიიჩნევენ, მეორენი – ლიტერატურათმცოდნეობის ნაწილად. ამ გარემოებას ხელს უწყობს ის, რომ მეცნიერება თარგმანის შესახებ თავისი მეთოლოლოგიით პირველ რიგში დაკავშირებულია სწორედ ამ დისციპლინებთან.

თანამედროვე თარგმანთმცოდნეობაში დღესაც არსებობს არაცალსახა მიდგომა თარგმანის თეორიისადმი. ლინგვისტიკის პოზიციებიდან თარგმანის გაშუქების ერთ-ერთ პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს ა. ფიოდოროვის წიგნი [57]. მისი კვლევის მეთოდი არ გამორიცხავს თარგმანთან ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საჭიროებასაც. თარგმანის თეორიას ლინგვისტურ დისციპლინად მიიჩნევს თარგმანის ცნობილი თეორეტიკოსი ა. ბარხუდაროვიც [35-29]. კვლევის მიმართულებათა კატეგორიული დაშორების ტრადიციის საპირისპიროდ შეიძლება მივიჩნიოთ, ზემოხსენებული ორი ძირითადი მიმართულების დაახლოების ტენდენციაც: ლიტერატურათმცოდნეობითი ორიენტაციის გამოკვლევებში იგრძნობა ენობრივ ფორმათა, როგორც ორიგინალის და თარგმანის საშენი მასალის, ლინგვისტური პოზიციიდან გაშუქების ცდები (ი. კაშკინი [42], ე. ეტკინდი [65], ა. პოპოვიჩი [53]), ხოლო ლინგვისტური ორიენტაციის თეორიებშიც, თავის მხრივ, გვერდს ვერ უვლიან თარგმანში აქტივიზებულ ენობრივ ფორმათა სელექციაზე მოქმედ გარეენობრივ ფაქტორთა და მათ შორის ლიტერატურულ ტრადიციათა გავლენას (ა. შვეიცერი [62], ა. ფიოდოროვი [58]). ამის თვალსაჩინო მაგალითად თარგმანის თეორეტიკოსი ნელი საყვარელიძე გ. გაჩეჩილაძის გამოკვლევებს მიიჩნევს:

„გ. გაჩეჩილაძის მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებულ გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებში აშკარად ლიტმცოდნეობის პოზიციაზე

მდგომი მკვლევარი, მხატვრული ნაწარმოების ლიტერატურული მხარის ენობრივთან მიმართების საილუსტრაციოდ მოძიებულ მასალაში საჭიროდ სცნობს ლინგვისტურ ანალიზის მეთოდთა მოშველიებასაც” [18-11].

კვლევის მეთოდთა სინთეზის აუცილებლობის იდეას მხატვრული თარგმანის თეორიაში ავითარებს თარგმანის თეორეტიკოსი დ. ფანჯიკიძეც თავის გამოკვლევებში. „მხატვრული თარგმანის კვლევაში, - წერს იგი, აუცილებლად მიგვაჩნია ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების სინთეზი, სადაც თარგმანის ენობრივი სპეციფიკის, ორი ენის შეპირისპირებით კვლევას ვატარებთ ლინგვისტიკის პოზიციიდან, ხოლო ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს კი ძირითადად ლიტმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით ვუდგებით” [22-50].

მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა და თარგმანის პროცესი ორიგინალის ასლის გადმოღებას არ ნიშნავს. თარგმანისას ერთმანეთს ხვდება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები. მხატვრულ თარგმანს როგორც ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთშემოქმედების ფორმას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მკვლევარი ი. კოპანევი. მონოგრაფიაში „Вопросы истории и теории художественного перевода” იგი წერს: „Художественный перевод вырабатывается как основная форма творческого взаимодействия кациональных литератур” [43-78].

პროზის თარგმანი რომ არანაკლებ რთულია, ვიდრე პოეზიისა ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ა. ფიოდოროვმა გამოთქვა წიგნში „О художественном переводе”. იგი წერს: „Прозаический стиль бывает не менее сложен, чем стиль произведения поэзии, и переводы прозы зачастую представляют собой преодоление значительнейших трудностей” [58-120]. მწერლის სტილისტური სამყაროს, ნაწარმოების სტილური პლასტების თარგმანში გადმოტანა არის მთარგმნელის მთავარი ამოცანა თარგმანის თეორეტიკოსი ე. ეტკინდი მართებულად შენიშნავს, როდესაც წერს: „Перевод прозы представляет значительные трудности: приходится преодолевать несовпадение в смысловом

объеме и стилистической выразительности слов и оборотов разных языков” [65-3].

მეტად საყურადღებოა ცნობილი მთარგმნელისა და მწერლის კ. ჩუკოვსკის მოსაზრება: „От художественного перевода мы требуем, чтобы он воспроизвел перед нами не только образы и мысли переводимого автора, не только его сюжетные схемы, но и его литературную манеру, его стиль. Если эта задача не выполнена, перевод никуда не годится” [61-8], - წერს იგი. ასეთ კატეგორიულ მოთხოვნას უყენებს მთარგმნელს კ. ჩუკოვსკი. რუსი მთარგმნელისა და მკვლევარის აზრს იზიარებს გ. გაჩეჩილაძეც, როდესაც „სტილისტურ გასაღებზე” საუბრობს და აღნიშნავს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს „გასაღების” პოვნას ნაწარმოებში მთარგმნელის შესვლისათვის [12-229]. მისი აზრით, ეს არის ის „საიდუმლოება”, რომლის გახსნასაც შეუძლია მთარგმნელი თავიდანვე სწორ გზაზე დააყენოს. მკვლევათა ამ მოსაზრების გარკვეული გაგრძელებაა გ. წიბახაშვილის წიგნში „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები” გამოთქმული აზრი, რომ ტექსტის სტილისტური ჟღერადობის უშეცდომო აღქმა, როგორც ჩანს, არის ის უმთავრესი გასაღები, რომლის გარეშეც შეუძლებელია სრულფასოვანი თარგმანის ცხრაკლიტულში შეღწევა [26-50]. გ. წიბახაშვილის აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის სტილისტურ მომზადებას – არა აქვს მნიშვნელობა, როგორ არის შეძენილი ეს ცოდნა – მიზანდასახული სწავლებით, თვითგანათლებით თუ ბუნებით მომადლებული ნიჭით. მთავარია, მთარგმნელს ზუსტად ესმოდეს სიტყვის მნიშვნელობაც ჟღერადობაც და სხვა სიტყვებთან მისი კავშირის სემანტიკური და სტილისტური შესაძლებლობებიც.

სტილის თეორიას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ა. სოკოლოვმა. სამეცნიერო ტერმინი „სტილი” მკვლევარის მიერ განხილულია როგორც ხელოვნებათმცოდნეობის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, ესთეტიკის საერთო კატეგორია. მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაზე საუბრისას მკვლევარი სტილს მხატვრული ნაწარმოების უმთავრეს ელემენტად

მენტად მიიჩნევს და წერს: „Стиль как художественная закономерность находит выражение в различных элементах структуры художественного произведения” [55-68].

მხატვრული სტილის პრობლემას თავიანთ ნაშრომებში იკვლევენ ცნობილი ლიტერატურათმცოდნეები ლ. შეპილოვა [63] და ო. ლარმინიცი [50].

უკრაინულმა მხატვრულმა პროზამ ბევრი არ იცის ისეთი დახვეწილი სტილის მწერალი, როგორც ოლეს გონჩარია. ვიდრე თარგმანებს გავაანალიზებდეთ, ხელოვანის ინდივიდუალობის უკეთ წარმოჩენის თვალსაზრისით, შევჩერდებით უკრაინელი მწერლის სტილზე. ჩვენი ნაშრომის მეორე თავში განვიხილეთ, თუ როგორ არის შეფასებული ოლეს გონჩარის შემოქმედება ქართულ კრიტიკაში და აღვნიშნეთ, რომ ქართველ მკვლევართა მიერ (ო. ბაქანიძე, ს. ჭილაია, გ. ლომიძე) იმთავითვე სწორად განისაზღვრა ო. გონჩარისათვის დამახასიათებელი რომანტიკული სტილი. ო. გონჩარის ინდივიდუალურ სტილზე თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც ბევრი საინტერესო გამოკვლევა დაინერა. ლიტერატურათმცოდნე მ. ჟულინსკი ო. გონჩარის ინდივიდუალურ შემოქმედების მეთოდს **პოეტურ რეალიზმს** უწოდებს [84-22]. რომანტიკა რეალისტურ ხელოვნებაში თვით ოლეს გონჩარს ასე ესმის:

„Дуже я остерігаюся цього слова – романтика; цей термін видається мені не зовсім точним, радше – в нього часто вкладають різний зміст. І якщо мені все ж доводиться оперувати цим терміном, то... я кожного разу підкреслюю, що визнаю лише ту **романтику**, яка природньо виростає з **реалізму**, на реалістичному ґрунті” [96-33]. როგორც ვხედავთ მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცნობს მხოლოდ იმ რომანტიკას, რომელიც ბუნებრივად ამოდის რეალიზმიდან, რეალისტური ნიადაგიდან.

ოლეს გონჩარის რომანები მართებულად განიხილება რომანტიკული პროზის სპექტრში. მონოგრაფიაში „რომანტიზმის ეფექტი და უკრაინული ლიტერატურა” ცნობილი ლიტერატურათმცოდნე მ. ნაენკო რომანტიკული პროზის კონტექსტში განიხილავს ო. გონჩარის შემოქმედებას. ტრილოგია

„მედროშენის“ შესახებ მ. ნაენკო წერს, რომ ავტორმა ტრილოგია რომანტიკული სტილის ჩარჩოებში მოაქცია და ეს ნაწარმოები თავისუფლად შეიძლება ი. იანოვსკისა, ო. დოვჟენკოსა და სხვა რომანტიკოსთა თხზულებათა გვერდით მოვათავსოთ [96-291]. მკვლევარი ო. გონჩარის სტილის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად წყვეტილ წინადადებებს, ზმნის დროების დესტრუქციასა და სინტაქსის წესების შეგნებულ დარღვევას მიიჩნევს. რაც მისი აზრით, ქმნის ე. წ. „ტეხილ სტილს“. ტერმინს „ტეხილი სტილი“ პირველად სწორედ მ. ნაენკო ხმარობს ოლეს გონჩარის თხზულებებთან მიმართებაში. უკრაინელი მწერლის ენა არის უაღრესად მდიდარი მხატვრული ხერხებით. ო. გონჩარის ნაწარმოებთა რომანტიკულობაზე საუბრისას მკვლევარს მრავალი საყურადღებო არგუმენტი მოაქვს, ერთ-ერთი გახლავთ უკრაინელი მწერლის რომანებში გაბნეული ტიპიური რომანტიკული მეტაფორები (მაგ. გზის სიმბოლო), რაც მ. ნაენკოს აზრით, ამ თხზულებათა რომანტიკულობაზე მეტყველებს. გამოკვლევის პირველ თავში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მკვლევარი ამ მხრივ პარალელსაც კი ავლებს ჩ. აითმატოვისა და ო. გონჩარის რომანებს შორის.

კრიტიკოსი ა. პოგრიბნი ო. გონჩარის სტილის დამახასიათებელ ნიშნად ე. წ. „მაღალ სტილს“ მიიჩნევს. ეს სტილური ნიშანი, მისი აზრით, დამახასიათებელია გონჩარისეული არაერთი პერსონაჟის მეტყველებისათვის, ამ მხრივ შეიძლება გარკვეული მსგავსება დავინახოთ ოლეს გონჩარისა და ო. დოვჟენკოს თხზულებათა პერსონაჟების მეტყველებაში [82-22].

ამგვარად, ზოგადად მოიხაზა ო. გონჩარის სტილის საკითხის გარშემო ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული მოსაზრებები. ნაშრომის ამ თავში ჩვენ შევეცდებით კონკრეტული მასალის მოშველიებით უფრო თვალსაჩინოდ წარმოვაჩინოთ ხელოვანის ინდივიდუალური სტილი და ვნახოთ როგორაა დაცული დედნის სტილი ქართულ თარგმანებში.

ოლეს გონჩარის ნაწარმოებები მრავალ უცხო ენაზე არის თარგმნილი. მათ შორის: ესტონურ, ლატვიურ, ჩეხურ, რუმინულ, უნგრულ, ბულგარულ, პოლონურ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, ფინურ და სხვა

ენებზე. აღსანიშნავია, რომ მარტო ჩინურ ენაზე ოცდათექვსმეტჯერ გამოიცა ო. გონჩარის ნაწარმოებები. უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები ქართულადაც ითარგმნა, ქართველმა მწერლებმა, ცნობილმა მთარგმნელებმა და ქართული კულტურის მოღვაწეებმა, ქართველი ხალხის დიდი მეგობრისა და ნიჭიერი ხელოვანის ქმნილებები ჩვენს მშობლიურ ენაზეც აახმიანეს. ქართულ ენაზე ითარგმნა რომანი „მედროშენი“, თარგმნეს დ. კასრაძემ და ს. ფაშალიშვილმა, რომელიც გამოსცეს 1952 წელს, „დაე, ანათოს შუქურამ“ თარგმნა იროდიონ ქავჭარაძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოსცა „ნაკადულმა“ 1969 წელს, „სიყვარულის სანაპირო“ თარგმნა ალექსანდრე ბეგაშვილმა და გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ 1981 წელს. ცალკე აღსანიშნავია ოლეს გონჩარის მოთხრობების კრებულები: კრებული „მზესუმზირა“, რომელშიც შევიდა მოთხრობები: „მთები მღერიან“, „მოდრი კამენი“, „უსმანი და მარტა“, „მზესუმზირა“, „ტოროლა“, „ზაფხულის ღამეს“, „ვერხოვინელი მაშა“, - თარგმნა მ. გორგაძემ და „ნაკადულმა“ გამოსცა 1964 წელს, უკრაინელი მწერლის მოთხრობების მეორე კრებული „ხუთი მოთხრობა“, რომელშიც ჯაბა ასათიანის მიერ თარგმნილი ოლეს გონჩარის ნაწარმოებები შევიდა, 1988 წელს გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“, ნოველა „ბედნიერების წამი“ თარგმნა რევაზ ხვედელიძემ და გამოაქვეყნა აღმანახ „ცისარტყელაში“ 1970 წელს, ერთი თავი რომანიდან „ტრონკა“ თარგმნა გიორგი ნამორაძემ და გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1964 წელს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ო. გონჩარის ნაწარმოებების ქართული თარგმანები მცირე გამოცემის გარდა, რუსული თარგმანების გამოყენებით სრულდებოდა და არ ითარგმნებოდა უშუალოდ ორიგინალიდან. ასეთ ქართულ თარგმანებში ვხვდებით რუსული ენის კალკირებას, უხეირო ქართულით გადმოღებულ სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს, ხშირია სხვადასხვა სახის უზუსტობანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ო. გონჩარის შემოქმედების ქართველი მკითხველისათვის გაცნობის, მისი პოპულარიზაციისა და შე-

მოქმედებითად ათვისების საქმეში, როდესაც დაბეჯითებით ვიცით, რომ თარგმანი ორიგინალიდან არ შესრულებულა, აზრი ეკარგება მის ორიგინალთან შეჯერებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულმა ნათარგმნმა ლიტერატურამ ბევრი დაკარგა იმით, რომ თარგმნილი არ არის ოლეს გონჩარის შემოქმედების მწვერვალი – რომანი „ტაძარი“, რომელიც თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ქმნილებაა, იგივე შეიძლება ითქვას ნოველა „ორნი ღამეში“-ს შესახებაც. არ იქნება ურიგო, თუ ქართული მთარგმნელობითი სკოლა ამასაც მიაქცევს ყურადღებას.

ნაშრომში ო. გონჩარის შემოქმედებიდან საანალიზოდ ვიღებთ თანამედროვე უკრაინული ლიტერატურისათვის მნიშვნელოვან, მხატვრულობით გამორჩეულ ქმნილებათა უშუალოდ უკრაინული ენიდან შესრულებულ რამდენიმე ქართულ თარგმანს.

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ნამორაძემ, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა უკრაინაში და უკრაინულ ენაზე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს თარგმნიდა. მის კალამს ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, კ. ლორთქიფანიძის, თხზულებათა თარგმანები. ქართული კულტურის დაუღალავი პროპაგანდისტი უკრაინაში, გიორგი ნამორაძე წლების მანძილზე ეხმარებოდა დიდ უკრაინელ პოეტს პ. ტიჩინას ქართული ენის შესწავლაში. ამან დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ პ. ტიჩინამ შექმნა ქართული პოეზიის მაღალმხატვრული თარგმანები. გ. ნამორაძე ქართულადაც თარგმნიდა უკრაინული პროზის ნიმუშებს. მან ქართულად აამეტყველა პ. პანჩის, ო. კოპილენკას, ვ. ზემლიაკას, დ. კოსარიკის, ო. გონჩარის ნაწარმოებები. იგი უკრაინის მწერალთა კავშირის წევრი იყო, მისმა მოღვაწეობამ უდავოდ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, ბევრი მოვლენა ამ ურთიერთობათა სფეროდან დაკავშირებულია სწორედ მის სახელთან.

გ. ნამორაძემ თარგმნა ერთი თავი („მამაიჩუკი“) ოლეს გონჩარის რომანიდან „ტრონკა“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1964 წელს დაიბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

სანამ ამ თარგმანის ანალიზზე გადავიდოდეთ, შევჩერდებით იმ ზოგად ტენდენციებზე, რომელიც გ. ნამორაძეს, როგორც მთარგმნელს ახასიათებს. გ. ნამორაძის მიერ უკრაინულ ენაზე შესრულებულ ქართული მხატვრული პროზის თარგმანებს განიხილავს უკრაინელი ქართველოლოგი ლ. გრიციკი საკანდიდატო დისერტაციაში „ქართული მხატვრული პროზა თანამედროვე უკრაინულ თარგმანებში“ [36].

გ. ნამორაძის მთარგმნელობითი მეთოდის განხილვისას მკვლევარი აღნიშნავს, რომ მთარგმნელს არ გააჩნია, ერთიანი მეთოდი „Отсутствие единых принципов перевода часто сбивает переводчика, делает его беспомощным“ [38-16], - წერს ლ. გრიციკი და მისი აზრით, სწორედ ამით აიხსნება შემდეგი გარემოება: „Думая о читателе, переводчик стремится не только передать содержание произведения, но и хорошо объяснить характерные для грузинской литературы образы. Особое внимание уделяет он реалиям. если одни образы или реалии Г. Наморадзе просто переводит и украинизирует их, то другие оставляет в звуковом оформлении оригинала, разными способами объясняя их“ [38-16].

გ. ნამორაძის მიერ უკრაინულ ენაზე შესრულებული თარგმანების არაერთი ნაკლოვანი მხარეა ხაზგასმული ლ. გრიციკის ნაშრომში. ამ ხარვეზთა ერთ-ერთ მიზეზად ლ. გრიციკი შემდეგ ფაქტორს მიიჩნევს: „Г. Наморадзе прекрасно владел грузинским языком, но относительное знание украинского сковывало возможности переводчика и сказывалось даже при написаний подстрочника“ [38].

ჩვენ გ. ნამორაძეს შევეხებით, როგორც უკრაინული ენიდან მთარგმნელს და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის ტენდენციები, რასაც საანალიზოდ აღებული მასალა მოგვცემს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ნამორაძემ თარგმნა რომან „ტრონკას“ ერთი თავ-

ვი – ნოველა „მამაიჩუკი“. რომანი „ტრონკა“, რომელიც მთლიანად ნოველებისაგან შედგება, თარგმნილია მრავალ უცხოურ ენაზე, ქართულად იგი მთლიანად არ თარგმნილა, დღესდღეობით მხოლოდ გ. ნამორაძისეული ზემოხსენებული თარგმანი არსებობს.

ნოველის მთავარი გმირია გრინა მამაიჩუკი – ახალგაზრდა კინომექანიკოსი, მისი ცხოვრების, ყოველდღიური ყოფის ეპიზოდებია დახატული ნოველაში.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხატვრული პროზის გ. ნამორაძისეული თარგმანები გარკვეულ წილად უკრაინიზირებულია, ხოლო უკრაინული პროზის თარგმნისას კი თარგმანის მეტისმეტი გაქართულების ტენდენცია იკვეთება.

ნოველა „მამაიჩუკში“ არის ადგილი, როდესაც მთავარი პერსონაჟი – გრინა მამაიჩუკი თავის მეგობრებში ყოფნისას საკუთარი თავის დახასიათებას მსუბუქი ირონიით ახდენს: „- О! Ланцем прикутий ти до землі ... батьки в наш час пішли такі, що не можуть своїх дітей до пенсії догодувати! В поті чола мушу добувати хліб свій насущий, щоденно виборювати той презрений метал, якого мені, братці, часто бракує... хотів би ваш друг бути добродішним, щедрим, великодушним, але при таких **п е н ь о н з а х**, як у Грині Мамайчука, підтримувати чесність цносливою, повірте, ох нелегко, навіть дуже важко! Сам незчуєшся, як в агітфургоні в тебе серед коробок з кінострічкою, серед геніальних витворів люського духу опиняється раптом ... карзина з виноградом, який юридично тобі не належить. Або, скажімо, **л а н т у х к а в у н і в т а д и н ь, ц и х н а ш и х у к р а ї н с ь к и х а н а н а с і в** ... Ти везеш ці скромні дари природи додому, щоб присмачити ними не досить солодке життя своїх ближніх” [79-463].

ახლა ვნახოთ თარგმანი:

„ო! ჯაჭვითა ვარ მიბმული მიწაზე... ჩვენ დროს ისეთი მამები არიან, რომლებსაც სიკვდილამდე თავისი შვილების კვება არ შეუძლიათ! ოფლითა ჩემითა, იძულებული ვარ მოივიპოვო პური ჩემი; ყოველდღე უნდა მოვიპო-

ვო ის საზიზლარი ლითონი, რომელიც, მეგობრებო, ხშირად მაკლია... თქვენი მეგობარი უნდა იყოს სათნო, უხვი, დიდსულოვანი, მაგრამ იმ **ხ ე ლ ის ჭ უ ჭ ყ ი თ**, რაც გრინა მამაიჩუკსა აქვს, შეუბღალავი პატიოსნების შენარჩუნება ძნელია. ჰოი, რა ძალიან ძნელია! თვითონაც ვერ იგრძნობ, აგიტბუდრუგანაში, კინოლენტის კოლოფებთან ერთად, როგორ გაჩნდა ყურძნით სავსე კალათი, რომელიც იურიდიულად შენ არ გეკუთვნის, ან, ვთქვათ, **ს ა ზ ა მ თ რ ო ე ბ ი თ ა და ნ ე ს ვ ე ბ ი თ**, ან **უ კ რ ა ი - ნ უ ლ ი ა ნ ა ნ ა ს ე ბ ი თ ს ა ვ ს ე ტ ო მ ა რ ა** ... ეს ბუნების მცირე საჩუქარი შინ მიგაქვს, რომ იმით დაატკბო შენი მახლობლების არასრულიად ტკბილი ცხოვრება”... [20-3].

ო. გონჩარის პერსონაჟის თვითირონიული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ იმ მცირე ხელფასით, რომელსაც იგი იღებს, შეუძლებელია „შეუბღალავი პატიოსნების შენარჩუნება”, რის გამოც შეიძლება თვალი დახუჭო ქრთამზეც კი, გარკვეულ წილად, ავტორის მიერ საბჭოთა სინამდვილის მახინჯ მხარეთა მხილებასაც ემსახურება. ირონიის სამსახურში ბიბლიური სენტენციაც კი (ოფლითა ჩემითა იძულებულივ არ მოვიპოვო პური ჩემი – გ. კ.) ჩააყენა ავტორმა.

გ. ნამორაძე ყოველთვის ცდილობს თარგმანში უცხო სიტყვების გამოყენება მინიმუმამდე დააყენოს და მათ ქართული შესატყვისი მოუძებნოს. ამ მხრივ, მაგალითად ამ მონაკვეთში აღსანიშნავია, რომ პერსონაჟის მიერ ნახმარი სიტყვა „პენიონზა”, რაც პოლონიზმია და ქართულად ფულს ნიშნავს (უკრაინულად კი „гроші” ნიშნავს ფულს – გ. კ.) ავტორმა განგებ გამოიყენა ირონიული ეფექტის ფუნქციით, ვ. ნამორაძემ კარგად შენიშნა ეს ნიუანსი და ეს რეალია თარგმნა როგორც „ხელის ჭუჭყი”, ამ ქართული ირონიული ევფემიზმის გამოყენება უდავოდ კარგი მიგნებაა. ამან თარგმანში კიდევ უფრო გაამძაფრა ირონიული ეფექტი და თანაც ქართველი მკითხველისათვის ბუნებრივი და გასაგები გახადა დედანში არსებული პოლონიზმით გამოხატული ირონია. მამაიჩუკი ირონიულად უწოდებს საზამთროებსა და ნესვებს „უკრაინულ ანანასებს”. თვითონაც ვერ იგრძნობ აგიტბუდ-

რუგანაში როგორ გაჩნდა ყურძნით სავსე კალათი, რომელიც იურიდიულად შენ არ გეკუთვნის, ან ვთქვათ, საზამთროებითა და ნესვებით, ამ ჩვენი უკრაინული ანანასებით სავსე ტომარა და ესეც საერთო ირონიული ფონის შექმნას ემსახურება. დედანში უკრაინულ ანანასებად მოხსენიებულია ნესვები და საზამთროები, თარგმანში კი „უკრაინული ანანასები“ სინამდვილეში არსებულად არის მიჩნეული. მთარგმნელმა ამ შემთხვევაში არა მარტო უირონიოდ თარგმნა ეს ადგილი, არამედ საქმე აქ კუროზამდეც მიდის, რადგან „უკრაინული ანანასები“ ბუნებაში არ არსებობს. ეს ფრაზა ასე უნდა თარგმნილიყო: დედანში ნახმარი სიტყვა „агитфургон“ მთარგმნელს „აგიტბუდრუგანად“ გადმოაქვს, თუმცა შეიძლებოდა „აგიტფურგონიც“ ეხმარა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გ. ნამორაძე ერიდება თარგმანში, უცხო სიტყვათა ხმარებას კიდევ ერთი ამის დამადასტურებელი მაგალითი:

„Похлавшись лобами, жваво шепочуться, видно, обміковують учорашнє своєє фіаско” [79-462].

„შუბლები ერთმანეთისათვის მიებჯინათ და ეტყობა, გუშინდელ მარცხზე მსჯელობდნენ” [20-3]. მთარგმნელი შეგნებულად არიდებს თავს უცხო სიტყვას და „ფიასკოს” ცვლის ქართული ეკვივალენტით „მარცხი”.

ო. გონჩარი მკითხველს თავისი ნოველის პერსონაჟის – გრინა მამაიჩუკის ბიოგრაფიულ მომენტებსაც აცნობს:

„А батя, одначе, не здається: зараз він у майстерні газорізальником. Зціпивши зуби, день у день ріже залізо, латає комбайни, вирізає проіржавілі болячки та пухлини на тракторах, а Гринь його тим часом дошукується сутності життя... Закінчивши десятирічку, хлопець уже встиг побувати в бувальцях, встиг обпектися, як він каже, біля життєвих вогнищ. Вступав у караблєбудівний, але не витримав конкурсу, кудись вербувався, та недовербувався, опинився потім на курсах кіномеханіків в обласному центрі, вечерами вичовгував проспект разом з тамтешніми нудьгарями і кінець кінцем повернувся в радгосп пристойним кіномеханіком з левиною рудою шевелюрою

і в разцяцькованій тропічними пальмами сорочці навипуск, в якій він красується й зараз” [79-465].

ახლა ვნახოთ პერსონაჟის ავტორისეული დახასიათების ეს ნიმუში, როგორ გადმოვიდა თარგმანში:

„მამა კი იხტიბარს არ იტეხს სამჭედლოში ცოდვილობს, რკინას სჭრის, კომბაინებს აკეთებს, ტრაქტორებს დაჟანგულ მუნუკსა და სიმსივნეს ამოსჭრის. გრინა კი ამ დროს ცხოვრების ამაოებას ეძებს... ათწლელი დაამთავრა და ბიჭუნამ უკვე მოასწრო ბევრი რამ გამოეცადა, მოასწრო არაერთხელ დაენვა ხელი, როგორც თვითონ ამბობს ცხოვრების ცეცხლზე. სცადა გემთსამშენებლოზე შესულიყო, მაგრამ გამოცდებზე ჩაიჭრა, სადაც ჩაენერა სამუშაოდ და ვერ იმუშავა, შემდეგ საოლქო ქალაქში კინომექანიკოსობის კურსებზე მოხვდა, სალამოობით პროსპექტს სტკეპნიდა, ბოლოს მეურნეობაში კინომექანიკოსად დაბრუნდა ლომისებური მოყვალყოქორით და ზიზილიანი ჩაუტანებელი პერანგით, რომლითაც აქამდე კობტაობს” [20-3].

დედანში ავტორი გადმოგვცემს, რომ „გრინა კი ამ დროს ცხოვრების არსს ეძებს” (Гринь тим часов дошукується с у т н о с т і життя - გ. კ.), მთარგმნელმა კი ეს ფრაზა არასწორად თარგმნა:

„გრინა კი ამ დროს ცხოვრების ამაოებას ეძებს... გაუგებარი და უზუსტო თარგმანია.

მთარგმნელმა ვერ შესძლო შესიტყვების „побувати в бувальцях” გადმოქართულება, რადგან ქართულში არა გვაქვს ასეთი გამოთქმა. გ. ნამორაძემ ის შესიტყვება ასე გადმოიტანა: „ბიჭუნამ უკვე მოასწრო ბევრი რამ გამოეცხადა”. ამით მთარგმნელმა შეინარჩუნა დედანში არსებული შესატყვისების აზრი და თარგმანი ამ მხრივ ზუსტად გამოხატავს დედნის აზრს, მაგრამ დაიკარგა ხატოვანი გამოთქმა. მთარგმნელი ცდილობს თითქმის ყოველ ფრაზეოლოგიზმს ქართული ეკვივალენტი მოუნახოს. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ ახდენს გამოთქმის კალკირებას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„Батько новонародженого був просто на сьомому небі, що в життя приходить щу один Мамайчук” [79-464].

თარგმანში ვკითხულობთ:

„ახლად დაბადებულის მამა ცას ენია, რომ ცხოვრებაში კიდევ ერთი მამაიჩუკი მოდის” [20-3]. „ცას ენია” უკრაინული ფრაზეოლოგიზმის ზუსტი და კარგი ქართული შესატყვისია, მაგრამ შესატყვისის მოძებნა ყოველთვის ვერ ხერხდება.

ნოველაში არის ადგილი, როდესაც ავტორი გრინაის მეგობრების საშუალებით და ვიტალის შესახებ წერს, რომ მათი სამუშაო ძალიან ახლო-ახლო იყო:

„Щі орли, яких розділяс відстань комарина, могли перегукнутись вранці через дорогу” [79-462].

„відстань комарина” უკრაინული ფრაზეოლოგიზმია, რომელსაც ავტორი ხმარობს იმის ხაზგასასმელად, თუ რა ახლო მანძილითაა დაშორებული ორი პერსონაჟის სამუშაო. ამ გამოთქმას მთარგმნელმა ვერ მოუძებნა დედნის შესაფერისი ხატოვანი გამოთქმა და ამ შემთხვევაში კალკირება, რომელსაც მიმართავს გ. ნამორაძე, მისაღებია.

„ამ შევარდნების სამუშაო ერთმანეთისაგან კოლოს გადაფრენის მანძილით იყო დაშორებული” [20-3]. კალკირებული ფრაზეოლოგიზმი „კოლოს გადაფრენის მანძილი” უკრაინული გამოთქმის კალკია, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ შემთხვევაში კალკირება გამართლებულია. გრინა მამაიჩუკს მწერალი ხატავს, როგორც მოუსვენარსა და ცოტათი აბეზარს, რომელიც მუდამ დაეძებს ცხოვრების არსს და თავის თავს ეკითხება: რისთვის ვცხოვრობ? რისთვის უნდა ვიცხოვრო? ამ აკვიატებული კითხვებით იგი ხშირად სხვებსაც აბეზრებს თავს.

ავიღოთ დიალოგი გრინასა და მეფრინველეობის ფერმაში მომუშავე გოგონებს შორის:

„Ступивми в біле куряче царство, він одразу ошелешує пташниць улюбленим своїм запитанням:

- Дівчата, для чого ви існуєте, чи то пак живете?

Така вже в нього звичка сікатись з цим запитанням до кожного, анкетувати людей:

- Ну, от народились, повиростали, живете, а для чого?

Сприймаючи це як жарт, дівчата знизують плечима, пересміхаються, а шестилітня донечка старшої пташниці зачудовано дивиться на мамайчука, на його жовту, мов пух на курчаті, бороду та позцяцьковину сорочку.

- Хай уже Саня, - киває Мамайчук на повновиду горняву молодичку, чоловік якої відбуває службу на балтійському флотію – В неї затяжна любов, вона тільки й жде свята, щоб податись у Ленінград на побоєння до свого законного.

А ви?

- Тебе б спитати, - весело віуказує Саня, - для того ти сам небо коптиш?

- О, цу питання складне, над ним я саму поздумую в ці дні. Лаамав голову ніч, цілісінький ранок і цьому ж присвячу кілька найближечих років” [79-469].

ვნახოთ ეს მონაკვეთი თარგმანში:

„ფებს თეთრი ქათმების სამეფოში დაადგამს თუ არა, მაშინვე გააცბუნებს მეფრინველე გოგონებს თავისი საყვარელი შეკითხვით:

- რისთვის არსებობთ ქვეყნად, თუ ისე, სხვათაშორის ცხოვრობთ?

ასეთი ჩვეულება აქვს, ვისაც მიადგება, ამგვარი კითხვებით გააყრუებს.

- აი, აჰა, დაიბადეთ, გაიზარდებით, ცოცხლობთ, მერე და რისთვის ცოცხლობთ?

გოგონები მხრებს აინევენ, გაიღრიჭებიან, პატარა გოგონა – უფროსი მექათმის შვილი კი გაკვირვებით უცქერის მამაიჩუკს, მის მოჟღალო, თითქოს წინილების ბუმბულის მსგავს წვერს და ზიზილებიან პერანგს.

- სანიას კიდევ რა უშავს რა, - მიუთითებს მამაიჩუკი შავგრემან ქალზე, რომლის ქმარიც ბალტიის ფლოტში მსახურობს. – იმას გაჭიანურებული

სიყვარული აქვს, მხოლოდ დღესასწაულებს ელის, რათა გაექცეს ლენინგ-რადში და თავისი კანონიერი... ნახოს, თქვენა?

- შენა გკითხავ ახლა – მხიარულად უპასუხებს სანია, - შენ თვითონ რა-და ჰბოლავ ცასა?

- ო, ეს რთული საკითხია, მაგის შესახებ მე თვითონ დღედაღამ ვფიქრობ, ალბათ მაგ ფიქრსვე შევალევ რამდენიმე ახლობელ წელს” [20-3].

მთარგმნელმა ფრაზეოლოგიური ერთეული „коптиш небо” სიტყვა-სიტყვით და ზუსტად გადმოიტანა: „ცასა ჰბოლავ”, ამ შემთხვევაშიც ეს გამართლებულია, რადგან თუ ნათელია მოტივაცია, არ არის აუცილებელი ფრაზეოლოგიზმს მაინცდამაინც წმინდა ქართული შესატყვისი მოეძებნოს. აღნიშნული მონაკვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ ო. გონჩარის პერსონაჟის ენა ძირითადად მიჰყვება საერთო სალიტერატურო ენის ფარგლებს, თარგმანში კი ვხვდებით პერსონაჟის დიალექტურ გამოთქმებს, რაც კიდევ უფრო აქართულებს თარგმანს. მკითხველს რომ წმინდა მშობლიური ასოციაციები შეექმნას გ. ნამორაძემ საზოგადოებრივი რეალიის სატირულ-იუმორისტული ჟურნალის სახელი „Перець”-ი ქართული ანალოგიური პროფილის ჟურნალის სახელწოდებით („ნიანგი”) შეცვალა;

ვნახოთ ეს ადგილი დედანსა და თარგმანში:

„- Чуеш Віталику? – звертається Сашко до товариша – Ось що декому сниться... У нашому «**Перці**» це можна б назвати «Мрія сучасного лежебоки» [79-465].

„- გესმის, ვიტალი, - მიუბრუნდა საშკო ამხანაგს, - აი ზოგიერთს რა ესიზმრება... ჩვენს „**ნიანგში**” ამას შეიძლება „თანამედროვე უქნარასოცნება” დავარქვათ [20-3]. სასურველი იქნებოდა, რომ მთარგმნელს ეს რეალია კი არ შეეცვალა ქართული ანალოგიური რეალიით, არამედ ჟურნალის დასახელება „პერეცი” გადმოეტანა უთარგმნელად და შენიშვნის სახით განემარტა მკითხველისათვის, რომ ეს არის უკრაინული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი.

გამოთქმის კალკირების კიდევ ერთი მაგალითი:

„Колего, я не вважаю, що цей камінь кинуто в мій город”. ფრაზეოლოგიზმის „цей камінь кинуто в мій город” ნიშნავს, რომ რაიმე, რაც ითქვა ზოგადად კონკრეტიზაციის გარეშე, სწორედ შენ გეხება. ტექსტში პერსონაჟი აცხადებს, რომ კრიტიკა მას არ ეხება, რადგან იგი მუშაობს და კანონმორჩილია. „არა მგონია, რომ ეს ჩემს ბოსტანში იყოს გადმოსროლილი... მაგისტანებს არ ვეკუვნი” [20-3]. ქართველი მკითხველისათვის კალკირებული ფრაზეოლოგიზმი „ბოსტანში გადმოსროლილი” უფერულდება, კარგავს მხატვრულობასა და მიმზიდველობას, თანაც ქართველისათვის ცოტათი აძნელებს კიდევ ტექსტის აღქმას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთარგმნელი წინადადების უკრაინულ კონსტრუქციას ვერ ინარჩუნებს, გმირი, რომელიც ესაუბრება მეორე პერსონაჟს მიმართვის ფორმას იყენებს და ჩნდება უკრაინული და პოლონური ენებისათვის მიმართვის ფორმით („колего”) წარმოდგენილი კონსტრუქცია. ამ ენებში კოლეგა ხშირად იხმარება ამხანაგის მნიშვნელობით და არა თანამშრომლის (სპეციალობით), გ. ნამორაძემ „კოლეგა” გამოსტოვა, თუმცა შეიძლებოდა მიმართვის ფორმები „მეგობარო”, „ამხანაგო” გამოეყენებინა.

ხოველაში არის დიალოგი, როდესაც მამაჩუკი თავის მეგობრებს საშკოსა და ვიტალის ესაუბრება, და ამ უკანასკნელს, რომლის დედაც დეპუტატია, ირონიულ რჩევას აძლევს:

„Дай мені таку матусю, що й депутатка, що їй в області всюди двері відчинені, не бачити б вам цього Мамайчука тут!

Сашко глянув на нього з-під хвилі розтріпаного чуба:

- Погано ж ти знаєш його матусю.

- Що? – видивився на радиста Мамайчука.

- Я за неї голосував! Голос за неї віддал І притомуширо. Вона-ще й мати! А ти – він глянув на Він глянув на Ві не мамин.

- А чий

- Материн.

- Суті це не міняє. Ти згідно з законами природи, найдорожча для неї істота, тобі мусить бути ясно, що зчщо впливає...

- Не ясно, - скривився в недобрій усмішій Віталій, - Може, розтлумачиш?

- Без неї ти, хлопче, нуль у всесвіті. Розшилопав? Круглий нул – з власного гірського росвіду свідчу.

Отже, йди, падай перед нею на чотири кості, проси. Інакше не бечити тобі не то кораблебудівного, а й зачуханого якоко-нибудь технікуму...”[79-467].

ვნახოთ ეს ადგილი თარგმანში:

„ისეთი დედა მომეცი, რომ დეპუტატიც იყოს. ოლქშიც ისე ტრიალებდეს, როგორც საკუთარ სახლში და მაშინ მამაჩუკს აქ ველარ ნახავთ!

- საშკომ აბურძგნული კულულებიდან გამოიხედა:

- ვერა გცნობია მაგისი დედა.

- რაო? – გაკვირვებით შეხედა მამაჩუკმა რადისტს. მე იმას ხმა მივეცი! ალალი ხმა. ის ხომ დედაშენია. შენ კი დედიკოს საყვარელი შვილი ხარ.

- მე დედიკოს შვილი არავარ.

- მაშ ვისი შვილი ხარ?

- დედასი.

- მაგით არსებითად არაფერი იცვლება . ბუნების კანონების თანახმად, მისი უძვირფასესი არსება ხარ, შენთვის ცხადი უნდა იყოს, რაც აქედან გამომდინარეობს...

- ცხადი არ არის, - უცნაურად დაიღმიჭა ვიტალი – იქნებ ამიხსნა?

- საკუთარი მწარე გამოცდილებიც გიმონებ, რომ უიმისოდ, ბიჭუნო, ქვეყნიერებაზე არაფერი ხარ. მიხვდი? ამიტომ მიდი, დაემხე მის წინაშე, ეაჯე. სხვანაირად გემთაღმშენებელ ინსტიტუტს კი არა, უბრალო ტექნიკუმსაც ვერ იხილავ” [20-3].

ფრაზა „їй в області всюди двері відчинені”, რაც ნიშნავს, რომ მის წინაშე (იგულისხმება ვიტალის დეპუტატი დედა – გ.კ.) ყველა კარი ღიაა, მთარგმნელმა თარგმნა „ისეთი დედა მომეცი, რომ დეპუტატიც იყოს, ოლქშიც

ისე ტრიალებდეს, როგორც საკუთარ სახლში”. დედანში ნათქვამია, რომ დეპუტატისათვის საბჭოთა სინამდვილეში ყველა კარი ღიაა, აქცენტირებულია დეპუტატთა დიდი უფლებები უარყოფით, ნეგატიურ კონტექსტში, ხოლო გ. ნამორაძის მიერ თარგმნილი ფრაზა, რომ დეპუტატი დედა ოლქშიც ისე უნდა ტრიალებდეს, როგორც საკუთარ სახლში, შეიძლება ორაზროვნად გავიგოთ. საკუთარ სახლს როგორც უვლის, ოლქსაც ისე მიხედავს, ასეთი გაგებაც შეიძლება ამ თარგმანის, მაგრამ ო. გონჩართან ასეთი ორაზროვნება გამორიცხებულია, ტექსტში ირონიულ კონტექსტშია მოხსენიებული საბჭოთა დეპუტატი.

ფრაზეოლოგიური გამოთქმა „падай перед нею на чотири кості”, რაც ნიშნავს ვინმეს მიმართ ძლიერ თხოვნას და ხვეწნას, მთარგმნელს შეიძლება ეთარგმნა შემდეგნაირად „ფეხქვეშ გაეგე”, „მუცელზე იხობე”. გ. ნამორაძემ კი თარგმნა დაემხე მის წინაშე, „ეაჯე”. თარგმანში „ეაჯე” უადგილოდ ნახმარი სიტყვაა, ეს არქაული ამაღლებული სიტყვა, დედნისათვის უცხოა და ამიტომ ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია მისი აქ ხმარება, ალბათ სჯობდა მთარგმნელს ეს ფრაზა ასე გაემართა: ფეხქვეშ გაეგე, ეხვენე, ევედრე და არა ეაჯე. დედნის მიხედვით, თუ ვიტალის დეპუტატი დედა არ გაირჯება, ყმანვილი ტექნიკუმშიც კი ვერ მოენყობა.

კიდევ უფრო რომ გააძლიეროს უკულმართი სინამდვილით გამოწვეული კრიტიკული ეფექტი, რომლითაც პერსონაჟის ირონიული დამოკიდებულების მიღმა საბჭოთა სინამდვილისადმი ავტორის ირონიაც იმალება, ო. გონჩარი ტექნიკუმების ეპითეტად „зачуханий”-ს ხმარობს, რაც ამ შემთხვევაში უბადრუკს ნიშნავს. თარგმანში ვიტალი უნდა ეხვენოს დედას, რადგან „სხვანაირად ინსტიტუტს კი არა, უბრალო ტექნიკუმსაც ვერ იხილავს”. „зачуханий” არ არის უბრალო, მთარგმნელი ამ უფრო ნეიტრალური ეპითეტის შემომტანით ასუსტებს დედნისეულ პათოსს.

პერსონაჟის ირონიული ელფერით შესამოსად ავტორი გრინა მამაიჩუკს, მე-3 პირში ამეტყველებს:

„А я ось Гринь Мамайчук, навпаки, - в емоційні моменти він величає себе, - неправильно живу, багато зайвого балакаю. Якоби йому хоч на мить вернулось колишнє, мене він першого загнав би туди, де козам роги правлять... А за що»? Гринь працює. Не отруює себе алкоголем. До оказамилювачів не належить. А ще Гринь активно захищає спортивну честь нашого радгоспу, виходячи в бутсах на поле стадіону, щоб пробуджувати у вас крім кровожерних інстинктів ще й полум'яний місцевий патріотизм. Так у чому ж Гринь неправимний, братці мої?» [79-464].

ახლა ვნახოთ თარგმანი:

„აი მე, მამაიჩუკი, სწორად არ ვცხოვრობ, ბევრ ზედმეტს ვლაპარაკობ. ის რომ ერთი წუთით გახდეს ის, რაც წინათ იყო, პირველად მე შემაბრძანებდა იქ, სადაც თხებს რქებს უსწორებენ... მერე რისთვის? ვმუშაობ, ალკოჰოლით თავს არ ვინამლავ. თვალის ამხვევებს არ ვეკუთვნი. ამის გარდა, აქტიურად ვიცავ ჩვენი მეურნეობის სპორტულ სახელს, როცა ბუცებით გამოვდივარ სტადიონის მოედანზე. მაშ რატომა ვარ არასწორი, ძმებო?“ [20-3].

დედანში პირველ პირში დაწყებული მეტყველება პერსონაჟს მესამე პირში გადააქვს, რათა საკუთარი თავის ქება ისე წარმოაჩინოს, რომ თითქოს საკუთარ თავს კი არ ახასიათებს, არამედ სხვა გარეშე პირს, ეს სტილური ელემენტი მთარგმნელმა, როგორც ვხედავთ არ გადმოიტანა და მამაიჩუკის მეტყველება მთლიანად პირველ პირში დატოვა. ამ დარღვევის თავიდან აცილება ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი იყო.

გრინას ავტორმა ისეთი მეტსახელი მოუძებნა, რომელიც სრულიად შესატყვისება მის ბუნებას. ო. გონჩარი პერსონაჟის მეტსახელის ისტორიასაც აცნობს მკითხველს.

ვნახოთ ეს ადგილი დედანში:

„Є на світі керовані снаряди, є керовані ракети, але є некерована жива істота в образі Грині Мамайчука. «Некерований Мамайчук», - кинув хтось із приїжджених офіцерів і так воно й пішло гуляти по радгоспу, за прізвисько Гриня

не сердиться, хоча й не вважає себе нітрохи винуватим, що життя його складається так..." [79-464].

ეს ადგილი გ. ნამორაძემ ასე თარგმნა:

„არის ქვეყნად სამართავი ჭურვები, არის სამართავი რაკეტები, მაგრამ არის უმართავი ცოცხალი არსება და დაიარება ქვეყნად გრინა მამაიჩუკის სახით. „უმართველო მამაიჩუკი“, - ვილაც ჩამოსულმა სამხედრო პირმა წამოისროლა და ამ მეტსახელმა იმის შემდეგ დაიწყო გავრცელება. გრინა არ ჯავრობს, თუმცა არც დამნაშავედ თვლის თავს, რომ მისი ცხოვრება ასე მოდის..." [20-3].

გ. ნამორაძემ პერსონაჟის მეტსახელი „Некерований Мамайчук“ თარგმნა როგორც „უმართველო მამაიჩუკი“. მეტსახელი რომ უნდა ითარგმნოს, რათა შენარჩუნებული იქნეს ის ინფორმაცია, რასაც იგი შეიცავს პერსონაჟის დასახასიათებლად, ეს დიდი ხანია უკვე დამკვიდრებული ფაქტია თარგმანის პრაქტიკაში. მთარგმნელმა მეტსახელი „Некерований“ თარგმნა არა როგორც „უმართავი“, არამედ როგორც „უმართველო“ რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ უკრაინულ ენაში არსებობს სინონიმური ზმნები „керувати“ და „управляти“, აქედან „керувати“ ორი მნიშვნელობით იხმარება: ხელმძღვანელობს ან მართავს, ხოლო „управляти“, მართვის მნიშვნელობით იხმარება. „Некерований“ ზმნური წარმოშობის ზედსართავი სახელია.

მთარგმნელმა არჩევანი შეაჩერა „უმართველოზე“ და არა „უმართავზე“, რაშიც მას ვერ შევედავებით, რადგან ფორმა „უმართველო“ უფრო შესაბამეა მეტსახელს. პერსონაჟის დამახასიათებელი ინფორმაცია თარგმანში დაცულია და მკითხველს უკვე ექმნება წარმოდგენა ნოველის გმირის ხასიათზე.

ზოგჯერ მთარგმნელი „ეხმარება“ ავტორს. ერთ-ერთი პერსონაჟის დასახასიათებლისას ავტორი გვეუბნება: „Він умає розвалити церкву-цінну пам'ятку архітектури“ [79-464], მას შეუძლია დაანგრიოს ეკლესია, არქიტექტურის ძვირფასი ძეგლი, მთარგმნელი კი წერს: „მას შეუძლია დაანგრიოს ძველი ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი“ [20-3]. მთარგმნელი, გარდა იმისა, რომ

ეკლესიის ასაკს უზუსტებს ავტორს, რადგან „ძველი“ დედანში არ არის და ეს მთარგმნელის მიერ ჩამატებული სიტყვაა, იგი იოლად ელევა დედნისეულ ეპითეტსაც (цінний - ფასეული, ძვირფასი – გ. კ.).

ზოგჯერ გ. ნამორაძეს საერთოდ არ გადმოაქვს ცალკეული სიტყვები თარგმანში ანდა სახეცვლილად გადმოაქვს ისინი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ დიალოგს ნოველიდან:

„- Гриню тобі пора женитись, - каже Одарка, приземкувата, веселоока, з напущеною аж на брови хусткою – Може менше б мудрував.

- Голому женитись – тільки підперезатись, - відповідає Гриня – А ось вам дівчата, котрі незаміжні, раджу ще роботи не гаячись, щоб потім встигнути щу вийти заміж і вуруге.

- Оце порадив!

- Мушу радити. А то ви ось по десять класів покінчали, проте й досі не знаєте, що раніше з'явилось у природі: курка чи оцу яйце? – І Гриня, підібравши біля коритця загублене куркою свіже яйце, тут же його нахильці й випиває” [79-469].

ვნახოთ ეს ადგილი თარგმანში:

„ - გრინა, დროა ცოლი შეირთო, - ეუბნება ოდარკა. დაბალ-დაბალი, მხიარულთვალება, წარბებამდე ჩამონეული თავშლით.

- მშიერმა რომ ცოლი შეირთოს, ქამარი მაგრამ უნდა მოიჭიროს, - უბასუხებს გრინა. – აი თქვენ კი, გოგონებო, გირჩევთ ჩქარა გააკეთოთ ეგ საქმე, რომ მეორედ კიდევ მოასწროთ გათხოვება.

- აი დარიგება!

- აბა, თქვენ ათ-ათი კლასი დაამთავრეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცით, რა გაჩნდა ბუნებაში ადრე, ქათამი თუ კვერცხი? – და გრინამ ვარცლთან თვალი შეასწრო ქათმის მიერ დაკარგულ კვერცხს და იქვე გადასანსლა” [20-3].

ამ ხალისიან, იუმორით აღსავსე დაილოგში, რომელიც გრინასა და ფერმაში მომუშავე გოგონებს შორის იმართება, ნიშანდობლივია პერსონა-

ჟის მიერ გრინას მისამართით ნასროლი რეპლიკა სწორედ იმ მომენტში, როდესაც იგი გოგონებს ჩვეულებისამებრ ცხოვრების არსის ფილოსოფიურ საკითხებში „ანათლებდა“: „Гриню, тобі пора женитись – може, менше б мудрував“, გრინა დროა ცოლი შეერთო, მაშინ ეგეთ რალაცეებზე ტვინის ჭყლეტა აღარ მოგიწევსო, თარგმანში კი ეს გამოტოვებულია და მხოლოდ ნაწილობრივ არის გადატანილი ფრაზა (გრინა, დროა ცოლი შეერთო – გ. კ.) ახალგაზრდების ამ დიალოგში ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეულ ფარულ დუელის წარმოჩენა სურს ავტორს ახალგაზრდა კაცსა და ქალებს შორის, რადგან გრინას ირონიულ შეკითხვებსა თუ რჩევებს, გოგონების ასეთივე ხასიათის რჩევა-ხუმრობები მოჰყვება. ამიტომ მთარგმნელის მიერ გამოტოვებული ფრაზა ასუსტებს მწერლის ჩანაფიქრს. ამასთანავე პერსონაჟის პასუხი „მშიერმა რომ ცოლი შეერთოს, ქამარი მაგრა უნდა მოიჭიროს“, როგორც ეს თარგმანში არ არის დედნის შესაბამისი ადგილის ზუსტი თარგმანი, ალბათ აჯობებდა ყოფილიყო, ჯიბეგაფხეკილმა რომ ცოლი შევიერთო რა გამოვაო, ანდა უფრო ზუსტი უკრაინულის „Голому женитись“ იქნება შიშველ-ტიტველმა რომ ცოლი შევიერთო, რა გამოვაო.

ცუდი ქართულითაა გადმოთარგმნილი შემდეგი ფრაზა: „У твоїй душі саме бродять ліричні позитивні заряди...“ [79-466].

თარგმანში გვაქვს:

„სწორედ შენს სულში დაყიალობენ ლირიკული პოზიტიური მუხტები“ [20-3].

მართალია, უკრაინულ ენაში ზმნა „вродити“ ნიშნავს ხეტიალს, ყიალს, თრევას, ნანწალს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ სჯობდა მთარგმნელს ასე ეთარგმნა ეს ფრაზა: სწორედ შენს სულში ირევიან ლირიკული პოზიტიური მუხტები. ეს ქართულისათვის ამ კონკრეტულ კონტექსტში მხატვრულად და აზრობრივადაც უფრო მოხდენილი იქნებოდა.

მთარგმნელი თავისი გემოვნებისამებრ ცვლის დედნის ცალკეულ წინადადებებს თუ სიტყვებს.

ნაწყვეტის სიმცირის გამო აქაც შეიძლება დავიმოწმოთ დედანი:

„Ах, я не вгладав? Він не визнає протекцій Він ненавидить блати? ...Хоче по-чесному, хоче самотійно роз'язувати формули життя з багатьма невідомими? ...и не так, любий наш Архімедику?

Віталій досадливо покушував губу!

- Ти ясновидець” [79-467].

თარგმანში ეს ადგილი ასე ჟღერს:

„- ახ, ვერ გამოვიცანი, პროტექციის წინააღმდეგია? ეჯავრება „ბლატი” – უნდა პატიოსნად, დამოუკიდებლად ამოხსნას ცხოვრების ფორმულა მრავალი უცნობით... ასე არ არის, ძვირფასო არქიმედიკო?

ვიტალი ბრაზით ტუჩებს იკვნეტდა:

- ყბედი ყოფილხარ!” [20-3].

გრინა მამაიჩუკი ჰყვება თუ როგორ შეიძლება თავისი მეგობარი ვიტალი დეპუტატი დედის წყალობით მოხვდეს ინსტიტუტში, იგი ირონიულად აჯავრებს ვიტალის და შემდეგ ცდილობს რა მის „შემორიგებას” იწყებს მეგობრის დადებითად დახასიათებას, რომ ვიტალი არ დაუშვებს პროტექციას, რასაც მოჰყვება ვიტალის იუმორგარეული რეპლიკა. „Ти ясновидець” (ნათელმხილველი ყოფილხარ), მთარგმნელმა კი, ეს რეპლიკა შეცვალა ასე „ყბედი ყოფილხარ”, რითაც ვიტალის გაბრაზება და გრინასადმი უარყოფითი დამოკიდებულების ფაქტორი გამოიკვეთა და ამით არასწორი აგრესიული და მკაცრი ტონი შეიტანა მსუბუქი ირონიით გაჯერებულ რეპლიკაში. ო. გონჩარი ხმარობს ჟარგონს, როდესაც გრინა ახასიათებს თავის მეგობარ ვიტალის, ამბობს რომ „Він ненавидить блати”, გ. ნამორაძე თარგმნის „ეჯავრება „ბლატი”, რადგან ჟარგონი „ბლატი” ქართულშიც იხმარება და მნიშვნელობაც ანალოგიური აქვს (ნაცნობობა, პროტექცია), მთარგმნელმა დედანში ჟარგონით გამოხატული გამოთქმა უცვლელად გადმოიტანა, რაც სავსებით დასაშვებია, რადგან „ბლატი” ქართველი მკითხველისათვის გასაგები ჟარგონული სიტყვაა და მისი შესატყვისის ძებნა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

გაქართულების ტენდენციითაა ნაკარნახევი მთარგმნელისეული ჩამატებები თარგმანში.

ავტორი გადმოგვცემს წესრიგის მამაიჩუკისეულ გაგებას:

„-А що таке лад? – задирає руденьку свою бороду Гриня. – Он у тебе мід стелею ластівки гніздо виліпили, мати їхня для безпеки волосінню ластів'ят обснувала, то, я розумію, лад. Це те що людина, яка б'ється в тенетах безглуздих інструкції...Ластівка своїх малят годує, вона їх береже, доки крила їм підростуть, а коли крила є, тоді, будь ласка: дарую вам небо, дарую вам простір, живіть, літайте на рівних зі мною правах!” [79-463].

ახლა ავიღოთ თარგმანი:

„- რა არის წესრიგი? – გრინამ მოწითალო წვერი მაღლა ასწია, - აგერ თქვენს სახურავთან მერცხლებმა ბუდე გაიკეთეს, საფრთხის თავიდან ასაცილებლად დედა-მერცხალმა ქსელის ძაფი შემოახვია. აი, ეს მესმის, წესრიგია. ისე კი არ არის საქმე, როგორც უაზრო ინსტრუქციების ქსელში გაბმულმა ადამიანებმა იციან... მერცხალი თავის ბარტყების, სანამ ფრთები, დეაეზრდებათ, კვებავს, ინახავს, უვლის, ხოლო როცა ფრთები გაუმაგრდებათ, მშაინ ეტყვის: - ნახვამდის, კარგებო, თქვენთვის მიჩუქებია ცა, მიჩუქებია ეს სივრცე, იცოცხლეთ, იხარეთ, იფრინეთ იმავე უფლებებით, რა უფლებითაც მე დავფრინავო! [20-4].

მოყვანილ ნაწყვეტში, „ნახვამდის, კარგებო”, „იხარეთ” მთარგმნელის მიერ ჩართული წმინდა ქართული ელფერით აღბეჭდილი სიტყვებია, რომლებსაც ქართული კოლორიტი შეაქვთ თარგმანში.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული თარგმანის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გ. ნამორაძის მიერ უკრაინულიდან შესრულებულ თარგმანში მკაფიოდ გამოიკვეთა გადაჭარბებული ქართული კოლორიტის შექმნის, თარგმანის გაქართულების მძლავრი ტენდენცია, ასეთ მეტისმეტ გაქართულებას ვერ მოვიწონებთ, რადგან მან შეიძლება მხოლოდ ზიანი მოუტანოს თარგმანს.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანს ნაკლოვანებები გააჩნია, მთარგმნელის მიერ განეული შრომა მაინც დასაფასებელია, მთარგმნელმა გააკეთა ის რისი გაკეთებაც შეძლო ამიტომ იგი ჩვენგან მხოლოდ მადლობასა და პატივისცემას იმსახურებს.

1970 წელს გამოვიდა ოლეს გონჩარის ნოველის „ბედნიერების წამის“ უკრიანისტ რევაზ ხვედელიძისეული თარგმანი. ეს ნოველა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწარმოებია ოლეს გონჩარის შემოქმედებაში. მასზე მუშაობა მწერალმა შორეულ ტროპიკულ ქალაქ რანგუნში დაიწყო 1964 წელს და კიევში დაასრულა. ეს არის ომის თემაზე დაწერილი ნოველა, რომელშიც აღწერილია არტილერისტ საშკო დიდენკოსა და უნგრელი ქალის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. მოქმედება ხდება უნგრეთში, სადაც ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილები იდგნენ და ელოდნენ დემობილიზაციას.

ნოველა იწყება ავტორ-მთხრობლის მიერ ტროპიკულ ქალაქ რანგუნის დაუვინყარი სურათის დახატვით:

„У тропічному місті Рангуні, де молоді смаглочолі солдати стоять з автоматами на постах у своїй джунглярній зеленавій одежі, в місті золотих пагод-хмарів, що підносяться в небо стогами жовтогарячого жнив'яного блиску, в місті, де рано ніч настає і в присмерках палацу, мовби вихопленого з казок Шехерезади, майне раптом обличчя з прекрасним профілем камеї, а на сцені, видданій східним разкошам пластики, співають руки танцівниць, тчуть пісню кохання під звуки дивного інструмента (назва якого так і зосталось тобі невідома!), - в той жагучий, по-тронічному паркий рангунський вечір з фантастикою музики, краси і мрій піднебесних згадалася чомусь ця давня історія, історія інших широт...“ [72-258].

საოცარი ექსპრესიულობითა და მხატვრულობით გამორჩეულ ამ ერთ აბზაცში, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ნოველის სიუჟეტთან მკითხველი სრულიად უცხო კოლორიტულ სამყაროში გადაჰყავს ავტორს.

მასში ტროპიკული ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების რეალისტური სურათია დახატული. ყველაფერი ეს ერთ აბზაცშია ჩატეული.

ჩვენი აზრით, ეს ამ ნოველის ერთ-ერთ სათარგმნად რთულ ადგილს წარმოადგენს. მოგვყავს ამ აბზაცის ქართული თარგმანი: „ტროპიკულ ქალაქ რანგუნში ჯარისკაცების მომწვანო, ჯუნგლისფერი ფორმა აცვიათ და საგუშაგოებზე ავტომატით შეიარაღებულები დგანან. ქალაქში ნარინჯისფერი თავთუხის მოელვარე ზვინებივით აღმართულ, მოოქრულ პაგოდატაძრებს მწუხრი ადრიანად ეფინება. ჩაბნელებულ დარბაზში, თითქოს შეჰერაზადას ზღაპრებიდან გამოსხლტაო, უეცრად იელვებს კამეით შემკული ლამაზი პროფილი. აღმოსავლეთის დიდებული პლასტიურობით გამართულ სცენაზე მოცეკვავის ხელები მღერის. უცხო ინსტრუმენტის (რომლის სახელი შენთვის უცნობი დარჩა) ჯადოქრულ ხმაზე სიყვარულის სიმღერა იქსოვება. ამ სულისშემხუთავ, თუმცა ტროპიკების კვალობაზე თბილ, რანგუნის საღამოს, ფანტასტიური მუსიკის, სილამაზისა და მიწიერი ზმანების ბურუსში, რატომღაც ეს ძველი ისტორია მომაგონდა, ისტორია სულ სხვა განედისა...“ [32-126].

რ. ხვედელიძის მიერ თარგმნილი ეს მონაკვეთი ოლეს გონჩარის ნოველის კარგი თარგმანის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. მთარგმნელმა შესძლო თარგმანში ავტორ-მთხრობლის სტილის ყველა დამახასიათებელი ელემენტი შეენარჩუნებინა. ავტორი შენელებულ, მდორე რიტმს გვთავაზობს. თარგმანში კარგადაა რეპროდუცირებული დედნის რიტმულ-ინტონაციური სურათი. და ამავე დროს რალაც დოზით მაინც გამოსჭვივის მთარგმნელის, როგორც შემოქმედი-ინდივიდის გემოვნების თავისებურებანი. სანამ კონკრეტულ მაგალითებზე გადავიდოდეთ, გვინდა მოვიყვანოთ ერთი ციტატა ნელი საყვარელიძის წიგნიდან „თარგმანის თეორიის საკითხები“: „იდეალურ შემთხვევაში მთარგმნელი, როგორც მეორადი შეტყობინების პროდუცენტი, მთლიანად უნდა გარდაისახოს ორიგინალის ავტორის სახეში და მაქსიმალურად გაიზიაროს ავტორის ესთეტიკური იდეალი, მაგრამ როგორც მსახიობი, გარდასახული რომელიმე დრამატული

ნაწარმოების გმირის სახეში, არ კარგავს პირადულ ნიშნებს, ასევე მხატვრული ტექსტის მთარგმნელიც მუდამ გარკვეულწილად ინარჩუნებს თავის ხელწერას. მისმა ინდივიდუალურმა ხელწერამ შეუძლებელია თავი არ იჩინოს მისი შემოქმედების რეზულტატში. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემია პოეტურ თარგმანში, თუმცა არც პროზაული თარგმანია ამისაგან დაზღვეული” [18-226].

მთარგმნელის ინდივიდუალური ხელწერისა და შემოქმედებითი ინიციატივის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს ნოველის თარგმანიდან.

როგორც აღვნიშნეთ, ნოველაში დახატულია უნგრეთში მყოფი, ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზაციის მომლოდინე საბჭოთა არტილერისტი საშკო დიდენკო. იგი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია. სხვა ჯარისკაცებთან ერთად ისიც ელოდება სამშობლოში გამგზავრებას. ავტორმთხრობელი თავის პერსონაჟზე წერს: „Про демобілізацію думає хлопець, не інакше. Бо всі ми в ці дні тільки тим і живемо, що скоро додому, а там кожного з нас жде любов. Того своя, того своя, а кого просто невідома, туманна” [72-258].

აქ საუბარია ახალგაზრდებზე, რომლებიც ომმა მოსწყვიტა თავიანთ საცოლეებს ან უბრალოდ შეყვარებულებს, რომლებიც მათ ელიან, ყველას თავისი სიყვარული ელოდება, ვილაცას კი ჯერჯერობით უცნობი და ბურუსით მოცული საბედო.

ქართულ თარგმანში ეს ადგილი შემდეგნაირადაა გადმოცემული: „დემობილიზაციაზე ფიქრობს ჯარისკაცი, ან კი სხვა რაზე უნდა იფიქროს ახლა? ამ დღეებში ყველა შინ წასვლის იმედით ცხოვრობს, ყველას ენატრება ოჯახური სითბო და სიყვარული” [32-126].

ქართულ თარგმანში ორიგინალის ფრაზა შეიკვეცა, მინიშნება იმაზე, რომ ყველას თავისი საცოლე ან შეყვარებული ელოდება სახლში შემცირდა და ფრაზის ნაწილი „Того своя, того своя, а кого просто невідома, туманна” ამოვარდა, სამაგიეროდ გაჩნდა, „ოჯახური სითბო”.

ეპიზოდურმა შეხვედრამ დაახლოვა დიდენკო და უნგრელი ქალი – ლარისა, ვნებათაღელვამ მათ დაავინყა ყოველივე, მაგრამ ბედნიერების წამი მათთვის საბედისწერო გამოდგა, რადგან ვნებით მთვრალი მიჯნური თავს წაადგათ ლარისას მოხუცი ქმარი პრიალა ნამგლით ხელში. დიდენკო იძულებული გახდა მოეკლა მოხუცი, რათა საყვარელი ქალისა და თავისი სიცოცხლე გადაერჩინა.

ამ მონაკვეთში სიუჟეტის განვითარება კულმინაციას აღწევს:

„Ще не випустив він її з обіймів, як раптом вона шарпнулась, нажахано скрикнула щось йому з засторогу, і солдат, озирнувшись, угледів, **як смерть** до них наближається у вигляді незнайомця чорного, в жилетці, з блискучим сером у руці”[72-261].

როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, პრიალა ნამგალმომარჯვებული მოხუცი, როგორც სიკვდილი ისე უახლოვდებოდა მათ. მოყვანილ ნაწყვეტში შედარებას უდიდესი ემოციური დატვირთვა ეკისრება.

აქ ტროპის ეს სახე კიდევ უფრო შემზარავს ხდის იმას, რაც შეიძლება მოხდეს მოჰყვეს მოხუცის მოახლოებას, ისედაც დაძაბულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ახლა ვნახოთ თარგმანი:

„ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, რომ ქალი შეირხა და ელდანაცემმა შეჰკივლა. ჯარისკაცმა თავი წამოსწია და თვალი მოჰკრა შავყილეტიან მოხუცს, ხელში პრიალა ნამგალი რომ ეჭირა” [32-129].

აღბათ უკეთესი იქნებოდა ეს შედარება არ დაკარგულიყო ქართულ თარგმანში.

ფრაზეოლოგიური გამოთქმების გადატანისას სხვა ენაზე, ხშირად იკარგება ის ეროვნული კოლორიტი, რითაც ისინი ხასიათდებიან.

ნოველაში არის ასეთი დიალოგი:

„- Закон цього не дозволяє, - стиха заперечували йому.

- Який закон” – дивувався артилерист, **наче з місяця зва-**

**лився.**

- Не сміємо брати шпюб з іноземками... Такий закон” [72-264].

ამ პატარა დიალოგში ჰაუპტვახში მჯდომ დიდენკოს აფრთხილებენ, რომ ხელი აიღოს უცხო ქალის შერთვის განზრახვაზე, რადგან კანონი ამის უფლებას არ იძლევა, პერსონაჟი კითხულობს – „რომელი კანონიო” და ამას მოსდევს ავტორისეული რემარკა „ისე გაიკვირვა არტილერისტმა, თითქოს მთვარიდან ჩამოვარდაო”.

მთარგმნელს ეს ხატოვანი გამოთქმა სახეცვლილად გადააქვს, რაც გარკვეულ აზრობრივ უზუსტობას იწვევს. დიალოგის ეს ფრაგმენტი თარგმანში ასეთი სახითაა მოცემული:

„- კანონი ნებას არ მოგცემს, - აფრთხილებდნენ ჯარისკაცს.

- რომელი კანონი? – **თ ი თ ქ ო ს მ ი წ ა მ ჩ ა ი ტ ა ნ ა ო**, ჰკვირობდა არტილერისტი.

- უცხო ტომის ქალთან შეუღლების უფლება არ გაქვს, - ასეთია კანონი” [32-131].

როგორც ვხედავთ ავტორისეული რემარკა მთლიანად შეცვლილია მთარგმნელის მიერ და აზრობრივი უზუსტობის გარდა დაკარგულია ორიგინალის ფრაზეოლოგიური გამოთქმა.

კიდევ ერთ ადგილს მოვიყვანთ იმის ნიმუშად, თუ როგორ ვერ მოხერხდა ხატოვანი გამოთქმის გადატანა თარგმანში.

დიდენკოს მეგობრები ინტერესით უსმენდნენ მისი სიყვარულის ამბავს, რომელზედაც საშკოს შეეძლო გათენებამდე ელაპარაკა. ისინი აღტაცებას ვერ მალავდნენ, ქალის საქციელით, რომელმაც თავისი სიყვარული მიუძღვნა ჯარისკაცს.

მოგვყავს ადგილი ორიგინალიდან:

„Не кожному таке випадає, - казали Диденкові друзі – Це тобі нагорода за все!

- Орден вічного щастя, - жарстував котрийсь, а Сашко, видно, почувався **на сьомому небі**” [72-264].

აქ საყურადღებოა ავტორისეული რემარკა, ის რომ დიდენკოს მეგობრების აღტაცებას იწვევდა მისი შეყვარებულის საქციელი, დიდენკოს ისე სიამოვნებდა ეს ფაქტი, რომ თავი მეშვიდე ცაზე ეგონა.

ახლა ვნახოთ ამ ნაწყვეტის ქართული თარგმანი.

„- ასეთი რამ იშვიათად ხდება კაცის ცხოვრებაში! – გაიძახოდნენ დიდენკოს მეგობრები.

- ღირსეული ჯილდოა!

- მარადიული ბედნიერების ორდენი! – ქილიკობდა ვილაც. საშკო იცინოდა” [32-131].

მთარგმნელმა არ გადმოიტანა უკრაინული ხატოვანი გამოთქმა, სასურველი იქნებოდა, რომ ამ საერთოდ ჩინებულ თარგმანში ასეთი ხატოვანი გამოთქმები არ დაკარგულიყო.

რ. ხვედელიძის თარგმანში გვხვდება წმინდა ქართული კოლორიტით აღბეჭდილი სიტყვები თუ გამოთქმები რაც, დასაშვებად მიგვაჩნია, რადგან სრულიად ვიზიარებთ დალი ფანჯიკიძის წიგნში „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ გამოთქმულ აზრს:

„თარგმანი რომ მშობლიური კულტურის ნაწილად იქცეს, ამ ამოცანას მთარგმნელი ვერ განახორციელებს, თუ თარგმანის ფორმაში რალაც დოზით არ შეიტანა ისეთი ელემენტები, რომლებიც თარგმანის მკითხველისათვის მშობლიურობის ნიშნით იქნება აღბეჭდილი” [21-71]. მაშასადამე, „რალაც დოზით” ეს დასაშვებია, რადგან თარგმანში უნდა გათვალისწინებული იყოს თარგმანის მიმღები კულტურის ფაქტორიც.

თარგმანში ერთ-ერთ სირთულეს დიალოგის გამართვა წარმოადგენს. მოგვყავს ნოველიდან ერთი დიალოგის ფრაგმენტი:

„Співаєш?

- А що – погано?

- Ні, чого ж... Так і вовк у спену спену співає.

- **Д а в а й у д в о х !**

- Давай!” [72-259].

ახლა ვნახოთ ქართული თარგმანი:

„- მღერი?

- არ მოგწონს?

- როგორ არა, ჩინებულია! ასე მგლები ყმუიან ტრამალში.

- გინდა, **ო რ ი ვ ე მ დ ა ვ ც ხ ო თ !**

- რატომაც არა, თანახმა ვარ!” [32-127].

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში დიალოგი ოდნავ გავრცობილია, აზრობრივი სიზუსტეც მეტ-ნაკლებად დაცულია, მაგრამ გამონათქვამი „**Давай удвох!**“, რომელიც უკრაინულში ზმნა – შემასმენელს არ მოითხოვს, ქართულში ვერაფრით გადმოვიდოდა ზმნა-შემასმენლის გარეშე. მთარგმნელმა სწორი გამოსავალი ნახა: მან უფრო ნეიტრალურ ზმნას „ვიმღეროთ“, ამჯობინა ემოციითა და ქართული კოლორიტით შეფერილი ზმნა „დავცხოთ“, რაც უდავოდ კარგი მიგნებაა, მით უმეტეს საუბარი ჯარისკაცებს შორის მიმდინარეობს.

ქართული კოლორიტით აღბეჭდილ კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანო ჩვენს ნაშრომში. საინტერესოა დიდენკოს დაკითხვის სცენა. დასაკითხად მოსული პიროვნება დარწმუნებულია, რომ საშკო მთვრალი იყო და დანაშაულის სათავე ღვინო იყო, ამიტომ ცდილობს აღიარებინოს მას დანაშაული.

მოგვყავს დედნის სათანადო ადგილი:

„Той перший, що прийшов допитувати Диденка, був певен, що причина всьому – вино...

- Кажі: хміль винуватий?

- Хміль, та не той, що ви думаєте, - відказував солдат

- **А який, який? Ну?**” [72-262].

ახლა ვნახოთ ქართული თარგმანი!

„...მოსულმა თვლები ისე მიაშტერა ტუსაღს, თითქოს უთქმელადაც ნათელი იყო მისთვის ყველაფერი.

- გამოტყდი, სიმთვრალის ბრაღია ხომ?

- მთვრალი კი ვიყავ, მაგრამ ღვინით არა, - უპასუხა დიდენკომ.
- მაშ რა ოხრობამ დაგათრო? ჰა!..." [32-127].

მთარგმნელმა მოახერხა დიალოგის გამართვა, სასაუბრო სტილის კალაპოტში ქართული კოლორიტით აღბეჭდილი გამონათვამის ისე მოქცევა, რომ კარგად შექმნა ბუნებრიობის შთაბეჭდილება, რაც უდავოდ მთარგმნელის დამსახურებაა.

მიუხედავად თარგმანის ანალიზისას გამოვლენილი რამდენიმე უმნიშვნელო უზუსტობისა, მთარგმნელმა არსებითად შესძლო როგორც შინაარსობრივი მხარის, ასევე მხატვრული ღირებულებების გადმოტანა და ოლეს გონჩარის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველის მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული თარგმანი შესთავაზა ქართველ მკითხველს.

ოლეს გონჩარის ნოველისტიკის მწვერვალს წარმოადგენს ნოველა „მოდრი კამენი“, რომელიც 1946 წელს დაიწერა. ნაშრომის შესავალ ნაწილში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ რა ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა ამ ნაწარმოებს უკრაინულ სალიტერატურო კრიტიკაში. მაშინდელი კრიტიკის მიხედვით, მწერლის ანტიპატრიოტული განწყობა გამოვლინდა იმ ფაქტში, რომ ნოველის პერსონაჟს, საბჭოთა ჯარისკაცს, ავტორი სლოვაკ გოგონას შეაყვარებს. ომის თემაზე დაწერილ ამ ნოველაში, მოქმედება სლოვაკიაში ხდება. ეს ნაწარმოები ქართულად პირველად 1964 წელს ითარგმნა და შევიდა მწერლის ნაწარმოებთა ქართული თარგმანების კრებულ „მზესუმზირაში“. (თარგმნა მარიამ გორგაძემ – გ. კ.), უკრაინული ენის არცოდნის გამო მთარგმნელმა ამ ნოველის უკვე არსებული რუსული თარგმანი გამოიყენა. 1988 წელს ეს ნაწარმოები უკრაინულიდან თარგმნა პოეტმა და მთარგმნელმა ჯაბა ასათიანმა. ნაშრომში საანალიზოდ ვიღებთ სწორედ ამ თარგმანს, როგორც უფრო ზუსტსა და მხატვრულად ღირებულს. ნოველის დედნისეული სათაური „Модри камень“ (სლოვაკურად – ლურჯი ქვა). მთარგმნელს უთარგმნელად გადმოაქვს „მოდრი კამენის“ სახით (მარიამ გორგაძის თარგმანში ასეა ნათარგმნი ნოველის სათაური „მოდრი ქვა“ --გ. კ.) რაც მართებულად მიგვაჩნია, რადგან ორიგინალში „მოდრი კამენი“ ტოპონიმია,

სლოვაკიის ტერიტორიაზე მდებარე არსებული ადგილის სახელწოდებაა, რომელიც ნაციონალური, გეოგრაფიული რეალიაა, ქართველ მკითხველში უცხო გარემოსთან შეხვედრის ასოციაციას ბადებს და თანაც ხელს არ უშლის შინაარსის აღქმას. ამიტომაც სრულიად გამართლებულად მიგვაჩნია მისი „უთარგმნელობა“, მთარგმნელის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მან ნოველის სათაური ქართულად გადმოიტანა უცვლელი ფორმით - „მოდრი კამენი“. ნოველაში ავტორი მთავარ პერსონაჟს აკისრებს მთხრობელის ფუნქციას, რომელსაც პირველ პირში ამეტყველებს და ამით გამოიკვეთება ნაწარმოებში მწერლის თხრობის სტილის თავისებურება. ავტორი ურთულეს ამოცანას ისახავს მიზნად: ნოველის ლირიკული გმირის პრიზმაში უნდა მოხდეს მკითხველის მიერ სლოვაკი ქალის – ტერეზას აღქმა.

ნოველის სლოვაკი გმირების „ტერეზასა და მისი დედის უკეთ დასახატად ოლეს გონიარი მათი ენობრივი პორტრეტების შესაქმნელად იყენებს სლოვაკური ენის ელემენტებს. მათ მეტყველებაში გაბნეული სლოვაკიზმები, პერსონაჟის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხერხის ფუნქციას იძენს, პერსონაჟების ენობრივ პორტრეტებში ასევე მჟღავნდება ეროვნული კოლორიტი, უცხო ენის ელემენტები ავტორს ეხმარება უცხო სამყაროს შექმნის დამაჯერებლობაში, ეს სიტყვები ნოველის ენობრივ ქსოვილში ბუნებრიობას იძენს, ისინი ნოველის ავტორის სტილის კომპონენტებია. მოვიყვანოთ ამის საილუსტრაციო მაგალითებს ორიგინალიდან და შევუდარებთ თარგმანს.

ტერეზას ენობრივი პორტრეტის წარმოსაჩენად მოგვყავს მაგალითები მისი მეტყველებიდან:

„**Мамо, т о р у с ь к і !**” [81-5].

„**Маю гадку, що це сама доля звела нас т у т к о** ” [81-8].

„- **М а ш** там каваліра?”

„- **М а м** ” [81-10].

„- **К а м ?** – дивишся ти благально” [81-8].

ახლა ვნახოთ ნოველის სათანადო ადგილები ჯაბა ასათიანის თარგმანში:

„- დედა, რუსები, ყოფილან!“ [2-8].

„- ასე მგონია, თითქოს ბედისწერამ შეგვახვედრა“ [2-13].

„- იქ, სატრფო ხომ არ დაგრჩა?

- ჰო, დამრჩა“ [2-15].

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში ვერ ხერხდება დედანში არსებული პერსონაჟის მეტყველების დამახასიათებელი ნიუანსის გადმოტანა, რითაც, სამწუხაროდ, იშლება პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის ერთ-ერთი კომპონენტი.

ნოველაში ორგან გვხვდება მუსიკალური ინსტრუმენტი „ბაიანი“, რომელიც ეთნოგრაფიულ რეალიად შეიძლება ჩაითვალოს.

მოგვყავს ადგილები ორიგინალიდან:

„- Що там?

- Можна?

- брати й **б а я н** ?“ [81-6].

თარგმანში კი გვაქვს:

„- რაო, რა გითხრეს?

- შეიძლებაო.

- „**ს ა კ რ ა ვ ი ც**“ წამოვილო?“ [2-9].

-----

„Знову заходимо до кімнати. Побачивши плитку, Ілля всміхається, ставить біля дверей свій «**б а я н**», обтрушється, здивавно вслухаючись у співучу **с л о в а ц ь к у м о в у**“ [81-6].

„ოთახში შემოსულმა ილიამ ღუმელი რომ დაინახა, გაეღიმა. „საკრავი“ კართან დადო, თოვლი ჩამოიფერთხა და **ს ლ ა ვ უ რ ს ა უ ბ ა რ ს** ყური მიუგდო“ [2-10].

როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა იხმარა სიტყვა „საკრავი“, მაგრამ კონკრეტულად რა საკრავზეა საუბარი, ეს უკვე თარგმანში არ ჩანს. ამას

გარდა, არასწორადაა თარგმნილი, „вслухаючись у співучу словацьку мову” რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყური მიუგდო მელოდიურ სლოვაკურ ენას”, თარგმანში კი ვკითხულობთ, „სლავურ საუბარს ყური მიუგდო”. „სლავურ საუბარში” გაურკვეველია რომელ სლავურ ენაზე იყო წარმართული საუბარი, დედანში კი ყველაფერი გარკვეულია.

ნოველაში სტილური პლასტის მრავალფეროვნებას სიტყვათა თამაშიც ქმნის. როგორც უკვე აღვნიშნეთ მოდრი კამენი ადგილის სახელწოდებაა, რომლის შესახებაც ავტორი ნოველაში წერს:

**„М о д р и** Камень-це по карті. **М у д р и й** каменем називають містечко бійці, бо довго не можемо його взяти. Праворуч і ліворуч нього стоять висоти, як бастіони” [81-8].

სიტყვა მოდრი, რაც სლოვაკურად ნიშნავს ლურჯს, ჟღერადობით საბჭოთა მეომრებში იწვევს ასოციაციურ მსგავსებას რუსულ სიტყვასთან „Мудрый” (ანალოგიურადაა უკრაინულშიც „Мудрий”, რაც ბრძენს ნიშნავს). მოდრი კამენის სახელით რუკაზე აღნიშნულ ამ ადგილს, ბრძენი ქვა შეარქვეს, იმიტომ, რომ დიდხანს ვერ აიღეს ბრძოლით.

სიტყვათა ასეთ თამაშზეა აგებული ეს ადგილი ორიგინალში. ახლა ვნახოთ ქართული თარგმანი:

„ამ ადგილის აღება ვერა და ვერ შევძელით. მარჯვნივ და მარცხნივ ბასტიონებით ედგნენ მთები” [2-13].

ეს სიტყვათა თამაში თარგმანში ვერ გადმოიცა, რითაც თარგმანმა წააგო.

თარგმანის გაქართულების ელემენტიც გვხვდება ჯაბა ასათიანის თარგმანში.

ორიგინალში მოცემულია ასეთი დიალოგი:

„- Чия це кров? – прискіпались вони.

-То моя, пане поліцаю, - сказала Тереза.

- Я була втяла собі руку.

- **К а ж и д у р н я м !** – залемантували вони... Свіжа кров” [81-9].

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ:

„- ეს ბინტი ვისია? - ჩააცვიდნენ ტერეზას.

- ჩემია, ბატონო პოლიციელებო, - დაიბრალა ტერეზამ.

- სტყუი!

- ხელი მქონდა გაჭრილი.

**- ე გ ს ა კ ე ნ კ ი შ ე ნ ს წ ი წ ი ლ ე ბ ს დ ა უ ყ ა რ ე !** – უყვირეს პოლიციელებმა. – ბინტს სისხლი ჯერაც არ შეხმობია” [2-15].

როგორც ვხედავთ, თარგმანში უფრო მეტად აქცენტირებულია ბინტი, სისხლის მაგივრად. რაც მთავარია, გამოთქმა „Кажі дурням”, რაც ნიშნავს „ბრიყვები ნუ გგონივართ”, მთარგმნელმა მშობლიური ენობრივი რესურსიდან მოძიებული ანდაზური გამონათქვამით შეცვალა, რითაც ქართული კოლორიტი შეიტანა თარგმანში.

უმნიშვნელოვანესია ამ ნოველის მთავარი ლირიკული გმირის ფინალური შინაგანი მონოლოგი, რომელიც ტერეზასთან დიალოგში გადაიზრდება. ტერეზა პარტიზანების დაფარვისათვის გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს, მაგრამ მთავარი პერსონაჟის მეხსიერებაში სლოვაკი ქალის სახე მარად ჩარჩა, ტერეზა მისთვის ისევ ცოცხალია. მოგვყავს მთავარი პერსონაჟის შინაგანი მონოლოგი ორიგინალიდან:

„Померкло, стерлося все. Навіть те, що звать незабутнім першим коханням. Чому ж ця випадкова зустріч, єдиний погляд, єдина ява у великій драмі війни, чому вона не меркне і, відчуваю, ніколи не померкне.

Ти – як жива. Бо далекі Рудні гори скрізь ідуть за мною, ближчають з кожним днем, щодалі ширише разгортаючись у своїй трагічній чарівності Бачу вже їх не забиті снігами, а зелені, пишні, зігріті весняним сонцем, коли полонини, як цні озера, зацвітають тим першим цвітом весни, що по вашому зветься – небовий ключ” [81-10].

დედანში, როგორც ვხედავთ, საუბარია იმაზე, რომ პერსონაჟის მეხსიერებაში ყველაფერი გაცვდა და წაიშალა პირველი სიყვარულიც კი, მხოლოდ ის ერთი შემთხვევითი შეხვედრა ტერეზასთან ცოცხლობს მუდამ.

შემდეგ დახატულია ბუნების სიმბოლური სურათი; ზამთარს ცვლის გაზაფხული, თოვლი მთებში დნება, სიმწვანეში ჩაფლულა ყოველი.

ახლა ვნახოთ ქართული თარგმანი:

„გაქრა, დაიშრიტა ყოველი... ისიც კი, რასაც დაუვინყარი პირველი სიყვარული ჰქვია, მაშ, ის შემთხვევითი შეხვედრა, ის ერთი შემოხედვა... რატომ აღარ ქრება და ვგრძნობ, არც არასოდეს მიმატოვებს?“

შენ ისევ ცოცხალი ხარ, რადგან შორეული რუდნის მთები მუდამ თან დამდევენ, დღითი დღე მიახლოვდებიან. მთები თოვლს დავინყებია, უკვე გაზაფხულის მზეს გაუთბია. მდელოებიც, ლურჯი ტბებისა არ იყოს, თავს იწონებენ გაზაფხულის იმ პირველი ფერით, თქვენებურად „ზეცის გასაღები“ რომ ჰქვია“ [2-17].

თარგმანში კარგად არის შენარჩუნებული ორიგინალის რიტმი, ინტონაცია და განწყობილება. კარგი მიგნებაა გაზაფხულის პირველი ყვავილის „небовий ключ“-ის „ზეცის გასაღებად“ გადმოღება თარგმანში და არა მაგალითად „ცის გასაღებად“. მთარგმნელმა უფრო პოეტური ვარიანტი შემოგვთავაზა.

ამ მონოლოგიდან მწერალი ოსტატურად გადადის დიალოგზე, ნოველაში ეს დიალოგი მთელი ნაწარმოების ღერძია, იგი ის იარაღია, რომელშიც გაცოცხლებულია ლირიკული გმირის წარმოსახვაში ტერეზა, გაშიშვლებულია ადამიანთა განცდები, ლირიზმითაა სავსე ყოველი სიტყვა, ამიტომაც ამ დიალოგს უდიდესი მხატვრული დანიშნულება გააჩნია, ავტორს განზრახული აქვს ტერეზას სახე ყველაზე სრულყოფილად სწორედ ამ დიალოგში წარმოაჩინოს. მთლიანად მოგვყავს ორიგინალიდან ეს დიალოგი, რომელშიც ლირიკული გმირი აცოცხლებს ტერეზას თავის წარმოსახვაში და ესაუბრება მას:

„В такі гордини м и часто зустрічаємося з тобою і, сівши на теплому камені, розмовляємо.

**Тереза.** Де в и так довно були?

**Я.** Уже все закінчилосью Тепер я вже не піду від тебе.

**Тереза.** Ніколи?

**Я.** Ніколи.

**Тереза.** Як це гарно, що ми будемо зажди разом! Я так довго чекала **в а с** після тої зимової ночі: мені здається, що не менше як тисячу літ!

**Я.** А мені здається, що я стільки ж ішов до тебе після тої ночі.

**Тереза.** Нарешті ми знову зустрілись! Дайте мені **в а ш у** руку. **В и** відчуваєте, як та тисяча літ перемістилась перед нас? Тепер вона попереду, правда ж? Наша тисяча!...

Дока зеленітимуть ці погри і світить сонце, ми будемо жити. Я задихаюсь від такого багатства!

**Я.** Нікуди тепер ми не будемо спішити, як. Тоді взимку. Тоді ми майже ні про що не встигли поговорити. Лютий вітер, шугаючи в скелях, заважав нам.

**Тереза.** Зараз ми маємо час! Зараз я доскажу вам усе недосказане тоді. **С л у х а й т е ж е !** Чуєте, як луцять зелені спини гір, гріючись на сонці? А небо над нами, весняне й високе, гуде од вітру, мов блакитний дзвін!.. **С л у х а й т е ж !**" [81-10].

ორიგინალურია მწერლის ჩანაფიქრი რომანტიკული ამალღებულობის ელფერი მისცეს ამ დიალოგს, რომელშიც ტერეზა თქვენობით მიმართავს ლირიკულ გმირს, მთელი დიალოგის მანძილზე. ესეც სტილური ელემენტია, რომელსაც ავტორი გარკვეული ემოციის შესაქმნელად მოიხმობს.

ეს დიალოგი თარგმანში ასეა გადმოტანილი: „ასეთ დროს (იგულისხმება პერსონაჟის მონოლოგის დროს ზემოთ აღწერილი სურათი გაზაფხულის მოახლოებისა – გ. კ.) **მ ე და შ ე ნ** ხშირად ვხვდებით, თბილ ქვაზე ჩამოვსხდებით ხოლმე და დიდხანს ვსაუბრობთ:

**ტერეზა.** აქამდე სად ი ყ ა ვ ი ?

**მე.** უკვე ყველაფერი დამთავრდა. ახლა ველარაფერი დაგვაშორებს.

**ტერეზა.** ველარასოდეს?

**მე.** ველარასოდეს.

**ტერეზა.** რა კარგია, რომ მუდამ ერთად ვიქნებით! ასე მგონია, იმ ზამთრის ღამიდან ათასი წელი მაინც გავიდა!

**მე.** მე კი მეჩვენება, რომ სწორედ ამდენი წელი მოვუნდი შენსკენ მომავალ გზას.

**ტერეზა.** **მომეცი** ხელი. **გრძნობ**, ეს ათასი წელი რომ გადაადგილდა? ახლა ეს წლები წინ მოგველის, ხომ მართალია? სანამ იხასხასებენ ეს მთები და მზეს სხივი ექნება, ჩვენც ვიცოცხლებთ. რა მდიდრები ვართ!..

**მე.** აღარასოდეს ვიჩქარებთ ისე, როგორც იმ ზამთრის ღამეს. მაშინ თითქმის ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი. კლდეებში მძაფრი ქარი ბორგავდა, ხელს გვიშლიდა.

**ტერეზა.** ახლა ბევრი დრო გვაქვს. ყველაფერს გეტყვი, რაც მაშინ ვერ **გითხარი**. **გესმის?** ტკრციალებენ მზით გამთბარ მთათა მწვანე ქედები, ხოლო გაზაფხულის მაღალი, ქარისაგან შეძრული ზეცა ზარივით დაგვგუგუნებს. **ყური მიუგდე!**.. [2-18].

მთარგმნელი ტერეზას შენობით ამეტყველებს, რითაც თარგმანში დარღვეულია დედნის ამაღლებული სტილის ეფექტი, შესაძლოა მთარგმნელმა საჭიროდ ჩათვალა ასეთი ცვლილება განეხორციელებინა იმისათვის, რომ დიალოგი უფრო ბუნებრივად გამართულიყო ქართულ თარგმანში, მაგრამ, ჩვენი აზრით, თარგმანიც უნდა ინარჩუნებდეს ორიგინალის თავისებურებებს.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ნოველის სტილურმა მრავალფეროვნებამ გარკვეული სიძნელეები შეუქმნა მთარგმნელს, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ზოგი სტილისტური ელემენტის გადმოტანა თარგმანში არ მოხერხდა, თარგმანი მაინც მაღალ დონეზეა შესრულებული.

ოლეს გონჩარის პროზისათვის დამახასიათებელი რომანტიკული სტილის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მოთხრობა „უსმანი და მარტა“, რომელიც ასევე თარგმნა ჯაბა ასათიანმა. მოთხრობის დასაწყისში ავტორ-მოთხრობლის მიერ დახატულია კიევის ადრეული გაზაფხულის სურათი:

„Найбільше люблю оцю пору-провесінь, а її молодими вітрами, з її чистими світанками, що розвітають на півнеба. Оживають після зими краснотали на Трухановім острові, мрійливо леліє в чеканні розливів безкрая задніпривська далеч... Вологі березневі вітри дмухають звіти на Київ, на Володимирстку гірку, розбуджуючи в душі все те ласкаве, миле, далеке, що досі мовби дрімало десь у глибинах, а з першим подихом весни знов підіймається, пробивається на поверхню...” [83-300], ნაწარმოების ეს ადგილი პოეტურობით გამოირჩევა.

ვნახოთ ეს ნაწყვეტი თარგმანში:

„ყველაზე მეტად ეს დრო მიყვარს – ადრიანი გაზაფხული, ჩვენში რომ „პროვესინს“ ეძახიან. მიყვარს მისი ქარებიც და აგიზგიზებული, კრიალა განთიადებიც. ტრუხანოვის კუნძულზე სიცოცხლე უბრუნდებათ ნაზამთრალ წნორებს, მდინარის ადიდების მოლოდინში იცრიცება დნეპრისპირეთი...

აქედან მარტის ნესტიანი ქარები კიევისაკენ, ვოლოდიმერის გორაკისაკენ ისწრაფვიან და სულში აღვიძებენ ყოველივე სათუთს, ძვირფასსა და შორეულს, რაც აქამდე თითქოსდა სადღაც სულის სიღრმეში გარინდულიყო, გაზაფხულის პირველმა სუნთქვამ კი გამოაფხიზლა და სიცოცხლე შთაბერა” [2-30]. ეს თარგმანი ინარჩუნებს დედნის სტილს და განწყობილებას. მთარგმნელი კარგად გრძნობს ო. გონჩარის ენის პოეტურ ბუნებას. ავტორს ადრეული გაზაფხულის ხილული სურათი ერთ ამბავს აგონებს, რომელსაც ლატვიაში შეესწრო და მის თხრობას იწყებს. ეს ე. წ. „გახსენება“ სტილურ ხერხს წარმოადგენს (მაგალითისათვის გამოდგება ნოველა „ბედნიერების წამი“, რომელიც ავტორ-მთხრობლის მიერ ტროპიკულ ქალაქ რანგუნის იმ დაუვიწყარი სურათის დახატვით იწყება, რომელსაც ერთი შეხედვით, არაფერი აკავშირებს ნოველის სიუჟეტთან), მაგრამ სწორედ ეს სურათი ახსენებს მას ერთ ამბავს. ასევე არ არის პირდაპირ კავშირში სიუჟეტთან ავტორის მიერ დახატული ბუნების სურათი მოთხრობაში „უსმანი და მარტა“, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ოლეს გონჩარი-

მთხრობელი ზედმეტს არაფერს სთავაზობს მკითხველს. სიუჟეტის გონჩარისეული გაშლის დამახასიათებელი დეტალია „გახსენება“, რომელიც სიუჟეტის დასაწყისს უქმნის ფონს.

მთარგმნელი ყურადღებით ეპყრობა ავტორის სტილური პლასტის დამახასიათებელ ნიშანს – ეროვნულ კოლორიტს. მაგალითად ო. გონჩარი წერს: „Найбільше люблю оцо пору-провесінь“, რაც ნიშნავს: განსაკუთრებით მიყვარს ეს დრო – პროვესინი, „პროვესინი“ ადრიან გაზაფხულს ნიშნავს და წარუშლელ უკრაინულ კოლორიტს ქმნის. მთარგმნელმა იგი ისე ოსტატურად შეინარჩუნა თარგმანში, რომ გასაგებიც გახადა ქართველი მკითხველისათვის: „ყველაზე მეტად ეს დრო მიყვარს – ადრიანი გაზაფხული, ჩვენში რომ „პროვესინს“ ეძახიან“. მოთხრობის გეოგრაფიული არეალი მოიცავს ლატვიას, ესტონეთს, პოლონეთს. ამ მარშრუტით ათავისუფლებდა საბჭოთა არმია გერმანელი ოკუპანტების მიერ დაპყრობილ ქვეყნებს. მთხრობელი თვით მონაწილეობს ნაწარმოებში, როგორც მოქმედი პირი. ლატვიაში საბჭოთა ჯარების ყოფნის დროს მრავალდღიანი შეტევის შემდეგ დაღლილ-დაქანცული ბატარეა ერთ მიყრუებულ, ნახევრად დანგრეულ ხუტორში შეჩერდა.

ხუტორის პატრონის ქალიშვილი სრულიად ნორჩი გოგონა-მარტა თავდავინწყებით შეიყვარებს სამარყანდელ შავტუხა ჭაბუკს უსმანს, რომელიც ბატარეის აღზრდილია. ამ ორი ახალგაზრდის სიყვარულის ისტორიის ეპიზოდებია აღწერილი მოთხრობაში. მოთხრობის პირველსავე გვერდზე ხატავს ავტორი მარტას პორტრეტს:

„Звали дівчину Марта. Жвава, прудконога, вона встигала бути скрізь, білкою проносила сьуди й туди по двору, метляючи овітлими, як льон, косичками, шумлячи на бігу своєю рясною спідничкою та фартушком. Від неї все подвір 'я здавалося нам веселішим, самим своїм виглядом вона мовби скрашувала похмуру природу того краю“ [83-301].

მოგვყავს ეს ადგილი თარგმანში:

„მარტა ერქვა. მკვირცხლი, ცქრიალა გოგონა ყველგან ასწრებდა ყოფნას, ეზოს რომელ კუთხეში აღარ დაღანდავდით მის აბრეშუმით თეთრ ნაწნავებს, სად აღარ გაიგონებდით მისი გრძელი, განიერი ქვედაკაბის და წინსაფრის შარიშურს. ის რომ გამოჩნდებოდა, ეზოც გამხიარულდებოდა ხოლმე, თითქოს იქაურ პირქუშ ბუნებას სილამაზეს მატებდა” [2-31].

აქ მთარგმნელის მიერ პერსონაჟის დასახასიათებლად აქტივიზებულია დედანთან მიმართებაში აზრობრივად ზუსტი და ამავე დროს კარგი ქართულით გამართული ეპითეტები („მკვირცხლი”, „ცქრიალა”), ოსტატურადაა გადმოცემული პერსონაჟის ხასიათის ძირითადი ნიშნები.

თარგმანში ბევრი კარგი პოეტური მიგნება გვხვდება, ო. გონჩარის მეტყველებისათვის დამახასიათებელი პოეტური ენის გადმოსაცემად, რაც მთარგმნელის სასარგებლოდ მეტყველებს, თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ნიმუშებს:

დედანი:

„Марта посмітається Усманові через плече відкрито, ясно, напівдисячо, - всім нам ставало гарно, **т е п л і ш а л о н а д у ш і**” [83-301].

„Усман радісно «читає», мовби ділиться своїм щастям з березами, болотами, **н и з ь к и м и** прибалтійськими **х м а р а м и**” [83-304].

თარგმანი:

„მარტა გულლიად, თითქმის ბავშვივით შესციცინებდა უსმანს, ჩვენც ვხალისდებოდით და **გ უ ლ შ ი ს ი თ ბ ო გ ვ ე ჯ რ ე ბ ო დ ა**” [2-32].

„... უსმანი თავის ბედნიერებას არყის ხეებს, ჭაობსა და ბალტიისპირეთის **ჩ ა მ ო ძ ე ნ ძ ი ლ ღ რ უ ბ ლ ე ბ ს** უზიარებდა” [2-38].

მთარგმნელი მართებულად იქცევა, როდესაც პერსონაჟის სახელი თარგმანში გადმოაქვს დედნის ჟღერადობით: მარტა და არა მართა.

ცალკეული უზუსტობებისაგან თარგმანი მაინც არ არის დაზღვეული. თვალსაჩინოებისათვის ორი მაგალითი: როდესაც დიდი ხნის ლოდინის შემდეგ უსმანი მიიღებს მარტას წერილს, ავტორი შენიშნავს:

„Лист був як лист. Дівчина присягалася у своїй вірності, писала, що образ Усмана весь час стоїть перед нею, сниться їй ночами... Одне слово, все було так, як буває в листах палко, по-школярськи закоханих дівчат” [83-305].

თარგმანში ვკითხულობთ:

„ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი წერილი გახლდათ მარტა უსმანს ერთ-გულებას ეფიცებოდა, ცხადშიც თვალწინ მიდგახარ და სიზმარშიცო... ერთი სიტყვით, სხვა სამიჯნურო ბარათებისაგან არაფრით გამოსარჩევი” [2-39].

ავტორი როდესაც შენიშნავს, რომ წერილში ყოველივე აღწერილი იყო, „як буває в листах палко, по-школярськи закоханих дівчат” ნიშნავს: ყოველივე აღწერილი იყო, როგორც ხდება ხოლმე სასკოლო ასაკის შეყვარებულ გოგონებში, ეს ავტორს სჭირდება მარტას ნორჩი ასაკისა და ბავშვური ბუნების ხაზგასასმელად. თარგმანში კი სასკოლო ასაკზე არ არის ლაპარაკი.

მოთხრობაში გვხვდება ასეთი ეპიზოდი: უსმანი მიიღებს მარტას წერილს, მაგრამ ვერ წაიკითხავს, რადგან მისთვის გაუგებარ ლატვიურ ენაზე არის დაწერილი, რასაც ავტორისეული რემარკა მოსდევს:

„Як же прочитати, до кого звернутись за допомогою? чи до отих гибких замінованих боліт, чи до оцих топких білокорих берізок? ” [83-304].

თარგმანში ვკითხულობთ:

„რა ელონათ, როგორ წაეკითხათ, ვისთვის ეთხოვათ დახმარება? ჩრდილოეთის ფიჭვებისთვის თუ ქათქათა არყის ხეებისათვის?” [2-37].

ავტორი ხატავს ქვეყნებს, რომლებსაც ბრძოლების შედეგად ათავისუფლებს საბჭოთა არმია, მოთხრობის ლირიკული გადახვევების გვერდით ომის შეგრძნება არ უნდა გაუნელდეს მკითხველს, ამიტომ წერს ავტორი, რომ დახმარება ვისთვის უნდა ეთხოვათ? დამლუპველი, დანადმული ჭაობებისათვის თუ ქათქათა არყის ხეებისათვის? მთარგმნელი კი წერს: „ვისთვის ეთხოვათ დახმარება? ჩრდილოეთის ფიჭვებისთვის თუ ქათქათა არყის ხეებისთვის?” ამ არაზუსტი თარგმანით, მკითხველს უნელდება ომის განცდა, სიტუაცია ისე აღარ აღიქმება, როგორც ეს ავტორმა ჩაიფიქრა.

თარგმანში ქართული კოლორიტით შეფერილი სიტყვები ძირითადად მარჯვედ გამოიყენება:

„Товаришу капітан, дозвольте рапортувати!

- Рапортуй.

- Баня, готов!.. Горить, кипить... Во, баня!..

І комбат і всі присутні бачили, однак, що надто чимось схвилюваний хлопець, щось скоїлося з ним.

- Дуже ти розпашілий прибіг, Усмане...

Чи ти там із ким-небудь чарку випив?” [83-302].

ვნახოთ ეს დიალოგი თარგმანში:

„- ამხანაგო კაპიტანო, ნება მომეცით, მოგახსენოთ!

- გისმენ, გისმენ!

- აბანო გავახურე!

- კეთილი.

ამჯერად უსმანი მეტისმეტად აღელვებული, რალაცით აღზნებული იყო, ეს ბატარეის მეთაურმაც შეამჩნია და სხვა მეომრებმაც

- მოიცა, მოიცა, შემთხვევით ხომ არაფერი გადაგიყლურნავს?” [2-33].

უფროსისა და ჯარისკაცის დიალოგის კონტექსტში კარგად ჯდება წმინდა ქართული კოლორიტით შეფერილი სიტყვა „გადაგიყლურნავს“, მაგრამ ხსენებული დიალოგი იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორი სანამ თავისი რემარკით გადმოგვცემდეს ჭაბუკის აღზნებას, აღელვებას, მწერალი პერსონაჟის პირდაპირ მეტყველებაშიც მიუთითებს გმირის აღზნებულ, აფორიაქებულ ბუნებაზე:

„Баня, готов!... Горить, кипить... Во, баня!”

ქართულში კი მხოლოდ გვაქვს: „აბანო გავახურე!” ავტორი არ სჯერდება მხოლოდ რემარკას და პერსონაჟის პირდაპირი მეტყველებითაც აღწევს გმირის შინაგანი ღელვის დამაჯერებელ ეფექტს, თარგმანში კი ეს ეფექტი სუსტდება.

ჯაბა ასათიანის ამ თარგმანში გამოიკვეთა დედნის სტილის სიზუსტისაკენ მთარგმნელის სწრაფვა, მიუხედავად მცირე უზუსტობებისა ეს თარგმანიც მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული და მთარგმნელი უდავოდ პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა, რაზეც ჩვენს მიერ გაანალიზებული თარგმანებიც მეტყველებს.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ იმ ქართველ მთარგმნელთა მიერ შესრულებული თარგმანები, ვისაც რუსული ენა შუამავლად არ დასჭირვებია.

ჩვენს მიერ გაანალიზებული თარგმანები დედნიდანაა შესრულებული, ეს კი ფრიად არსებითი ფაქტია.

გაანალიზებული თარგმანების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანის მეტისმეტი გაქართულების ტენდენცია გამოიკვეთა გიორგი ნამორაძისეულ თარგმანში, ამ მთარგმნელს თარგმანის სრული გაქართულებისაკენ სწრაფვა ახასიათებს, რაც გადაჭარბებად მიგვაჩნია.

დედნის სტილის რეპროდუქციის ტენდენცია მჟღავნდება რევაზ ხვედელიძისა და ჯაბა ასათიანის თარგმანებში. ეს თარგმანები დიდი მხატვრული გემოვნებით შესრულებული თარგმანებია და მთარგმნელები მეტნაკლები ნარმატებით ართმევენ თავს დასახულ ამოცანას, თუმცა მთარგმნელთა ინდივიდუალური ხელწერა მათ თარგმანებშიც გამოსჭვივის.

## დასკვნა

ოლეს გონჩარის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საქართველოს თემა 1950-იანი წლებიდან ჩნდება და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს უკრაინელი მწერლის შემოქმედებაში: მხატვრულ ნაწარმოებებსა და დღიურებში, ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატებსა თუ საჯარო გამოსვლებში.

საქართველოსთან პირველივე კონტაქტის დროს 1951 წელს საირმეში მიღებული შთაბეჭდილებები მწერლის პოეტური შთაგონების წყაროდ იქცა. ქართულმა შთაბეჭდილებებმა ითამაშა დიდი როლი მოთხრობა „გზა ღრუბლებს მიღმას“ შექმნაში, რომელიც მთლიანად საირმეს თემას მიუძღვნა მწერალმა. ამ ნაწარმოებმა მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ოლეს გონჩარის კალამს ეკუთვნის ნოველა „ლილიასა და ვალიაზე“, რომელიც მწერლის საირმეში ყოფნას უკავშირდება. იმდენად ორგანულია მისთვის ქართული თემა, რომ პოეზიისა და პროზის შერწყმით შექმნილ ამ ნოველაში ილიას „ყვარლის მთების“ პერსერვერაციად ქცეული პირველი სტრიქონი, როგორც რეფრენი ისე გასდევს ნაწარმოებს და ლირიზმით ავსებს.

ქართული თემა გამოკრთა მწერლის დიდ მხატვრულ ტილოშიც, რომელსაც ავტორმა „ციკლონი“ უწოდა. რომანის ერთ ეპიზოდში ოლეს გონჩარი გვიხატავს იმერეთის დაუვიწყარ სურათს, მისი ერთ-ერთი მთავარი გმირიც ქართველია, იგირომანში ქართული თემის შემომტანი და ნაწარმოების მთელი რიგი პასაჟების აქტიური პერსონაჟია. დავითი სახეა ქართველი ვაჟკაცისა. იგი განასახიერებს ქართველისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს: სიამაყეს, სიმამაცეს, ერთგულებას, სულიერ სიფაქიზეს, მგზნებარე სიყვარულს. ასეთად შეიყვანა მწერალმა ქართველი პერსონაჟი რომან „ციკლონის“ გმირთა გალერეაში და ქართველის ესოდენ კეთილშობილი ხატება მიიტანა უკრაინელ მკითხველამდე.

საქართველოს მიმართ ინტერესი მრავალგან გამოსჭვივის ოლეს გონჩარის დღიურებში. ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებზე მწერალს აქვს საინტერესო ლიტერატურული ჩანაწერები. აქ არაერთგან გვხვდება მისი მსჯელობები ქართულ კულტურაზე (მაგ. მეტად საინტერესო დაკვირვება აქვს ოლეს გონჩარს ქართულ ხალხურ სიმღერაზე – გ. კ.).

საქართველოსთან, ქართულ პოეზიასთან სულიერი სიახლოვე ნათლად გამომჟღავნდა ილიას „ყვარლის მთების“ ოლეს გონჩარისეულ თარგმანში, რომელიც დღესდღეობით ილიას ამ ლექსის ერთადერთი თარგმანია უკრაინაში.

როგორც დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითა ანალიზმა გვიჩვენა ილიას ლექსმა უკრაინელი მწერლის თარგმანში გარკვეული სახეცვლილება განიცადა, ოლეს გონჩარი წარმოჩნდა როგორც ნიჭიერი ინდივიდუალური სტილის მქონე მთარგმნელი.

ოლეს გონჩარის თარგმანის დაბეჭდილი ვარიანტისა და გამოუქვეყნებელი, პირვანდელი ხელნაწერის შედარებამ გვიჩვენა, რომ უკრაინელი მწერლისათვის მხატვრული თარგმანი შემოქმედების ფორმაა და სათარგმნი ტექსტი მეცნიერული ნაკითხვისა და ანალიზის ობიექტი, რის გამოც ოლეს გონჩარი ილიას „ყვარლის მთების“ მისეული თარგმანის გამოქვეყნებას არ ჩქარობდა, ვიდრე ტექსტს მისთვის მისაღებ კონდიციამდე არ მიიყვანდა.

ქართულ თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოლეს გონჩარის პუბლიცისტიკაშიც. იგი ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებსა და საჯარო გამოსვლებშიც არაერთხელ შეხებია საქართველოსა და ქართველ მწერლებს და მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოუთქვამს. მწერლის კალამს ეკუთვნის ღრმა ერუდიციითა და შთაგონებით დაწერილი წერილები ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ.

ოლეს გონჩარის პიროვნებამ და შემოქმედებამ იმთავითვე მიიქცია ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება. ქართველი მწერლები, კრიტიკოსე-

ბი და მთარგმნელები ოლეს გონჩარის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ წერილებსა და მოგონებებში, მიმართვებსა თუ ცალკეულ გამონათქვამებში. უკრაინელი მწერლის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე ქართველი მკვლევარების მიერ დაინერა არა მარტო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, არამედ შეიქმნა საგანგებო მონოგრაფია და გამოიცა ოლეს გონჩარის ნაწარმოებების თარგმანების კრებულები.

ჩვენს მიერ განხილული მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქართულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში ოლეს გონჩარის სახელი დამკვიდრდა, როგორც მხატვრული სიტყვის სწორუპოვანი ოსტატისა.

ოლეს გონჩარის ნაწარმოებების უშუალოდ უკრაინული ენიდან შესრულებული ქართული თარგმანების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დედნის სტილის რეპროდუქცია და აზრობრივი სიზუსტის დაცვა განხილულ თარგმანებში ყოველთვის ზუსტად ვერ ხერხდება, ჩვენს მიერ გაანალიზებულ თარგმანებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ხატოვანი გამონათქვამების, ავტორისეული რემარკების, დიალოგის გამართვის, პერსონაჟის ენობრივი პორტრეტის, სიტყვათა თამაშის, ნაციონალურ რეალიათა ორიგინალიდან თარგმანში გადატანის პრობლემები, რომელთაც ქართველმა მთარგმნელებმა მეტ-ნაკლებად წარმატებით გაართვეს თავი.

გაანალიზებულ თარგმანებში გვხვდება გაქართულებული, მკითხველისათვის მშობლიური ენობრივი ნიშნით აღბეჭდილი ელემენტები, რაც მთარგმნელების მიერ თარგმანის მიმღები კულტურის ფაქტორის გათვალისწინებით უნდა აიხსნას. გაქართულების ტენდენცია მკაფიოდ ჩანს განმორაძისეულ თარგმანში.

ოლეს გონჩარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეში, სწორედ ამიტომაც სამართლიანად უჭირავს მას საპატიო ადგილი ამ ურთიერთობათა ისტორიაში.

## ბიბლიოგრაფია

### I

1. ასათიანი ლ. ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან. თბილისი, გამ. „განათლება“, 1955.
2. ასათიანი ჯ. წინასიტყვა წიგნიდან - „ოლეს გონჩარი, ხუთი მოთხრობა“. თბილისი. გამ. „მერანი“, 1988.
3. ბაქანიძე ო. ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი. თბილისი, გამ. „განათლება“, 1982.
4. ბაქანიძე ო. რომანის მეორედ დაბადება. გაზ. „კომუნისტი“, 1988, №76.
5. ბაქანიძე ო. ოლეს გონჩარი. თბილისი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1988.
6. ბაქანიძე ო. უკრაინული კულტურის პირველი დეკადა საქართველოში. თსუ გამომცემლობა, 2000.
7. ბაქანიძე ო. უკრაინული ლიტერატურა. ტ. III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
8. ბურჯანაძე ქ. XIX საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თსუ გამომცემლობა, 1992.
9. ბარამიძე ა. ახლო წარსულიდან. თბილისი, გამ. „მეცნიერება“, 1987.
10. ბუაჩიძე თ. „ლიტერატურული წერილები“. თბილისი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1960.
11. ბოგომოლოვი ი. მეგობრობით შედუღებულნი. თბილისი, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1987.
12. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. თბილისი, გამ. „განათლება“, 1959.
13. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი, გამ. „განათლება“, 1966.
14. გაჩეჩილაძე გ. ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოხატვის ფორმები, თბილისი, გამ. „მეცნიერება“, 1985.